



ბაზრის ანალიზი
მცირე კავკასიის ალიანსების
პროგრამა აჭარა



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC




შესავალი	1
ბაზრის ანალიზის მიმოხილვა.....	1
მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა - აჭარის პროგრამის არეალის ძირითადი მახასიათებლები	11
<i>პროგრამის არეალი.....</i>	12
<i>მოსახლეობის მიმოხილვა.....</i>	14
ძირითადი საბაზრო სისტემები.....	15
ტურიზმი აჭარაში და „დაუნსტრიმ“ მოთხოვნა.....	15
რძის სექტორი: ძროხები	15
<i>მიმოხილვა.....</i>	16
<i>გენდერული როლები რძის პროდუქტების სექტორში</i>	16
<i>რძის პროდუქტების საბაზრო სისტემა პროგრამის არეალში.....</i>	17
ხორცი	20
<i>მიმოხილვა.....</i>	20
<i>გენდერული როლები ხორცის სექტორში.....</i>	21
<i>ხორცის საბაზრო სისტემა პროგრამის არეალში.....</i>	21
თაფლი.....	23
<i>მიმოხილვა.....</i>	23
<i>გენდერული როლები თაფლის სექტორში.....</i>	24
<i>თაფლის საბაზრო სისტემა პროგრამის არეალში</i>	27
სურსათის უვნებლობა და ჰიგიენა ძირითად ბაზრებზე.....	29
<i>მომხმარებლები /მოთხოვნადი ძირითადი ტენდენციები</i>	32
<i>სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის ანალიზი წესებთან მიმართებაში.....</i>	45
<i>სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის კოდექსი</i>	45
<i>სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოსა და აჭარაში</i>	45
დამხმარე ფუნქციები.....	49
ვეტერინარული მომსახურება.....	49
<i>ქალთა როლი ვეტერინარულ მკურნალობასა და მომსახურებასთან დაკავშირებით</i>	49
<i>ვეტერინარული საშუალებების მიწოდება პროგრამის არეალში</i>	50

ლაბორატორიები.....	51
სანაშენე ბულათწარმოება.....	52
ქალთა როლი პირუტყვის გამრავლებასთან დაკავშირებით.....	52
პირუტყვის გამრავლების სერვისები პროგრამის ფართო არეალში.....	52
კვება	53
ქალთა როლები კვებასთან დაკავშირებით.....	55
საკვები საშუალებების მომწოდებლები პროგრამის არეალში.....	55
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	57
ქალთა როლი ინფორმაციასთან დაკავშირებით.....	58
ფინანსების ხელმისაწვდომობა.....	59
პროფესიული საგანმანათლებლო ტრენინგი.....	62
სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის საკონსულტაციო მომსახურება.....	63
ბიზნესის განვითარების სერვისები.....	63
წესები.....	64
სურსათის უვნებლობა და ჰიგიენა.....	64
კატასტროფების რისკის შემცირება და საგანგებო სიტუაციების მართვა აჭარაში.....	64
დაავადებების შესახებ შეტყობინება და კონტროლი	65
ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....	66
აჭარის მთავრობის სოფლის მეურნეობის პოლიტიკა.....	67
მიწის ბაზარი და საძოვრების ხელმისაწვდომობა	69
ბაზრის მოთამაშეების ცნობარი.....	71

შესავალი

2014 წლის თებერვალში დაიწყო მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის განხორციელება აჭარაში (ALCPAJ). გარდა აჭარისა, პროგრამა მოიცავს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს (იხილეთ ქვემოთ მოცემული რუკა). პროგრამა დაიწყო 2014 წლის თებერვალში და გაგრძელდება 5 წლის განმავლობაში ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, და მოიცავს მონიტორინგისათვის განკუთვნილ ერთ წელს. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პროგრამის არეალის ბაზრის ანალიზს.

რუკა



ბაზრის ანალიზის მიმოხილვა

მცირე მესაქონლე ფერმერები და მათი კონტექსტი

აჭარაში მცირე მესაქონლე ფერმერები არიან ის ფერმერები, რომლებსაც ჰყავთ 10-მდე ძროხა და 5-მდე ფუტკრის ოჯახი, ფლობენ 1 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და ზაფხულობით ეწევიან მომთაბარეობას (46%) მაღალმთიან საძოვრებზე. ძირითადად, ისინი არიან მესაქონლე ფერმერები, მაგრამ ამის გარდა აქვთ ციტრუსისა და კარალიოკის ბაღები, მოჰყავთ კარტოფილი და სიმინდი და აგროვებენ თაფლს. მათ არ აქვთ ტრაქტორები ან სხვა ინვენტარი, მაგრამ ზოგიერთს აქვს საკუთარი ტრანსპორტი (მანქანა ან მინივენნი). მათთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მიკრო სესხები, რადგანაც თანმხლები პირობებიდან გამომდინარე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კრედიტი შეზღუდულია. ამიტომაც, ფერმერები რძის პროდუქტებს, ძირითადად, საშინაო მოხმარებისათვის აწარმოებენ და ყიდიან მცირე რაოდენობით პირდაპირ მომხმარებლებზე ქალაქებში. ოჯახის შემოსავალი

შეადგენს 550 ლარს თვეში¹. ამ კვლევის ძირითადი რესპონდენტებისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათი მომწოდებლების ან მომხმარებლის 70% ამ კატეგორიაში შედის (იხილეთ ცხრილი ძირითად რესპონდენტების ინტერვიუს შესახებ).

ქვემოთ მოცემული ცხრილები მოიცავს ბაზრის ანალიზის მიმოხილვას, ანუ კვლევის შედეგად მიღებულ ძირითად მონაცემებს, რასაც ეფუძნება სტრატეგიული ჩარჩო. პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, რომლის მისაღწევადაც აუცილებელი კომპონენტი ბაზრის გენდერული კვლევაა. ამ ანგარიშის შედეგად მიღებული მონაცემები მოცემულია მატრიცებში - 'როლი და პასუხისმგებლობები' და 'ხელმისაწვდომობა და კონტროლი'.

¹ სოფლად მაცხოვრებელთა მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით. საქსტატი 2013 (ბოლო მონაცემებით). 28% (153 ლარი) არის შემოსავალი ხელფასის სახით.

ცხრილი 1 ბაზრის ანალიზის მიმოხილვა

	რელევანტურობა	სიღარიბის დაძლევის პოტენციალი	ინტერვენციის პოტენციალი
ხორცი			
ძროხის ხორცი	მაღალი: მცირე მესაქონლე ფერმერების უმეტესობას ჰყავს მსხვილი რქოსანი პირუტყვი და ყიდის საქონლის ხორცს წელიწადში ერთხელ ადგილობრივ აგრარულ ბაზარზე.	მაღალი: ხდება საქონლის ხორცის სექტორის ფორმალიზება შესაბამისად, მოთხოვნაც იზრდება (განსაკუთრებით აჭარის მასობრივი ტურიზმის ბაზრიდან), მისი მომარაგება უმეტესად ხდება მცირე მესაქონლე ფერმერების მიერ, რომლებიც ყიდიან ხბოებს სასაკლაოებსა და ყასბებზე.	მაღალი: ინტერვენციებს, რომელიც ფოკუსირებას მოახდენს ბაზარზე მოთხოვნადი ჯიშის და საკვები ბაზის გაუმჯობესებასა და მიწოდების ეფექტურობის გაზრდაზე. მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის ქვემო ქართლის პროგრამის არეალში არსებული კლიენტის მხარდაჭერა აჭარის რეგიონში გაფართოების მიზნით.
რძის პროდუქტები			
ძროხები	მაღალი: მცირე მესაქონლე ფერმერების უმრავლესობას ჰყავს პირუტყვი, რძის პროდუქტებს მოიხმარენ, ყიდიან ან ცვლიან, განსაკუთრებით რელევანტურია ქალებისათვის.	მაღალი: მუდმივად მაღალი მოთხოვნა. ბაზარი იცვლება და მომხმარებლები (განსაკუთრებით, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ²) სულ უფრო მეტად მოითხოვენ პროდუქციის „მაღალ ხარისხს“, რაც გულისხმობს სურსათის უვნებლობასა და ჰიგიენას და მზად არიან ამაში თანხა გადაიხადონ. სუპერმარკეტების ქსელის დაფარვის არეალის ზრდა პატარა ქალაქებში.	მაღალი: ინტერვენციები ფოკუსირებული იქნება არსებული ყველის საწარმოების მასშტაბების გაზრდაზე, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ეფექტურობის გაუმჯობესებაზე, რაც უზრუნველყოფს მცირე მესაქონლე ფერმერების ბაზარზე ხელმისაწვდომობას. მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის ქვემო ქართლის არეალში არსებული კლიენტების მხარდაჭერა აჭარის რეგიონში გაფართოების მიზნით. მომხმარებლისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ცნობიერების ამაღლება და სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
თაფლი			
	მაღალი: სოფლებში მცხოვრები მცირე მესაქონლე ფერმერების უმრავლესობას ჰყავს ფუტკრის ოჯახები. ისინი აწარმოებენ თაფლს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, შიდა მოხმარებისთვის, და დანარჩენს ყიდიან წლის განმავლობაში ადგილობრივ ბაზარზე ან არალეგალურად თურქ მოვაჭრეებზე.	მაღალი: თაფლზე მაღალი მოთხოვნა და საექსპორტო პოტენციალი მეზობელ ქვეყნებში (მაგალითად, თურქეთში), სადაც თაფლის ფასი უფრო მაღალია, ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე.	მაღალი: ინტერვენციები ფოკუსირებულია დამხმარე საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე (ტექნიკური უზრუნველყოფა, მიწოდება, შეფუთვა / მარკირება და ლაბორატორია) და ბაზრის ხელმისაწვდომობასთან გამარტივება იმ წესებთან მიმართებით, რომლებიც უკავშირდება ეტიკეტირებას, სერთიფიცირებისა და ექსპორტის

² საზოგადოებრივი კვების ობიექტები.

ცხრილი 2. სისტემური შეზღუდვები, წამყვანი ფაქტორები და სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობები

სისტემური შეზღუდვები	წამყვანი ფაქტორები და სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობები
რძის პროდუქტების ძირითადი ბაზარი	
<ul style="list-style-type: none"> - მცირე მესაქონლე ფერმერებისათვის ნედლი რძის ბაზარი ნედლი რძის შემკრები ცენტრების შეზღუდული რაოდენობის გამო არახელმისაწვდომია. - ცენტრებიდან მოშორებით არსებულ სოფლებში მცხოვრები მცირე მესაქონლე ფერმერების ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე დაბალია, ცუდი საგზაო პირობებისა და მასთან დაკავშირებული მაღალი საოპერაციო და ტრანსპორტირების ხარჯების გამო. - ბათუმის აგრარული ბაზარი რძის პროდუქტებით მარაგდება საქართველოს სხვა რეგიონებიდან, განსაკუთრებით აქტიური ტურისტული სეზონის დროს (მაისი-სექტემბერი), რაც ქმნის მაღალკონკურენტულ გარემოს ადგილობრივი მცირე მესაქონლე ფერმერებისათვის. - ყველისა და სხვა რძის პროდუქციის მწარმოებლები, რძის შემკრები ცენტრები და მცირე ქარხნები არ არიან დაკავშირებული ინფორმაციის წყაროებთან და საკონსულტაციო სამსახურებთან რძის პროდუქტების უვნებლობასთან მიმართებით. ისინი თავს არიდებენ ასეთი მომსახურებას მაღალი ფასის გამო და ჯერ კიდევ არ იცნობენ კანონში შესულ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელიც არეგულირებს მათ პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, ფერმერებმა არც იციან რა არის კარგი პრაქტიკა და დაუცველნი არიან საბაზრო პირობების ცვლილებების მიმართ. - ბიზნესისა და ყველის მწარმოებლებისათვის სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის კოდექსის და გარემოს დაცვის წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სუსტი დაფარვა. - ყველის მწარმოებელი პატარა ქარხნები ვერ ახერხებენ გაფართოებას, უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად განახლებას ან დივერსიფიკაციას, აღჭურვილობაში ინვესტირებას (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებაში) და პერსონალის შესაძლებლობების განვითარებას, რადგანაც საინვესტიციო კაპიტალის მოძიება შეზღუდულია (საწყისი საწარმოს არარსებობა, საკრედიტო ისტორიის არარსებობა, მცირი ან არახელმისაწვდომი კრედიტი) 	<ul style="list-style-type: none"> - უკეთესი ხელმისაწვდომობა რეგიონში არსებულ მცირე და საშუალო რძის შემკრებ და გადამამუშავებელ საწარმოებზე, რაც გაზრდის ნედლეული რძის გაყიდვების მოცულობას. - მაღალი პოტენციალი რძის პროდუქტების ადგილობრივი წარმოების გასაზრდელად. - „ხარისხიანი“ პროდუქციის მნიშვნელობის შესახებ მომხმარებლის ცნობიერების ამაღლება და უსაფრთხო პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა. ამასთანავე, სუპერმარკეტების ქსელის მიერ მცირე რეგიონული ქალაქების მზარდი ათვისება, საიდანაც მომხმარებლები ელიან „ხარისხიანი“ პროდუქციის მიღებას. არსებობს საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის მიწოდების ზრდის პოტენციალი. - ყველის მწარმოებლების მიერ საკონსულტაციო მომსახურების უკეთესად ათვისება გულისხმობს ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და მცირე და საშუალო მესაქონლე ფერმერებისათვის. - მაღალი პოტენციალი შესაბამისი, უსა რძის პროდუქციისთვის. - „უსაფრთხო“ წარმოების მზარდი საჭიროება აჭარის საერთაშორისო ტურისტული იმიჯის ხელშესაწყობად.

სისტემური შეზღუდვები	წამყვანი ფაქტორები და სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობები
საქონლის ხორცის ძირითადი ბაზარი	
<ul style="list-style-type: none"> - გზისპირა სავაჭრო ობიექტების და პატარა ხორცის მაღაზიის მფლობელების მიერ კანონის დაუცველობა პირუტყვის სახლის პირობებში დაკვლასთან და შეუსაბამო ხორცის რეალიზაციასთან დაკავშირებით ძალიან მცირე ზედნადები ხარჯებით, რაც ზიანს აყენებს სხვა საწარმოებს. - ფასების თვალსაზრისით, გამჭვირვალობისა და არჩევანის ნაკლებობის გამო ფერმერებს უწევთ არამომგებიანი სავაჭრო ურთიერთობების წარმოება შუამავლებთან, რომლებიც აგროვერებს საქონელს სოფელში ვაჭრობის არარეგულარული რამდენიმე არხიდან. ფერმერები ხულოდან სარგებლობენ ახალციხეში არსებული პირუტყვის ბაზრით, რაც გულისხმობს მაღალ საოპერაციო ხარჯებს და ცუდ პირობებს შესაბამისი სატრანსპორტო, აწონვისა და დამუშავების საშუალებების არქონის გამო, ეს კიდევ უფრო ამცირებს საქონლის ხარისხს დაკვლისას. - აჭარის ბაზარზე არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ვერ დააკმაყოფილებს არსებული სასაკლაოებისა და საბითუმო ბაზრების მზარდ მოთხოვნებს, რადგანაც მარჯა არ არის საკმარისი მაღალი საოპერაციო ხარჯების დასაფარად და მოითხოვს ეკონომიას წარმოების ზრდის ხარჯზე მოგების მიღების მიზნით. 	<ul style="list-style-type: none"> - მაღალი ხარისხის პირუტყვზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად ფერმერებს ეძლევათ შესაძლებლობა განაახლონ თავიანთი წარმოება საქონლის ორმაგი დანიშნულების ჯიშთან შეჯვარების მეშვეობით, მაგალითად, შვეიცარიულ ბრაუნებთან, რაც გამოიწვევს ზრდის მაღალ ტემპს და პირუტყვს უფრო ღირებულს გახდის ბაზრისათვის. - ცოცხალი პირუტყვის ბაზრის არარსებობა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მაღალი მოთხოვნა ხარისხიან ხორცზე ხელს უწყობს მცირე რეგიონული სასაკლაოების გაფართოებას, სატრანსპორტო, სასაკლაოს/აწონვის ხარჯების შემცირებას, ამან შესაძლოა პოტენციურად უზრუნველყოს ხარისხიანი ბაზარი ფერმერებისათვის. - ვინაიდან, დღეისათვის ფერმერებს არ გააჩნიათ პირობები პირუტყვის მასის მოსამატებლად, უფრო მაღალი ღირებულების პირუტყვი და დიდი მოთხოვნა შესაძლოა გახდეს ამ სფეროსა და კაფეების სექტორში ინვესტირების მასტიმულირებელი ფაქტორი.
თაფლის ძირითადი ბაზარი	
<ul style="list-style-type: none"> - გაურკვეველობა ექსპორტთან და ზოგადად ხელისუფლების მხრიდან სექტორის მხარდაჭერასთან დაკავშირებით თაფლის მწარმოებლებისათვის მაღალ რისკს წარმოადგენს. - ტესტირების/სერთიფიცირების ლაბორატორიის არარსებობა. - ხარისხის კონტროლზე რეგულირების არარსებობა იწვევს უნდობლობას პროდუქტის მიმართ, რის გამოც იზღუდება ადგილობრივი გაყიდვები, ანუ მომხმარებლები ყიდულობენ მხოლოდ იმ მწარმოებლებისაგან, რომლებსაც პირადად იცნობენ. - არასტაბილური მიწოდება თურქ მოვაჭრეებზე მაღალი დამოკიდებულების გამო. - დახარისხების / შესაფუთი საშუალებების და მარკეტინგული საქმიანობების ნაკლებობა. 	<ul style="list-style-type: none"> - საქართველოში მოთხოვნა მაღალია, მაგრამ სფერო შედარებით აუთვისებელი, ოფიციალური სერთიფიცირების არარსებობის გამო. - საექსპორტო მოთხოვნა თაფლზე მაღალია და აჭარის რეგიონს ხელსაყრელი პირობები გააჩნია იმისთვის, რომ ჩაერთოს ამ ბაზარში. არსებობს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის პოტენციალი.

ცხრილი 3. ბაზრის სისტემური შეზღუდვები დამხმარე ფუნქციებსა და წესებში

სისტემური შეზღუდვები - დამხმარე ფუნქციები
<ul style="list-style-type: none"> - მედია და საინფორმაციო საშუალებები შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო შინაარსის მქონე ინფორმაციის გარეშე ნიშნავს, რომ ფერმერებისათვის შესაბამისი ადგილობრივი ინფორმაცია ნაკლებად ან საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი, რაც დაეხმარება მათ საბაზრო ფასების, მომსახურებისა და მასალებით მოვაჭრეებთან ურთერთობების, პროდუქციის მყიდველების და გამყიდველებთან ურთერთობებისას გადაწყვეტილების მიღებისას, წარმოების ახალი მეთოდების განსაზღვრისას და ა.შ. - სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შესახებ კოდექსის არაერთგვაროვანი დაცვა ხელს უწყობს შეუსაბამო პროდუქციის არსებობას ბაზარზე, რაც ნიშნავს, რომ ბიზნესს არ აქვს მასტიმულირებელი ფაქტორი ბიზნესის განვითარებისა და საკონსულტაციო მომსახურებაში ინვესტიციის ჩასადებად. - კვების უსაფრთხოების სტანდარტების შესახებ საერთო არაინფორმირებულობა და მათი გავლენა რძის პროდუქციისა და საქონლის ხორცის მთავარი მოთამაშეებისათვის დაკავშირებულია სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან სტრუქტურირებული ურთერთობის ნაკლებობასა და ნაწილობრივ, კერძო სექტორში საკონსულტაციო ფორმების არარსებობასთან. - ბიზნესისათვის ტექნიკური კონსულტაციის სახით საჭირო ინფორმაციის არახელმისაწვდომობა და არაინფორმირებულობა. - ფინანსური მომსახურების არახელმისაწვდომობა, რომელიც მორგებული იქნება სასოფლო-სამეურნეო ბიზნესზე, ზღუდავს ფერმერებისა მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის საშუალებას და ეფექტურ ფუნქციონირებას. - სოფლების ცუდი საგზაო პირობები ზოგიერთ ფერმერს მოწყვეტილს ტოვებს სასოფლო-სამეურნეო მომსახურებისა და მასალებისაგან. - პირუტყვის შეუსაბამო და ძვირადღირებული ტრანსპორტირება წარმოქმნის შედარებით მაღალ საოპერაციო ხარჯებს ფერმერებისა და მოვაჭრეებისათვის. მაღალი ღირებულება ნაწილობრივ დაკავშირებულია ცუდ ინფრასტრუქტურასთან (ხანგრძლივი მოგზაურობა; ცვეთა), შეუსაბამო ხარისხის ტრანსპორტთან (სატვირთო მანქანები არ არის პირუტყვზე მორგებული და არა აქვს ჩასატვირთი, ან განყოფილებები, რათა თავიდან ავიცილოთ დაზიანება). - კვალიფიციური ვეტერინარების ნაკლებობა ზღუდავს ეროვნული მომწოდებლების ოპერატიულობას. მუნიციპალიტეტების უმეტესობაში არ არსებობს ვეტერინარული აფთიაქი, ან თუნდაც მაღაზია, ამიტომაც ფერმერები ბათუმში დადიან. შერჩევა, შენახვა, ინფორმაცია და კონსულტირება დაბალ დონეზეა ან არ არსებობს, რასაც თან სდევს მაღალი საოპერაციო ხარჯები. - პირუტყვის ჯიში არ არის გაუმჯობესებული და დაბალი მწარმოებლურობით გამოირჩევა, რაც ადაპტირებულია მინიმალური ხარჯების სისტემასთან. რაც შეეხება მეფუტკრეობას, არსებული ცოდნა ვარვატოზის ვირუსთან და ჯიშის შენარჩუნებასთან დაკავშირებით არასაკმარისია. - საკვები ბაზის სიმცირე (სამოვრები, თივა ან სხვა რესურსები) წარმოადგენს წარმოების გაუმჯობესების სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორს. - მანქანა-დანადგარები, რომელიც მორგებული იქნება აჭარის რელიეფზე, არახელმისაწვდომია, რის გამოც საინვესტიციო ხარჯები ძალიან მაღალია. - დაბალი ზონის მუნიციპალიტეტებში (ხელვაჩაური და ქობულეთი) და შუა ზონაში (ქედა) სამოვრები არ არის, ხოლო შუახევისა და ხულოს სამოვრები, მუდმივი გამოყენების შედეგად, გადაძვებულია. - არაპროგნოზირებადი კლიმატური პირობები, შეუსაბამო და მაღალფასიანი ტრანსპორტი იწვევს შედარებით მაღალი საოპერაციო ხარჯების წარმოქმნას მეფუტკრეებისათვის, რაც ზღუდავს ფუტკრის ოჯახების სეზონური მომთაბარეობის სიხშირეს. - სუსტი ან არარსებული სავაჭრო ასოციაციები სუსტი დაფარვის არეალით იწვევს გაფართოების მსურველი ბიზნესისათვის მაღალი დონის მხარდაჭერის არარსებობას ისეთ სფეროში, როგორცაა ექსპორტი.

სისტემური სისუსტეები

- სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან გამჭვირვალობის, პროპაგანდისა და მხარდაჭერის ნაკლებობა კანონში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით და მისი გავლენა რძისა და ხორცის პროდუქტების სექტორზე საზიანოა ინდუსტრიისათვის, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ბარიერის დაწესების გამო, ვინაიდანაც ისინი იძულებულნი არიან კონკურენცია გაუწიონ მოვაჭრეებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სტანდარტებს და აქვთ დაბალი ზედნადები ხარჯები, მაშინ როცა თვითონ ინვესტიციას დებენ აღჭურვილობაში, ინფრასტრუქტურასა და სისტემებში კანონის შესაბამისად. მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელმაც უნდა იცოდეს, დაგეგმოს და განახორციელოს ცვლილებები ბიზნესში, სამოქმედოდ გააჩნია მხოლოდ არაერთგვაროვანი ინფორმაცია და შესაბამისად არ არის მზად.
- სანდო და ხელმისაწვდომი სერთიფიცირების სისტემის ან სტანდარტების, თავლის ტესტირების დაწესებულების არარსებობა მკაცრად ზღუდავს მიწოდებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.
- პირუტყვის ეროვნულმა მარკირებამ ვერ უზრუნველყო პირუტყვის რეგისტრაციის სანდო სისტემა, რომელიც დააწესებდა შეზღუდვებს ხორცის პროდუქტების მიკვლევადობაზე. გარდა ამისა, სურსათის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია საკმარისი შესაძლებლობა პირუტყვის გაყიდვამდე მისი ვეტერინარული ინსპექტირების ჩასატარებლად.
- არ არსებობს რაიმე სახის სისტემა სამოვრების მართვისათვის.
- მონოპოლიები და ოლიგოპოლიები დამახასიათებელია პირუტყვისა და რძის პროდუქტების სექტორისთვის, რაც უფრო თვალსაჩინო გახდა სასაკალოების მიმართ უფრო მკაცრი რეგულაციების დაწესების შემდეგ.
- თემისა და მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალები არ არიან ჩართული, რაც ზღუდავს ქალთა როლს ძირითად საარსებო წყაროსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ცხრილი 4 მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა აჭარა - მდგრადობის მატრიცა

ბაზრის ფუნქციები	ვინ ასრულებს?	ვინ იხდის?
ძირითადი ბაზარი		
რძის პროდუქტები, ხორცი და თაფლი	კერძო სექტორი	კერძო სექტორი
რძის შემკრები	კერძო სექტორი	კერძო სექტორი
რძის პროდუქციის გადამამუშავება	კერძო სექტორი	კერძო სექტორი
საქონლის დაკვლა	კერძო სექტორი	კერძო სექტორი
ხორცის მალაზიები და საბითუმო გაყიდვები	კერძო სექტორი	კერძო სექტორი
საცალო გაყიდვა	კერძო სექტორი	კერძო სექტორი
დამხმარე ფუნქციები		
სასოფლო-სამეურნეო კრედიტები	კერძო სექტორი (ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები)	კერძო სექტორი და სახელმწიფო
კონსულტაცია სურსათის უვნებლობის შესახებ	სახელმწიფო	კერძო სექტორი
ხელოვნური განაყოფიერება	სახელმწიფო	სახელმწიფო და დონორები (ევროკავშირის ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის - EU ENPARD)
დანადგარებით მომსახურება	კერძო სექტორი	კერძო და სახელმწიფო სექტორი
მედია	კერძო სექტორი და სახელმწიფო	კერძო სექტორი, სახელმწიფო და დონორები
ვეტერინარული მომსახურება, მაგ. ვაქცინაცია	კერძო სექტორი და სახელმწიფო	კერძო სექტორი და სახელმწიფო
ფინანსური მომსახურება	კერძო სექტორი	კერძო სექტორი
გზების ინფრასტრუქტურა	კერძო სექტორი	სახელმწიფო
ბიზნეს მომსახურება	არასამთავრობო ორგანიზაციები ები და სახელმწიფო	კერძო სექტორი, დონორები, სახელმწიფო
წესები		
სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შემოწმება	სურსათის ეროვნული სააგენტო	კერძო სექტორი და სახელმწიფო
საქონლის რეგისტრაცია	სურსათის ეროვნული სააგენტო (სახელმწიფო)	სახელმწიფო
დაავადებათა შეტყობინება და კონტროლი	ადგილობრივი თვით-მმართველობა, სურსათის ეროვნული სააგენტო, ზოგიერთი კერძო ვეტერინარი	სახელმწიფო
მონოპოლიები, ოლიგარქიები და კარტელები	კერძო სექტორი	სახელმწიფო და კერძო სექტორი

ცხრილი 5. როლების და პასუხისმგებლობების გენდერული განაწილება

აქტივობა	ქალი	მამაკაცი
ვეტერინარია		
საქონლის კვება და დასუფთავება/მოვლა	x	
საქონლის წველა	x	
დაავადების სიმპტომების დაფიქსირება და შესაბამისი სამკურნალო წამლების მოთხოვნა	x	
ვაქცინაცია და მკურნალობა		x
ქალაქში გამგზავრება ვეტერინარული წამლების შესაძენად	x ³	x
გამრავლება		
ახურების გამოვლენა	x	
ძროხის წაყვანა გასანაყოფიერებლად		x
ძროხის რეპროდუქციული ციკლის კონტროლი	x	
კომუნიკაცია ვეტერინართან		x
კვება		
საქონლის კვება თივითა და ქატოთი	x	x
თივისა და ქატოს შექმნა		x
მოთიბვა		x
თივის შეგროვება ფოცხით	x	x
თივის შეგროვება ხელით	x	x
ინფორმაცია		
სასაუბროდ საზოგადოებრივ ადგილებში შეკრება		x
ინფორმაციის გადაცემა მეგობრებისა და მეზობლებისათვის	x	x
რძის სექტორი		
დროული მოწველა და რძის პროდუქტების მომზადება	x	
რძის პროდუქციის გაყიდვა	x	
რძის სისუფთავის უზრუნველყოფა	x	
ხორცის სექტორი		
ზრდასრული საქონლის გაყიდვა მოვაჭრეებზე სახლიდან		x
ხბოების გაყიდვა ბითუმად მოვაჭრეებზე სახლიდან	x	x
თაფლი		
თაფლის წარმოება		x
თაფლის გაყიდვა ⁴	x	x
ფუტკრების სკების გადაყვანა სამოვარზე		x
მეფუტკრეობის მასალების შექმნა		x

³ მოშორებულ ადგილებში მცხოვრებ ქალებს შეზღუდული აქვთ ვეტერინარული ავთიაქების ხელმისაწვდომობა, რომლებიც მდებარეობს ქალაქებში (ბათუმი და ქობულეთი), ხოლო ქალები, რომლებიც ცხოვრობენ ახლოს მდებარე დასახლებებში, უფრო ხშირად სტუმრობენ ვეტერინარულ ავთიაქებს.

⁴ 10კგ-მდე რაოდენობას ყიდნიან ქალები, ხოლო უფრო მეტს კი კაცები

ცხრილი 6 რესურსების ხელმისაწვდომობის და კონტროლის გენდერული განაწილება

რესურსები	ხელმისაწვდომობა		კონტროლი	
	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი
ვეტ-აფთიაქი	x	x		x
ვეტერინარი	x	x		x
ხარები	x	x		x
სადოვრები	x	x	x	x
თივა	x	x		x
კომბინირებული საკვები	x	x		x
გაზეთი	x	x	x	x
ტელე-არხები	x	x		x
ონლაინ საინფორმაციო სააგენტოები	x	x	x	
რძე (საკვები და არაფორმალური ეკონომიკა)			x	
ყველი (როგორც მოცემულია ზემოთ)			x	
რძის და ყველის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი			x	x
ყველის მწარმოებელი კომპანია				x
გაყიდული საქონლიდან მიღებული შემოსავალი			x	x
თაფლის გაყიდვა აგრ. ბაზარში			x	x
თაფლის გაყიდვა შუამავლებზე			x	x

მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა - აჭარის პროგრამის არეალის ძირითადი მახასიათებლები

სოფლის მეურნეობა აჭარის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი წილი რეგიონის მთლიან დამატებით ღირებულებაში⁵ მოიცავს 7%-ს და ეს მაჩვენებელი იზრდება. 2012⁶ წელს, რეგიონის სოფლის მეურნეობის მთლიანი დამატებითი ღირებულება შეადგენდა 118.5 მლნ ლარს, 25%-ით მეტი, ვიდრე 2011 წელს (94.8 მლნ ლარი) და 25%-ით მეტი, ვიდრე 2010 წელს (75.7 მლნ ლარი). აჭარის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის 61% (233,255 ადამიანი) სოფლის მეურნეობაშია ჩართული, საიდანაც 86% (200,334) სოფლის მაცხოვრებელია. მათი ძირითადი საარსებო წყარო არის მეცხოველეობა, ასევე მემცენარეობა, რასაც იყენებენ საქონლის საკვებად ან საშინაო მოხმარებისათვის. მუნიციპალიტეტების უმეტესობაში, თავლი წარმოადგენს შემოსავლის მნიშვნელოვან მეორად წყაროს. ნათესი კულტურები განსხვავდება მცირე მესაქონლე ფერმერების საცხოვრებელი ზონების სიმადლის მიხედვით, მაგალითად, დაბალი ზონა, ძირითად, მოიცავს ციტრუსს, სიმინდს და ლობიოს, რასაც ენაცვლება თამბაქო, ხორბალი, ქერი და კარტოფილი მაღალ ზონაში. ციტრუსის წარმოების მნიშვნელოვანი წილი აჭარის რეგიონშია კონცენტრირებული, სადაც გაშენებულია ქვეყნის ციტრუსის პლანტაციების 74.8% (საქსტატი 2012). ცუდი ინფრასტრუქტურა ხელს უშლის წარმოების ზრდას, ვინაიდან ძირითადი სავაჭრო და დამაკავშირებელი გზა ბათუმიდან, შუახევის და ხულოს გავლით, გოდერძის უღელტეხილისაკენ, საზაფხულო საძოვრებზე და მეზობელ სამცხე-ჯავახეთში ჯერ კიდევ ცუდ მდგომარეობაშია, მიმდინარეობს გზის მცირე მონაკვეთების რეაბილიტაცია, თუმცა ზედა ზონის განახლება უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა⁷. აჭარის ცივბოტანიკური ტოპოგრაფიის გამო, ადგილობრივი საძოვრებისა და მიწის ნაკვეთების ხელმისაწვდომობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის საკვების მოსაყვანად, შეზღუდულია. ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი საძოვრებიც კი, შუა და ქვედა ზონებში, გადამოვებულია. საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, აჭარას გააჩნია ფორმალური სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახური, რომელიც ფუნქციონირებს 2011 წლიდან, ყველაზე უფრო დაახლოებულია ფორმალური⁸ სამსახურის მოთხოვნებთან. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა აგროსერვის ცენტრი, როგორც ექსტენციის სამსახური, რომელიც წარმოდგენილია ცენტრალური ოფისით ბათუმში და თითო-თითო ოფისით აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის ყველა ასპექტთან დაკავშირებით საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით, რასაც 2012 წლიდან დაემატა ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების უზრუნველყოფა. ამჟამად, აგროსერვის ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამის მიერ განხორციელებადი ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (UNDP ENPARD) პარტნიორია, რომელიც მოქმედებს 2013 წლიდან და მესაქონლეობის სექტორში ფოკუსირებულია ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების გაუმჯობესებასა და მეცხოველეობასთან დაკავშირებული

⁵ მდლ (მთლიანი დამატებითი ღირებულება) გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) შეფასებისას. ამით იზომება თითოეული ინდივიდუალური მწარმოებლის, ინდუსტრიის ან სექტორის წვლილი ეკონომიკაში.

⁶ მდლ-ს უახლესი მონაცემები ხელმისაწვდომია საქსტატზე.

⁷ ბათუმი-ახალციხის ცენტრალური გზის მონაკვეთზე ხულოში (70-ე კმ-დან მე-80 კმ-მდე, ანუ გზის 10 კილომეტრი) სარეაბილიტაციო სამუშაოები (2 მილიონი ლარი - დააფინანსა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა) დასრულდება 2014 წლის ივლისის ბოლოს. ახალციხე-გოდერძი-ხულოს გზის რეაბილიტაცია არ ხდება არასაკმარისი ფინანსების გამო. სარეაბილიტაციო პროექტი შემუშავებული იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ და ღირებულებამ, დაახლოებით, 100 მილიონი ლარი შეადგინა. პროექტის დასაწყებად დეპარტამენტი ცდილობს დაფინანსების მოპოვებას დონორებისგან.

⁸ ანუ, ყოვლისმომცველი ეროვნული ექსტენციის სისტემა.

ფერმერთა კოოპერატივების ჩამოყალიბებაზე (სერვისის სრული აღწერა იხილეთ წესების სექციაში).

პროგრამის არეალი

პროგრამის არეალი: პროგრამის არეალი მოიცავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტს, როგორც მაღალმთიანს, ასევე დაბლობს. ქვემოთ იხილეთ აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტი: მდებარეობს ზღვის დონიდან 400-3007 მეტრზე (მთა ყანლი); მოიცავს ტერიტორიას გოდერძის უღელტეხილიდან შუახევის საზღვრამდე, მოსახლეობა დასახლებულია იმ ადგილებში, სადაც ხელმისაწვდომია დასამუშავებელი მიწა. ცივი ზამთრის და მთიანი რელიეფის გამო ძირითადი მოსავალი კულტურებია: კარტოფილი და სიმინდი, თივის მცირე რაოდენობით წარმოებასთან ერთად. ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი 1000-1200 მმ-ია. ზამთარი საკმაოდ მკაცრია, დაახლოებით ერთი თვის მანძილზე ზვავების გამო ყველა გზა ჩაკეტილია. ზამთრის/სამთო-სათხილამურო კურორტი ქედლები (1700მ ზღვის დონიდან) სახელმწიფოს დახმარებით განვითარდა, ხოლო ზაფხულისას ბეშუმი (1900მ) გამოირჩევა სუფთა ჰაერით და წიწვოვანი ტყეებით. ბეშუმის კურორტი ფუნქციონირებს ივნისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის დასაწყისამდე.

შუახევის მუნიციპალიტეტი: მდებარეობს ზღვის დონიდან 420 - 2812 მეტრზე (მთა ხევა). შუახევი ტიპური მთიანი მუნიციპალიტეტია, ნალექების 1500მმ-იანი საშუალო წლიური მაჩვენებლით. სოფლები გარშემორტყმულია მთებით, რომლებიც დაფარულია მრავალფეროვანი ტყეებით. აქ უამრავი ბუნებრივი რესურსი, მინერალური წყალი და თერმული წყაროა. კარტოფილი ძირითადი მოსავალი კულტურაა, რაც მესაქონლეობასა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) და მეფუტკრეობასთან ერთად, მთავარ საარსებო წყაროს წარმოადგენს. ასევე, გავრცელებული საქმიანობებია ხის წნული ნაკეთობების დამზადება, ხის სამუშაოები, მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება, დაწვნა და ქსოვა. ამჟამად, ფუნქციონირებს რამდენიმე სოფლის საოჯახო სასტუმრო და გომარდულის სამთო-სათხილამურო კურორტი, რომელიც მდებარეობს 1650 მეტრზე.

ქედას მუნიციპალიტეტი: მდებარეობს ზღვის დონიდან 200 - 2441 მეტრზე (მთა გომა). ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი შეადგენს 1500 მმ-ს, თუმცა ზაფხულში დამახასიათებელია გვალვა. მთავარი საარსებო წყარო, გარდა მესაქონლეობისა, არის მევენახეობა, მეკარტოფილეობი, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და ტურიზმი. პირუტყვის რაოდენობა შედარებით დაბალია, მუნიციპალიტეტში სამოვრისა და პირუტყვის საკვების შეზღუდული რაოდენობის გამო. მუნიციპალიტეტში არ არის ოფიციალური კურორტი, თუმცა არსებობს სოფლის ტურიზმის განვითარების პოტენციური ისტორიული ადგილების, ხელშეუხებელი გარემოს, მინერალური წყლებისა და მახუნცეთის ჩანჩქერის სახით. აქ ხდება მცირე რაოდენობის ოქროსა და სპილენძის მოპოვება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი: მდებარეობს ზღვის დონიდან 500 - 1200 მეტრის სიმაღლეზე. ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი შეადგენს 1500 მმ-ს. ძირითადი საარსებო წყარო, მეცხოველეობის გარდა, ციტრუსის, სიმინდის, პომიდორისა და ჩაის კულტურებია. საოჯახო სასტუმროები, სასტუმროები და რესტორნები ცდილობენ ხელი შეუწყონ სოფლად ტურიზმის

განვითარებას ფრინველებზე დაკვირვების, კულტურულ-რელიგიური ტურიზმის, მაჭახელას ხეობის ტყე-პარკის და მისი საფეხმავლო ბილიკების პოპულარიზაციით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი: მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე და მოიცავს მთებს ზღვის დონიდან 0 მ-დან 2996 მ-მდე სიმაღლეზე (მთა ყანლი), ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი შეადგენს 2500 - 3000 მმ-ს, ნალექების მაქსიმალური მოცულობა აღინიშნება სექტემბერში, ხოლო მინიმალური მაისში. აჭარის სხვა ზღვისპირა კლიმატური კურორტებისაგან ქობულეთი განსაკუთრებული მიკროკლიმატით გამოირჩევა. ტურიზმი, ციტრუსი და ჩაი შემოსავლის ძირითადი წყაროებია, თუმცა ზედა სოფლებში უფრო მეტად გავრცელებულია მესაქონლეობა, სიმინდისა და კარტოფილის კულტურები. ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებითა და ღირსშესანიშნაობებით.

აჭარის მცირე მეცხოველე ფერმერების ძირითადი საარსებო წყაროს მიმოხილვა
ცხრილი 7. მთავარი საარსებო წყაროს მიმოხილვა

ძირითადი საარსებო წყარო	შესაბამისი მუნიციპალიტეტები
მესაქონლეობასთან დაკავშირებული შემოსავალი	
რძის პროდუქტები და საქონლის ხორცი	ყველა მუნიციპალიტეტი
თივა	ხულო, შუახევი
თაფლი	ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი
მარცვლეული კულტურები	
კარტოფილი	ხულო, შუახევი, ქედა
მებაღეობა (პომიდორი, ჩაი და ციტრუსი)	ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი
სიმინდი	ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი
თამბაქო	ქედა, შუახევი

მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის აჭარის პროგრამის არეალში არსებული პირუტყვის რაოდენობა, რაც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, ადასტურებს ფაქტს, რომ რძის პროდუქცია რჩება ძირითად საარსებო წყაროდ, რაც უზრუნველყოფს სურსათის უსაფრთხოებასა და საკვებზე საყოფაცხოვრებო ხარჯების შემცირებას. ქედაში დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია საძოვრებისა და პირუტყვის საკვების შეზღუდული რაოდენობით, ხოლო ხულოს მაჩვენებლები შესამჩნევად მაღალია, რაც მხარს უჭერს რძის პროდუქტების მაღალ მწარმოებლობას. თვითმმართველი ქალაქის ბათუმის ტერიტორიულ მოწყობაში მომხდარმა ცვლილებებმა (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 70% გახდა ბათუმის ტერიტორია 2009-2011 წლებში) გავლენა იქონია ხელვაჩაურში პირუტყვისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის მაჩვენებლებზე.

ცხრილი 8. პირუტყვის რაოდენობა და ფუტკრის ოჯახის სავარაუდო რაოდენობა თითოეულ მუნიციპალიტეტში 2013

მუნიციპალიტეტები	საქონელი (სული)	ფუტკრის ოჯახები აგროსერვის ცენტრის მონაცემები ⁹	ფუტკრის ოჯახების შეფასება ¹⁰ ფოკუს ჯგუფის კვლევისა და მთავარ ინფორმატორებთან ინტერვიუების მიხედვით
ხულო	33850	1660	1621
შუახევი	20695	372	1024
ქედა	10550	5919	2014
ხელვაჩაური	10736	7367	3952 (2694 ¹¹)
ქობულეთი	18974	6910	12706
სულ	94805	22228	24011

მოსახლეობის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აჭარის მოსახლეობა ეთნიკურობის მიხედვით.

ცხრილი 9. მოსახლეობა ეთნიკურობის მიხედვით თითოეულ მუნიციპალიტეტში 2013

	კომლთა რაოდენობა	მოსახლეობის სრული რაოდენობა	თემების რაოდენობა	ეთნიკურობა %			
				ქართველები	სომხები	ბერძნები	სხვა
აჭარა							
ხულო	8700	36600	13	100			
შუახევი	5469	20283	13	100			
ქედა	5045	21244	10	99.1	0.1		0.8
ხელვაჩაური	16551	63528	11	98.6	0.1	0.1	1.2
ქობულეთი	25282	91600	20	96.7	0.2	2.3	0.8
სულ აჭარა	61047	233255	67	98.88	0.08	0.48	0.56

შენიშვნა: სამიზნე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არ არის მრავალფეროვანი, შესაბამისად ეთნიკურობა არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მეცხოველეობის ტენდენციებზე. თუმცა, განსხვავებები ვლინდება რელიგიური თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ამ დროისთვის, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური წყარო, რომელიც იძლევა ინფორმაციას ცალკეული მუნიციპალიტეტების რელიგიური შემადგენლობის შესახებ, არსებული ინფორმაცია გვიჩვენებს მონაცემებს მხოლოდ რეგიონულ დონეზე, რომლის თანახმადაც: 63% არის ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, ხოლო 30% მუსულმანი. დანარჩენი არიან სომეხი ქრისტიანები (2,3%), კათოლიკეები (0.2%), და სხვები (6%).

⁹ აქ მოცემული მაჩვენებლები არის მიახლოებითი მონაცემები. ისინი მიღებულია სწრაფი გამოკითხვის შედეგად, რომელიც ჩატარა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრმა და არ არის სრული. მაგალითად, მაჭახელას ხეობა, თავლის მთავარი მწარმოებელი ტერიტორია, არ არის შესული ამ კვლევაში.

¹⁰ პროგრამული მონაცემები, რაც ეფუძნება ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც მიღებულია ფოკუს ჯგუფების კვლევისა და მთავარ ინფორმატორებთან ინტერვიუების შედეგად.

¹¹ მაჭახლის ხეობის მონაცემი.


ძირითადი საბაზრო სისტემები

ბაზრის ყველა მოთამაშე, რომლებიც მოხსენიებულია ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში, მოცემულია მოთამაშეების ცნობარში დანართი 1.

ტურიზმი აჭარაში და „დაუნსტრიმ“ მოთხოვნა

აჭარა ტურისტული დანიშნულების რეგიონია, მზარდი ტურიზმის სექტორით ბათუმში (და სხვა სანაპირო ქალაქებში), რომელიც ძირითადად ფოკუსირებულია ზაფხულის ტურიზმზე და სასტუმროებზე, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო კონფერენციებისათვის მთელი წლის განმავლობაში. ტურისტების რაოდენობა იზრდება ყოველწლიურად. 2013 წელს, აჭარაში შემოვიდა 5,365,356 ვიზიტორი, რაც 21.2%-ით მეტია 2012 წელთან შედარებით. მასობრივი ტურიზმის წარმატებული განვითარების შემდეგ, 2013 წლიდან ტურიზმის დეპარტამენტი ფოკუსირებულია სოფლად ტურიზმის განვითარებაზე, აჭარაში სხვადასხვა კატეგორიის ტურისტების მოზიდვისა და ტურისტული სეზონის გახანგრძლივების მიზნით. აჭარაში არსებობს მასობრივი ბაზრისთვის მესაქონლეობის უვნებელი პროდუქციის მიწოდების დიდი პოტენციალი, რაც მომდინარეობს ბაზრის მზარდი მასშტაბებიდან და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მხრიდან წამოსული მოთხოვნიდან ხარისხიან პროდუქციაზე, რაც თავის მხრივ აძლიერებს აჭარის, როგორც ხარისხიანი ტურისტული დანიშნულების ადგილის იმიჯს. ეს ნიშნავს მნიშვნელოვან დაუნსტრიმ მოთხოვნას და ადგილობრივი მწარმოებლებისაგან ხარისხიანი მეცხოველეობის პროდუქციის მიწოდების პოტენციალს.

რძის სექტორი: ძროხები



სურათი 1 რძის წარმოება რეგიონების მიხედვით (2013 საქსტატი)

მიმოხილვა

2009 წლიდან, აჭარა რძის წარმოების მიხედვით მეშვიდე უმსხვილესი რეგიონია საქართველოში. თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ აჭარის ფართობს (ყველაზე პატარა რეგიონი ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებს შორის), ციცაბო ტყიანი მთებით გამოწვეულ აგრო-ეკოლოგიურ შეზღუდვებს საძოვრებზე, რაც ხასიათდება ზვავების საშიშროებით და მოსახლეობის რაოდენობას, რძის სექტორი რეგიონისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია¹². მასობრივი ტურიზმის ბაზარი რძის პროდუქტებზე მოთხოვნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. თუმცა, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთთან შედარებით, აჭარის რეგიონის ადგილობრივი რეგიონული რძის წარმოების სისტემა სუსტია, მაგალითად, ბაზრის ანალიზისას გამოიკვეთა მხოლოდ ორი მოქმედი მცირე რძის საწარმო, მოთხოვნის მნიშვნელოვან ნაწილს კი აკმაყოფილებს რეგიონის ფარგლებს გარეთ წარმოებული რძის პროდუქტები. იმერული და სულგუნი ყველი შემოდის ძირითადად სამეგრელოს, იმერეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან. რძის პროდუქტების ბაზარზე (ყველის გარდა) აჭარაში დომინირებს თბილისში არსებული სამი მსხვილი რძის პროდუქციის მწარმოებელი კომპანია (ეკო ფუდი, სანტე და სოფლის ნობათი), თუმცა მათ მზარდ კონკურენციას უწევს იმპორტირებული რძის პროდუქტების კომპანიები, როგორცაა დანონი. რძის პროდუქტები იყიდება პატარა ჯიხურებში, მაღაზიებში, სუპერმარკეტებსა და აგრარულ ბაზრებზე. აჭარის რეგიონში 3 აგრარული ბაზარია, ორი ბათუმში და ერთი ქობულეთში. აჭარის რეგიონში მცირე მესაქონლეობა ფერმერების მიერ წარმოებული რძე სამი ძირითადი მიმართულებით გამოიყენება:

- ❖ საოჯახო მოხმარება
- ❖ რეგიონის აგრარულ ბაზარში ყველის მოვაჭრეებზე მიყიდვა
- ❖ ადგილობრივი ყველის საწარმოებზე რძის მცირე რაოდენობით მიყიდვა.

გენდერული როლები რძის პროდუქტების სექტორში

ქალები ძირითადად ჩართულნი არიან პირუტყვის მოვლა-პატრონობის ყველა ელემენტში და პასუხისმგებელნი არიან წველაზე, რძის გადამამუშავებასა და წარმოებული პროდუქტების რეალიზაციაზე. ყველი მზადდება ქალების მიერ სახლის პირობებში, ძირითადად, შიდა საოჯახო მოხმარებისათვის, ზოგჯერ გასაყიდად. რძისა და მისი გადამამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობის სისუფთავე და უსაფრთხოება, ასევე, ქალების პასუხისმგებლობაა. ამჟამად, აჭარაში მოქმედი რძის გადამამუშავებელი ორივე საწარმოს მფლობელი მამაკაცია. ერთ-ერთ საწარმოში ქალები და მამაკაცები დაქირავებულნი არიან რძის გადამამუშავებლად და შებოლილი ყველი დასაწნავად, მამაკაცები ასევე ახდენენ რძის შეგროვებას ფერმერებისაგან მეზობელ სოფლებში და ბათუმის ბაზარზე რძის პროდუქტების გასაყიდად.

¹²პირუტყვის 58% წარმოდგენილია ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, რადგან მცირე მესაქონლე ფერმერებსათვის აქ უფრო ხელმისაწვდომია საძოვრები სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ამასთანავე, მეცხოველეობა არის მათი ძირითადი შემოსავლის წყარო, ვინაიდან აჭარის რძის პროდუქციის 50%-ზე მეტი წარმოებულია ამ ორ მუნიციპალიტეტში (მთავარ ინფორმატორებთან ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების კვლევის შესაბამისად).

ყველის შუამავლები: ბაზრის მოვაჭრეები, დისტრიბუტორები და საბითუმო ვაჭრები

შიდა საოჯახო წარმოების გარდა, აჭარაში ყველის მწარმოებლების არარსებობის გამო და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოტანილი ყველის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შუამავლები წარმოადგენენ იმ მნიშვნელოვან რგოლს, რომელთა მეშვეობითაც რეგიონში ხდება სხვადასხვა მწარმოებლების სულგუნის შემოტანა, ხოლო იმერული ყველი ძირითადად დამზადებულია შინამეურნეობების ფარგლებში, შემდეგ კი დიდი რაოდენობით მიეწოდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, მაღაზიებსა და პირდაპირ მომხმარებელს. ყველის შუამავლები აჭარაში მოიცავს: ბაზრის მოვაჭრეებს - ანუ აგრარულ ბაზრებში დახლთან მოვაჭრეებს, ფორმალურ და არაფორმალურ დისტრიბუტორებს, ანუ ვინც ყიდულობს და ყიდის (ზოგიერთ მათგანს აქვს საკუთარი ტრანსპორტი და წარმოადგენენ ბიზნეს ოპერატორად რეგისტრირებულ კომპანიებს), და ერთ საბითუმო მოვაჭრეს, რომელსაც ყველი შემოაქვს დიდი ოდენობით ერთი წყაროდან და ყიდის მას დისტრიბუტორებზე საბითუმო წერტილიდან. გარდა ამისა, გაყიდვის კიდეც ერთი მთავარი არხი, რომელსაც ფერმერები იყენებენ, „მარშუტკის“ (ადგილობრივი ტრანსპორტი) მძღოლები არიან, რომლებსაც ყველი ჩააქვთ ფერმერის ოჯახის სხვა წევრებთან, რომლებიც შემდგომ ყიდიან მას. დისტრიბუტორებისა და ბაზრის მოვაჭრეთა კატეგორია ყიდულობს ყველს პირდაპირ ადგილობრივი ან სხვა რეგიონის ფერმერებისგან, რომლებსაც ჩამოაქვთ თავიანთი ყველი აგრარულ ბაზარზე გასაყიდად, მაშინ როცა ყველის სხვა ვაჭრები ქირაობენ ტრანსპორტს და ყიდულობენ ყველს აჭარის ფარგლებს გარეთ, სამტრედიის (იმერეთის რეგიონი) აგრარულ ბაზარში. დისტრიბუტორები, რომლებსაც ჩამოაქვთ ყველი სხვა რეგიონებიდან, ხშირად ყიდიან მას დახლთან მოვაჭრეებზე, ანუ ბათუმისა და ქობულეთის აგრარული ბაზრების მოვაჭრეებზე და მათ მომხმარებლებზე - საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებზე. შუამავლების სხვადასხვა ტიპის მაგალითები მოცემულია ქვემოთ:

- ბათუმისა და ქობულეთის აგრარულ ბაზრებზე არსებობს 20-მდე მოვაჭრე, რომლებიც კვირაში, დაახლოებით, 200-250კგ იმერულ ყველს და 100კგ სულგუნს ყიდულობენ აჭარელი ფერმერებისაგან¹³ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ფერმერებისაგან, რომელთაც ჩამოაქვთ თავიანთი ყველი ბაზრებზე. მათი კლიენტები არიან ძირითადად პირდაპირი მომხმარებლები, ადგილობრივი დისტრიბუტორები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები.
- ბათუმისა და ქობულეთის აგრარული ბაზრების 10-მდე მოვაჭრე ქირაობს ტრანსპორტს კვირაში ერთხელ და მიდის სამტრედიისა და იმერეთის აგრარულ ბაზრებზე, სხვადასხვა სახის ყველის შესაძენად. ყველის თითოეული მოვაჭრე, თითო შემენაზე ყიდულობს, დაახლოებით, 150კგ იმერულ ყველს, 60-70კგ სულგუნს, 40კგ შებოლილ სულგუნს. ტრანსპორტირების ხარჯი შეადგენს, დაახლოებით, 40-45 ლარს/თითო ჯერზე. მათი კლიენტები ძირითადად არიან პირდაპირი მომხმარებლები, ადგილობრივი დისტრიბუტორები და საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლები.
- 2 ყველის დისტრიბუტორი სეზონურად მაისიდან სექტემბრამდე (როდესაც გოდერძის უღელტეხილი გახსნილია) სამცხე-ჯავახეთში, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ფერმერებისგან აგროვებს იმერულ ყველს (1.5ტონა/კვირაში), სულგუნს და ჩეჩილ ყველს (1-2.5 ტონა/კვირაში). ისინი ყიდიან ყველს 20-30 სხვადასხვა

¹³ დიდაჭარისა და ღორჯომის სოფლები, ხულოს მუნიციპალიტეტი.

ყველის მოვაჭრეზე ბათუმის აგრარულ ბაზარში (ერთ-ერთი მათგანი ქირაობს მაქს. 5 ტონა ტევადობის საწყობს ბათუმში).

- საბითუმო მოვაჭრე: 1 საბითუმო მოვაჭრე ყიდის ქვემო ქართლის წალკის მუნიციპალიტეტში მდებარე ქარხანაში წარმოებულ 300-400კგ სულგუნს, 70-100კგ შებოლილ სულგუნს და 30-40კგ დაწნულ შებოლილ სულგუნს ყოველდღიურად ბათუმში. ის ძირითადად თანამშრომლობს სადისტრიბუციო კომპანიებთან, რომლებიც ამარაგებენ სასტუმროებისა და რესტორნების ქსელს და ბათუმის აგრარული ბაზარის 3-4 ყველის მოვაჭრესთან.
- ადგილობრივი დისტრიბუტორები, რომელთაც აქვთ საკუთარი ტრანსპორტი, რომლებიც ყიდულობენ ყველს ზემოაღნიშნული ყველის მოვაჭრეებისაგან, შესყიდულ ყველს ძირითადად ყიდიან რესტორნებში, სასტუმროებში, სახაჭაპურებსა და პატარა კაფეებში.
- 1 ყველის დისტრიბუტორი მაღალი წველადობის პერიოდში დღიურად ყიდულობს 50 კგ, ხოლო დაბალი წველადობისას - 30-40კგ იმერულ და სულგუნ ყველს ბათუმის აგრარულ ბაზრის 2-4 მოვაჭრისაგან და ყიდის სასტუმრო „შერატონ“-ზე და სასულიერო სემინარიაზე. მას აქვს პატარა საწყობი ბათუმში (22 მ²), სადაც ის ინახავს ყველს მაქსიმუმ 2 დღით, სანამ მიაწოდებს ყველის კლიენტებს. ყველის დისტრიბუციისათვის იგი ქირაობს ტაქსს.
- 1 ყველის დისტრიბუტორი ყიდულობს 100-150კგ იმერულ ყველს/დღეში და 70-90კგ სულგუნს/დღეში მაღალი წველადობის პერიოდში, 50-70კგ იმერულ ყველს/დღეში და 30 კგ სულგუნს/დღეში დაბალი წველადობის პერიოდში. მისი ძირითადი კლიენტები არიან სასტუმროები (რედისონ ბლუ ბათუმი, 2 პატარა სასტუმრო ჩაქვში), რესტორნები (კაზლოვიჩი, ღვინის სახლი) და პატარა კაფეები (სულ 24 კლიენტი). ის არიგებს ყველს საკუთარი ტრანსპორტით (Renault cargo), არ იყენებს საწყობს, ვინაიდან როგორც კი იღებს შეკვეთას, მეორე დღითვე ყიდულობს ყველს და იმავე დღეს აწვდის კლიენტებს.

რძის შემკრები პუნქტები

კვლევებმა გამოავლინა, რომ მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის აჭარის პროგრამის არეალში (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთის მუნიციპალიტეტები) არ არის რძის შემკრები პუნქტები, არც კერძო ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და დონორების მიერ შექმნილი/დაფინანსებული რძის შემკრები პუნქტები. ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი, არა მხოლოდ რძის პროდუქტების სექტორში, არამედ მთლიანად მეცხოველეობის სექტორში. მუნიციპალიტეტებში რძის შემკრები ცენტრების ან ადგილობრივი რძის მწარმოებლების არარსებობის გამო, შინამეურნეობებს არა აქვთ დამატებითი არჩევანი და სტიმული აწარმოონ რძე გასაყიდად.

ყველი და რძის პროდუქტების მწარმოებლები

ამჟამად, რეგიონში ერთი მოქმედი ყველის მწარმოებელია, რომელიც ამუშავებს დაახლოებით 1 ტონა რძეს/დღეში. ის იღებს რძეს აჭარის პროგრამის არეალში მცხოვრები ფერმერებისაგან. ძირითადი წარმოებელი პროდუქტებია სულგუნი, შებოლილი სულგუნი და დაწნული შებოლილი სულგუნი. წარმოების მაღალი ხარჯები გამო (რძის დუღილი) სულგუნის ფასი უფრო მაღალია. იგი არ აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის მოთხოვნებს. ცოტა ხნის წინ რძის პროდუქტების ორმა მწარმოებელმა შეწყვიტა მუშაობა აჭარაში. ერთმა საწარმომ, რომელსაც ჰქონდა უფრო მეტად სტრუქტურირებული წარმოება (ქობულეთური), თავისი ბიზნესი გადაიტანა თბილისში, ლაგოდეხსა (კახეთი) და თერჯოლაში (იმერეთი), მაგრამ აგრძელებს ქობულეთისა და ბათუმის მაღაზიების რძის პროდუქტებით (მაწონი, არაჟანი და ხაჭო) მომარაგებას დისტრიბუტორის მეშვეობით.

პროდუქტის დიფერენციაცია

პროდუქტის დიფერენციაცია შემოიფარგლება ერთი რძის ქარხნით, რომელიც აწარმოებს მაწონს, ხაჭოს და არაჟანს. ქარხანა მარაგდება რძით 5 ადგილობრივი ფერმერისაგან და ამუშავებს 300-400 ლიტრ რძეს/დღეში, რაც თავისი შესაძლებლობის 10%-ია და ერთი ნაყინის საწარმოთი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, რომელიც ამზადებს ნაყინს რძის ფხვნილის გამოყენებით და გეგმავს წარმოების გაფართოებას მიმდებარე სოფლებში შეგროვებული ნედლი რძისაგან აირანის დამზადებით.

ცხრილი 10 რძის გადამამუშავებელი ცენტრების რაოდენობა


	ახალშენი	კახაბერი
რძის გადამამუშავებელი ცენტრების რაოდენობა	1	1
მაქსიმალური მოცულობა ლ/დღეში	2000	4000
მიმდინარე წარმადობა ლ/დღეში	1500	400
წარმადობის %	75	10
მომწოდებელთა რაოდენობა	100	5

ცხრილი 11 ერთი კგ ყველის ფასი

	უშუალოდ მწარმოებლისგან ნაყიდი	ადგილობრივ ბაზარში ნაყიდი საბითუმო მოვაჭრეებისგან
იმერული	4.5-5 ლარი/კგ	6/7 ლარი/კგ
სულგუნი	7/8 ლარი/კგ	9-10 ლარი/კგ ¹⁴
შებოლილი სულგუნი	10/11 ლარი/კგ	12/14 ლარი/კგ

¹⁴ ფასები მოცემულია 2014 წლის ივნისის მდგომარეობით.

ხორცი



სურათი 2 ხორცის წარმოება რეგიონების მიხედვით (2013 საქსტატი)

მიმოხილვა

აჭარის რეგიონი, ხორცისა და ხორცის პროდუქტების ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია საქართველოში (30,000 ტონაზე მეტი¹⁵ წელიწადში), თუმცა ხორცის წარმოებას რეგიონში საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი აქვს, დაახლოებით, 2,5 ათასი ტონა (დაკლული პირუტყვის წონა) წელიწადში. დინამიურად მზარდი მასობრივი ტურიზმის სექტორი¹⁶ და ბათუმის ურბანული ცენტრის განვითარება პროგრამის არეალიდან ხორცის გაყიდვის მნიშვნელოვან პოტენციალს წარმოადგენს. საქონლის ხორცის წარმოების თვალსაზრისით, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტები უპირატეს მდგომარეობაში არიან სამოვრების ხელმისაწვდომობისა და პირუტყვის რაოდენობიდან გამომდინარე (იხ. ცხრილი 12). დღეისათვის საქართველოში, დაახლოებით, 79 ლიცენზირებული სასაკლაო ფუნქციონირებს. აქედან, 46-მა სასაკლაომ 2010 წლიდან დაიწყო მუშაობა, იმ რეგულაციიდან გამომდინარე, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის ხორცის ოფიციალური არხების საშუალებით გაყიდვას, რაც აუცილებელია ამ სასაკლაოების ოპერირებისათვის გაღებული მსხვილი ინვესტიციების განსახორციელებლად და საქონლის ხორცზე მოთხოვნის გასაზრდელად. თუმცა სურსათის ეროვნული სააგენტოს არასაკმარისმა კონტროლმა საშუალება მისცა, ერთი მხრივ, მცირე ყასბებს და ხორცის მაღაზიის მფლობელებს განეგრძოთ დაურეგულირებელი მუშაობა და უკანა ეზოში პირუტყვის დაკვლა. გარდა ამისა, მსხვილი სასაკლაოების უსამართლო და მონოპოლიური ბიზნეს პრაქტიკის გამო სექტორში რისკები კვლავ მაღალია. აჭარის ხორცის

¹⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეფასებები

¹⁶ 2013 წელს, რეგიონმა უმასპინძლა 5 მილიონ ვიზიტორს, ხოლო 390,000-ზე მეტი ტურისტი განთავსდა სასტუმროებში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტი).

სექტორში დომინირებენ მცირე და საშუალო შუამავლები და შედარებით ნაკლებად, მსხვილი მოვაჭრეები, რომლებიც ყიდულობენ პირუტყვს/ხორცს აჭარაში (25% - აქედან 80% არის ხულოდან) და საქართველოს სხვა რეგიონებში (75% - გურია (15%), სამეგრელო (35%) და იმერეთის (25%)) და ყიდნიან სხვა ხორცის მოვაჭრეებზე ბათუმის აგრარულ ბაზარში, ხორცის მაღაზიებში, ადგილობრივ დისტრიბუტორებზე ან პირდაპირ საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე. საქონლის ხორცის გაყიდვა ფორმა #2-ის გარეშე (იხ. პარაგრაფი სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შესახებ სრული ინფორმაციისათვის) აკრძალულია და გულისხმობს 1000 ლარიან ჯარიმას, რის შესახებაც აჭარაში ბაზრის ძირითადი მოთამაშეები ინფორმირებულნი არიან. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს საკმარისი მტკიცებულება ეზოში დაკლული პირუტყვის ხორცის აგრარული ბაზრისა და სხვა არაფორმალური არხების მეშვეობით მიწოდების შესახებ (იხ. ცხრილი 16).

გენდერული როლები ხორცის სექტორში

ხორცის სექტორში დომინირებენ მამაკაცები: ისინი უფრო ხშირად უკავშირდებიან შუამავლებს პირუტყვის გაყიდვის მიზნით, ვიდრე ქალები. რეგიონში არ არის პირუტყვის ბაზარი, ამიტომ მამაკაცები პირუტყვს სახლიდან ყიდნიან, მაგრამ მათი არყოფნის შემთხვევაში პირუტყვის გაყიდვის პასუხისმგებლობას ქალები იღებენ. პირუტყვის გასაყიდი ფასი განისაზღვრება როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მიერ. ხორცის ყველა მაღაზიას და სასაკლაოს მამაკაცები ფლობენ. სასაკლაოებზე, ძირითად, მამაკაცები არიან დასაქმებულნი, ქალების ერთადერთი როლი ხორცის მაღაზიებისა და სასაკლაოების დასუფთავებაა.

ხორცის საბაზრო სისტემა პროგრამის არეალში

აჭარაში 4 ლიცენზირებული სასაკლაოა (ქედის გარდა, თითო სასაკლაო თითოეულ მუნიციპალიტეტში), რომლებიც განსხვავებული ბიზნეს მოდელით მუშაობენ (გთხოვთ იხ. ცხრილი 13). ღორჯომსა (ხულო) და ერგეში (ხელვაჩაური) მოქმედ სასაკლაოებს აქვთ ძირითადად პირუტყვის დაკვლის სერვისი. სასაკლაოს მფლობელს ქვედა აჭყვაში (ქობულეთი) აქვს საკუთარი მსხვილფეხა საქონლის ფერმა, ამასთანავე, ყიდულობს ხბოს აჭარისა და საქართველოს სხვა რეგიონების ფერმერებისაგან და შემდეგ აწვდის ხორცს საზოგადოებრივი კვების ობიექტებს და ყიდის საკუთარ მაღაზიაში. ბათუმის აგრარულ ბაზარზე მომუშავე ხორცის მოვაჭრემ ცოტა ხნის წინ გახსნა (ივლისი, 2014) სასაკლაო ოქროპილაურში (შუახევი). ის ყიდულობს მსხვილფეხა საქონელს პროგრამის არეალში და მზა ხორცს ყიდის ბათუმის აგრარულ ბაზარში. სასაკლაოს აქვს დაკვლის სერვისი. მომსახურების ფასები ყველა სასაკლაოში მსგავსია - 30-40 ლარი/ძროხა წონის მიხედვით. ყველა ეს სასაკლაო იყენებს მათი შესაძლებლობის მხოლოდ 13-20%-ს. სასაკლაოების ძირითადი კლიენტები ხორცის მოვაჭრეები/შუამავლები არიან, რომლებიც ყიდნიან ხორცს სხვა მოვაჭრეებზე ბათუმის აგრარულ ბაზარსა და ხორცის მაღაზიებში, საიდანაც საზოგადოებრივი კვების ობიექტები მარაგდება (იხ. ცხრილი 16). ზოგიერთი სასაკლაო ხორცს პირდაპირ ყიდის საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე თუმცა მსგავსი კლიენტების რაოდენობა საკმაოდ დაბალია.

ცხრილი 12 ხორცის წარმოება აჭარაში (ცოცხალი წონა, ათასი ტონა)¹⁷

	2011	2012	2013
ქობულეთი	0,34	0,35	0,38
ხელვაჩაური	0,70	0,64	0,75
ქედა	1,10	1,15	0,22
შუახევი	1,40	1,50	1,50
ხულო	1,60	1,62	1,22
ბათუმი		0,12	0,12
აჭარა (სულ)	5,14	5,38	4,185

ცხრილი 13 სასაკლაოები პროგრამის არეალში

	ხულო	შუახევი	ქედა	ხელვაჩაური	ბათუმი	ქობულეთი
სასაკლაოების რაოდენობა	1	1	0	1	0	1
მაქსიმალური მოცულობა ძროხა/დღე	30	25	0	200	0	15
მიმდინარე ტევადობა ძროხა/დღე	4	4	0	0	0	3
წარმადობა %	13%	16%	0%	0%	0%	20%
მომწოდებელთა რაოდენობა	20	-	0	-	0	-

ხორცის მცირე მაღაზიები

ბათუმში დაახლოებით 35, ქობულეთში კი 4 ხორცის პატარა მაღაზიაა. მათი უმრავლესობა ყოველდღე შეისყიდს ხორცს ბათუმის აგრარულ ბაზრის ხორცის მოვაჭრეებისაგან ან პირდაპირ სასაკლაოებზე. ისინი ყიდნიან საშუალოდ 50 კგ საქონლის ხორცს ყოველდღიურად, ყიდულობენ 9-9.5 ლარად/კგ და რეალიზაციის ფასი არის 10-15 ლარი/კგ, რაც დამოკიდებულია ხორცის ნაჭერზე ან ვიზუალურ შეფასებაზე.

მეცხოველეობის ბაზარი


პირუტყვის ბაზრის¹⁸ არარსებობა ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია მცირე მესაქონლე ფერმერებისათვის უფრო ფართო წვდომა ჰქონდეთ ბაზართან, რომლის მეშვეობით მოხდებოდა მეხორცული პირუტყვით ვაჭრობა. ამჟამად, ფერმერები დამოკიდებულნი არიან შუამავლებსა და სასაკლაოს წარმომადგენლებზე, რომლებსაც მიმართავენ გასაყიდი ძროხის

¹⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

¹⁸ არსებობს გარკვეული დაურეგულირებელი ბაზრები, რაც დაკავშირებულია რელიგიურ დღესასწაულებთან (მაგალითად ყურბან ბაირამი, "EID AL ADHA") ცხვარის გაყიდვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, არსებობს პირუტყვის (ცხვარი და თხა) მცირე ბაზარი ბათუმში, რომელიც ძირითადად ყიდულობს ცხვარს და თხას საქართველოს სხვა რეგიონებიდან შემდგომ ბათუმში გასაყიდად. პირუტყვის დაკვლის წესების გამკაცრებისა და თურქეთში ექსპორტის შეზღუდვის შემოღების შემდეგ (2010) გაყიდვები მნიშვნელოვნად შემცირდა.

არსებობის შემთხვევაში. როგორც ცხრილი 13 გვიჩვენებს, აჭარის სასაკლაოები კარგადაა წარმოდგენილი და მფლობელები გამოხატავენ სურვილს მომარაგდნენ ადგილობრივი ფერმერებისგან. თუმცა ფერმერები აცხადებენ, რომ პირუტყვის ბაზრები მათ უფრო მეტ გამჭვირვალობასა და უკეთეს გასაყიდ ფასებს¹⁹ სთავაზობენ. ტრანსპორტირების ხარჯები, ცუდი საგზაო პირობები, დიდი დისტანცია ლიცენზირებულ სასაკლაომდე, სათანადო ტრანსპორტის არარსებობა, მაღალმთიან რეგიონში მკაცრი ზამთარის გამო ჩაკეტილი გზები და მაღალი სეზონური მოთხოვნა ხორცის სექტორის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორებია.

თაფლი



სურათი 3 თაფლის წარმოება რეგიონების მიხედვით (2013 საქსტატი)

მიმოხილვა

აჭარა თაფლის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2012 წლის მონაცემებით, აჭარაში დაახლოებით 600 ტონა თაფლი შეგროვდა²⁰. ქართული თაფლი მაღალი საექსპორტო პოტენციალით გამოირჩევა. ამჟამად, სხვადასხვა მიზეზების გამო, როგორცაა სპეციალიზირებული სერთიფიცირების

¹⁹ზევრ მცირე მესაქონლე ფერმერს ხულოდან (საზღვარი სამცხე-ჯავახეთთან) გაჰყავს თავისი პირუტყვი ახალციხის მეცხოველეობის ბაზარზე.

²⁰ფაქტობრივი რაოდენობის დადგენა რთულია, აგროსერვის ცენტრის მონაცემები მიუთითებს 363 ტონას, რაც არ მოიცავს მონაცემებს მაჭახელას ხეობის შესახებ, რომელიც აჭარაში თაფლის მთავარი მწარმოებელია. აჭარის პროგრამის არეალის ფოკუს ჯგუფის მონაცემების მიხედვით აჭარაში 482 ტონა თაფლია, მაჭახელას ხეობის ჩათვლით.

ლაბორატორიებისა²¹ და თავლის ხარისხის მაკონტროლებელი სასერთიფიკატო ორგანოების ნაკლებობა, საქართველოს ვერ ახდენს მეზობელ ქვეყნებში თავლის ექსპორტირებას, დაუშვებელია ევროკავშირში ექსპორტირებაც, მიუხედავად საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად არსებული კვოტებისა. მაგალითად, თუკი მოხდება აჭარის თავლის თურქეთის წესების თანახმად სერთიფიცირება²², შესაძლებელი გახდება 200 ტონა თავლის ექსპორტირება თურქეთში ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე, თურქეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. 2013 წელს, ექსპორტირებული თავლის ღირებულება დაახლოებით 120 ათასი დოლარი იყო, მაშინ როცა საქართველო წელიწადში აწარმოებს 4,000 ტონაზე მეტ თავლს (დაახლოებით 24 მილიონი აშშ დოლარი). აჭარის თავლის სექტორი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თურქეთზე. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი კრძალავს არასერთიფიცირებული თავლის იმპორტს, აჭარის თავლს ძირითადად ყიდულობენ თურქი შუამავლები, რომლებსაც კონტრაბანდის სახით გადააქვთ თავლი თურქეთში, სადაც მისი ფასი გაცილებით მაღალია. ბევრ მეფუტკრეს ურჩევნია თავლი თურქ შუამავლებზე გაყიდოს, ადგილობრივ ბაზართან შედარებით მაღალი შემოთავაზებული ფასის გამო. ხარისხის კონტროლის ნაკლებობის გამო ბაზარი შეზღუდულია, რადგან იქმნება უნდობლობა ადგილობრივი თავლის ხარისხისადმი. ადგილობრივ მომხმარებლებს მიაჩნიათ, რომ თავლი, რომელიც ბაზარზე იყიდება ფალსიფიცირებულია და დამატებული აქვს შაქარი, რაც გავლენას ახდენს ფასზე და ადგილობრივ მომხმარებელზე. მომხმარებლები ენდობიან ხარისხს მაშინ, როცა პირადად 'იცნობენ' მომწოდებელს. ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულის გარდა, მეფუტკრეები უჩივიან ხარისხიანი მასალების ნაკლებობას, რომელიც მოიცავს ინფორმაციისა და ტექნიკური კონსულტაციების ნაკლებობას, ფუტკრის სკის მასალების ნაკლებობას, აღჭურვილობის მაღალ ფასებს, ხელოვნური ფიჭის მომზადებისათვის საჭირო საშუალებების არახელმისაწვდომობას და "დედა ფუტკრის" უნიკალური თვისებების დაკარგვის მაღალ რისკს²³.

გენდერული როლები თავლის სექტორში

მეფუტკრეობით (თავლის გაყიდვის გარდა), რაც მოიცავს ფუტკრების გადაადგილებას (მომთაბარეობა), შუამავლებთან მოლაპარაკებებს, საშუალებების შეძენასა და თავლის ფასის განსაზღვრას, ძირითადად, დაკავებულია მამრობითი სქესი. მეფუტკრეობის ყველა მაღაზიას ფლობენ მამაკაცები, მაგრამ ზოგიერთ მათგანში გვხვდება ქალი გამყიდველები. ამ სექტორში ქალთა ძირითადი როლი თავლის გაყიდვაა.

²¹ამჟამად, ასეთი ლაბორატორია აჭარაში ან საქართველოში არ არსებობს, თუმცა ცოტა ხნის წინ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოაცხადა (ივლისში), რომ დაგეგმილია ასეთი ლაბორატორიის აღჭურვა. მცირე რაოდენობის თავლის ექსპორტი ხდება ლიბანსა და საუდის არაბეთში ტესტირებისათვის ნიმუშების გაზაზვის შემდეგ.

²²თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ მასში ნახსენებია სურსათის უვნებლობა და ჰიგიენა ISO 2200-ის შესაბამისად და თავლის მიკვლევადობასთან და კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს სახეობების მიხედვით (ველური ყვავილი, წაბლი, აკაცია).

²³დედა ფუტკარი არის ზრდასრული ფუტკარი, რომელიც ცხოვრობს ფუტკრის ოჯახში ან სკაში. იგი ჩვეულებრივ არის ყველას დედა, თუ არა ყველასი, სკაში მყოფი ფუტკრების. დედა ფუტკრის განვითარება ხდება მუშა ფუტკრების მიერ შერჩეული ჭიდან და მათ სპეციალურად კვებავენ, რათა გახდნენ სქესობრივად მომწიფებულნი. როგორც წესი, სკაში მხოლოდ ერთი დედა ფუტკარია. მის გარეშე ოჯახი დიდხანს ვერ იცოცხლებს. ყოველ 2-3 წელიწადში დედა ფუტკარი შეყვანილი უნდა იქნას სხვა არადაკავშირებული ოჯახიდან, თუმცა ხშირად მეფუტკრეებს დედა ფუტკარი მოჰყავთ მეზობელი სკიდან თავიანთ ოჯახში, რაც ხსნის დამაბულობას.

მეფუტკრეობა აჭარაში

თაფლი ყოველთვის აჭარის სოფლის მეურნეობის ტრადიციული სექტორი იყო. თუმცა, როგორც მთავარი ინფორმატორები აცხადებენ, უკანასკნელ წლებში²⁴ მეფუტკრეობა სასოფლო შინამეურნეობებს შორის მნიშვნელოვნად შემცირდა, ძირითადად ვარვართის ვირუსის ზეგავლენისა და სოფლებიდან ქალაქად მამაკაცების მიგრაციისა (ტრადიციულად პასუხისმგებლები მეფუტკრეობაზე) და მათი თურქეთში სამუშაოდ წასვლის გამო. თუმცა, თაფლი ჯერ კიდევ ითვლება პროგრამის სამიზნე ჯგუფის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ, რომელიც იძლევა ეკოლოგიურად ხელსაყრელი განვითარების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც კლიმატურად უფრო შეეფერება თაფლის წარმოებას (იხ. ცხრილი 14 და დიაგრამა 4). აჭარაში მეფუტკრეობის სამი ძირითადი ზონაა: დაბალი, საშუალო და მაღალი. ქედის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები განლაგებულია დაბალ და საშუალო ზონებში, ამიტომაც, მათთვის მანძილი სხვა ზონებამდე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მაღალი მთის მუნიციპალიტეტებისათვის (შუახევი, ხულო). აჭარაში თაფლის შეგროვება წელიწადში ორჯერაა შესაძლებელი: მაისში (აკაცია, ციტრუსი, ველური ყვავილი) და აგვისტოს ბოლოს (წაბლი).

აჭარის პროგრამის არეალის ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, მეფუტკრეობაში ძირითადი კომერციული საქმიანობის სახით დაახლოებით 1200 ადამიანია ჩართული და ჰყავთ საშუალოდ 24 ათასი ფუტკრის ოჯახი (2014 წლის მაჩვენებელი). ფოკუს ჯგუფების კვლევის თანახმად, მცირე მესაქონლე ფერმერებს, რომლებიც აწარმოებენ თაფლს გასაყიდად, საშუალოდ ჰყავთ 5-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი, ხოლო საშუალოდ 19 ფუტკრის ოჯახი. თუმცა, ეს სრულად არ მოიცავს მათ, ვისაც აქვთ სკების მცირე რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ თაფლს საშინაო მოხმარებისათვის და გასაყიდად, და რომელსაც შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში, აქვს ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი. კლიმატური პირობებისა²⁵ და ფუტკრის საძოვრების უკეთესი ხელმისაწვდომობის გამო, მეფუტკრეობა მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროდ ითვლება ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ფერმერების უმრავლესობისათვის, რომელთაც საშუალოდ 30-50 ფუტკრის ოჯახი ჰყავთ²⁶. მაჭახელას ხეობა, რომელიც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ნაწილია, ცნობილია თაფლის წარმოებით და ამიტომ ცალკე მოიხსენიება ქვემოთ მე-14 ცხრილში.


²⁴მთავარ ინფორმატორებთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ ამჟამად სოფლად შინამეურნეობების 25%-ს ჰყავს მინიმუმ ერთი სკა, როცა ადრე ეს მაჩვენებელი იყო 40%. ისინი ასევე აცხადებენ, რომ ბევრი მათგანი გამოხატავს მზადყოფნას კვლავ აწარმოოს თაფლი.

²⁵ ნექტარი გროვდება 16-24°C ტემპერატურაზე.

²⁶ მაღალმთიან რეგიონებში მკაცრი ზამთრისა და ქვედა ზონის საძოვრებამდე მანძილის გამო (მაღალი რისკები და სატრანსპორტო ხარჯები) ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების ფერმერებისათვის გაზაფხულზე თაფლის შეგროვება რთულია.

ცხრილი 14. თაფლის სექტორი პროგრამის არეალში (მონაცემები მოწოდებულია აგროსერვის ცენტრის (ასც) მიერ და ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგად)²⁷

	ხულ	შუახვევი	ქედა	ხელვაჩაური ²⁸	მაჭახელა ²⁹	ქობულეთი	სულ
# მეფუტკრეები ³⁰	102	70	169	232	96	603	1272
# მეფუტკრეები (ასც)	73	26	176	130		213	618
# ფუტკრების კოლონია	1621	1024	2014	3952	2694	12706	24011
# ფუტკრების კოლონია(ასც)	1660	372	5919	7367		6910	22228
თაფლის წარმოება (ტონა)	31.6	20	39.3	77.1	66	247.8	482
თაფლის წარმოება (ტონა) (ასც)	32	20	39	77		248	363
ფოკუს ჯგუფის რესპოდენტებს თანახმად თაფლი ამ თემში მთავარი შემომტანი საქმიანობა	13%	21%	60%	70%	100%	67%	46%
% მეფუტკრეები სოფლის შინამეურნეობები	1.2%	1.4%	3.7%	1.5%	13.5%	3.7%	4.2%



სურათი 4: მცირე მესაქონლე ფერმერების %, რომელიც განიხილავს თაფლის წარმოებას, როგორც შემოსავლის მომტან მთავარ საქმიანობას

თითოეული ფუტკრის ოჯახიდან მიიღება საშუალოდ 15-20 კგ თაფლი წელიწადში. თითოეულ მუნიციპალიტეტში წარმოებული რაოდენობის მიახლოებითი მონაცემები მოცემულია ქვემოთ, მე-5 სურათზე. კომერციულ მეფუტკრეთა უმეტესობა მისდევს მომთაბარეობას, ანუ სეზონის


²⁷შენიშვნა: ამ სექტორის წარმომადგენელ მთავარ ინფორმატორებთან ინტერვიუების თანახმად, ცხრილში მოცემული მონაცემები არ არის სრული. მაგალითად, უკეთესი კვლევის ჩატარებაა საჭირო მაჭახელას ხეობაში, სადაც როგორც ამბობენ, გროვდება აჭარის თაფლის 40%. ბაზრის ანალიზის დროს რამდენიმე სხვა მსხვილი მეფუტკრე გამოიკვეთა, რომლებიც არ იყვნენ შესული აგროსერვის ცენტრის მიერ მოწოდებულ სიაში ან ფოკუს ჯგუფის კვლევაში.

²⁸ მაჭახელას დასახლების სოფლების გარდა.

²⁹ მაჭახელა მდებარეობს ხელვაჩაურში (ერთი თემი) და ცნობილია თავისი მეფუტკრეობის ტრადიციებით.

³⁰ეს მაჩვენებელი ასახავს უფრო მსხვილ მეფუტკრეებს, ვისთვისაც თაფლის გაყიდვა მნიშვნელოვანი კომერციული საქმიანობაა. ფერმერების მიახლოებითი %, რომლებიც აგროვებენ თაფლს შიდა მოხმარებისათვის, და ასევე ყიდიან ჭარბ რაოდენობას, ანუ ვინც ფლობს მინიმუმ ერთ სკას, შეადგენს დაახლოებით 25%-ს.

მიხედვით სკები გადაჰყავთ სხვადასხვა ადგილებში ფლორის, ბუნებრივი ყვავილობით სარგებლობის მიზნით³¹. მეფუტკრეები, როგორც წესი, იყენებენ საკუთარ მინი ფურგონებს ან ქირაობენ ტრანსპორტს. ძირითადად, თაფლის შეგროვება წელიწადში ორჯერ ხდება: ივნისის დასაწყისში (ყვავილის თაფლი) და აგვისტოს ბოლოს (წაბლის თაფლი). მაღალი ფასის გამო (15-20 ლარი/კგ) წაბლის თაფლი უფრო პრიორიტეტულია, ყვავილის თაფლთან შედარებით (10-15 ლარი/კგ). ზოგიერთი მეფუტკრე მხოლოდ წაბლის თაფლს აგროვებს, რადგან უამინდობის რისკი გაზაფხულზე მაღალია. უამინდობა მეფუტკრეობის ყველაზე დიდ რისკად ითვლება. ტრანსპორტირების პროცესიც შედარებით სარისკოა, განსაკუთრებით ცუდ გზებზე. მეფუტკრეთა უმრავლესობას თვითონ გამოჰყავს "დედა ფუტკარი", ხოლო სხვები ყიდულობენ "დედა ფუტკრებს" ბათუმში, იმერეთსა და სამეგრელოში. ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაცია მუხური ყველაზე პოპულარულია. ფოკუს ჯგუფის კვლევის შეფასებით, რეგიონში ყოველწლიურად, დაახლოებით, 500³² ტონა თაფლი გროვდება.



სურათი 5. თაფლის საგარეულო წარმოება აჭარაში (ფოკუს ჯგუფის კვლევა)

თაფლის საბაზრო სისტემა პროგრამის არეალში

თაფლის საბაზრო სისტემა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თურქ შუამავლებზე, რომლებიც თაფლს თურქეთში კონტრაბანდის სახით აგზავნიან (ოფიციალურად, სერთიფიკატის არარსებობის გამო, ქართული თაფლის თურქეთში ექსპორტირება ოფიციალურად არ ხდება). თურქეთში თაფლის ფასი საკმაოდ მაღალია. თურქი შუამავლები მცირე მესაქონლე ფერმერებს ქართულ თაფლში უფრო მაღალ ფასს სთავაზობენ (18-20 ლარი/კგ), ვიდრე ადგილობრივი შუამავლები (მოვაჭრეები) ბაზარზე (15 ლარი/კგ). ადგილობრივი შუამავლები თავის მხრივ, ასევე, თურქ შუამავლებზე არიან ორიენტირებულნი. თუმცა, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში თაფლის ექსპორტი თურქეთში გართულდა და ბევრი მეფუტკრე თაფლს სახლში ინახავს შემდგომ თურქ შუამავლებზე გასაყიდად, რომლებიც თურქეთში თაფლის იმპორტის აკრძალვის მიუხედავად, რეგულარულად ჩნდებიან სოფლებში თაფლის შეგროვების სეზონის დროს (სექტემბრის დასაწყისიდან). მეფუტკრეების უმრავლესობისათვის თაფლის ადგილობრივი საბაზრო ფასები ძალიან დაბალია. რეგიონში ხარისხის შესამოწმებელი ლაბორატორიებისა და სერთიფიცირების არარსებობა, არაინფორმირებულობა კანონმდებლობის შესახებ თაფლის ხარისხის კონტროლთან მიმართებაში, ხელს უწყობს გავრცელებულ რწმენას ბაზარზე ფალსიფიცირებული თაფლის (შაქრით ფალსიფიცირებული თაფლის) არსებობის შესახებ და მნიშვნელოვნად ზღუდავს ადგილობრივ ბაზარზე თაფლის გაყიდვას, რაც თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივ მწარმოებლებზე.

³¹კინტირის ხეობა, ქობულეთი (3 ჯერ / წელიწადში) და აჭარისწყლის ხეობა, ხელვაჩაური (5 ჯერ / წელიწადში) აჭარაში ყველაზე გავრცელებული ადგილებია ზამთრის სამოვრიდან ზაფხულის სამოვარზე გადასაყვანად.
³² უამინდობის გამო, წელს მეფუტკრეები აჭარაში თაფლის შედარებით ნაკლებ რაოდენობას ელიან.

საწარმოო ინვენტარი და სხვა მასალები მეფუტკრეებისათვის

ბათუმში მეფუტკრეობის 3 მაღაზიაა. აჭარის ზოგიერთ ვეტერინარულ აფთიაქს მარაგში მცირე რაოდენობის მასალები და მედიკამენტები აქვს. მეფუტკრეობის მასალები მაღაზიებს ძირითადად თურქეთიდან შემოაქვთ. მეფუტკრეები, როგორც წესი, მასალებს ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში, ან კიდევ თურქეთში ყიდულობენ³³.

თაფლის გადამამუშავებელი საწარმოები

აჭარაში არსებობს ორი კომპანია, რომელიც ახდენს შეგროვებული თაფლის შეფუთვას/დახარისხებას. შპს "მაჭახელა", ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, 2010 წელს USAID-ის თანადაფინანსებით შეიქმნა. კომპანია თაფლს ხეობის ადგილობრივი მცირე ფერმერებისგან აგროვებს. ამჟამად, ისინი აფასობენ/ახარისხებენ 2-3 ტონა თაფლს, ყოველწლიურად მაქსიმალური 20-30 ტონა მოცულობით. ამჟამად, კომპანიის ძირითადი შეზღუდვა გაყიდვებს უკავშირდება.

გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ასოციაცია "მთა-ბარი" მდებარეობს ჩაქვში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი). ასოციაცია დააფინანსა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა³⁴. ასოციაციის მთავარი მიზანია აჭარის ველური ფლორის ეკონომიკურად მნიშვნელოვანი სახეობების გაშენება და განვითარება მტირალას ეროვნული პარკის ბუფერულ ზონაში. ასოციაციას აქვს თაფლის საგამოფენო სახლი, სადაც წარმოდგენილია თაფლი ბუფერული ზონიდან (მტირალას ეროვნული პარკი). ისინი ყიდულობენ, აფასობენ/ახარისხებენ (არამექანიზირებულად) თაფლს ადგილობრივი მეფუტკრეებისაგან და ყოველწლიურად ყიდნიან 2-3 ტონას ადგილობრივ და უცხოელ სტუმრებზე. ისინი ასევე აკავშირებენ საბითუმო მყიდველებს თაფლის ადგილობრივ მომწოდებლებთან.

³³ქემალ ფაშა - კომერციული წერტილი თურქეთში, მდებარეობს სარფის საზღვართან ახლოს.

³⁴ასოციაცია დაკავშირებულია მტირალას ეროვნული პარკის ბუფერულ ზონასთან. მათ აფინანსებდათ ნორვეგიის მთავრობა (თანადაფინანსებით 30 000 ევრო) და პოლონეთის მთავრობა (დამატებითი დაფინანსება 48 000 ევრო). მათ ასევე მიიღეს გრანტი (ECO-AWARD) ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისაგან (36 610 აშშ დოლარი) 2009-2010 წლებში. მტირალას ეროვნული პარკი შედის კავკასიის ბუნების ფონდის ზედამხედველობის ზონაში (დააჯილდოვეს 210 000 ევროთი) 2013-2015 წლებში. ეს ორგანიზაცია ფინანსდება გერმანიის მთავრობის (BMZ), კონსერვაციის საერთაშორისო და მსოფლიო ველური ბუნების დაცვის ფონდის მიერ (WWF).

ბათუმისა და აჭარის, როგორც საერთაშორისო კურორტის განვითარებასთან ერთად, აჭარის მთავრობა აცნობიერებს ტურისტებისათვის უსაფრთხო საკვების მიწოდების მნიშვნელობას საზოგადოებრივი კვების ობიექტების საშუალებით. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნება სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) მიერ კონტროლის გამკაცრება, მათ შორის აჭარაშიც, რაზეც მეტყველებს აჭარის სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინსპექტირებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების გაზრდილი რაოდენობა, და ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ტრენინგებსა და საინფორმაციო აქტივობებში ხარისხიანი საკვების საკითხის წამოწევა. თუმცა, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, სურსათის ეროვნული სტანდარტების შესაბამისი ნებისმიერი ზომის ყველისა და ხორცის ადგილობრივი მომწოდებლების რაოდენობა მცირეა და როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა რეგიონის მცირე მესაქონლე ფერმერების მიერ მოწოდებული მეცხოველეობის პროდუქტების დიდი ნაწილი არ შეესაბამება სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებს. ამგვარად, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოთამაშეები რთულ მდგომარეობაში არიან, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტისა და უმაღლესი პროფილის დაწესებულებებთან ურთიერთობისას, სადაც მომხმარებლები მიიჩნევენ, რომ გარემო, სერვისი და ფასი უნდა შეესაბამებოდეს საკვების ხარისხს. მიუხედავად მათი ძალისხმევისა, ისინი ვერ ყიდულობენ უსაფრთხო პროდუქციას, ვინაიდან ასეთი პროდუქციის წარმოების ღირებულების ჯაჭვი არ არსებობს. ჩანს, რომ პროგრესი მიღწეულია ხორცის სექტორში, სადაც მაღალი პროფილის დაწესებულებები (როგორც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 15, 16, 17) მოითხოვენ ფორმა 2 (იხილეთ შენიშვნა ქვემოთ) დოკუმენტს. თუმცა, საქონლის უკანა ეზოში დაკვლა ჯერ კიდევ გავრცელებულია და მიწოდების არაფორმალური ჯაჭვები კვლავ არსებობს, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მთელი ხორცი აგრარულ ბაზარში, რომლითაც შემდეგ მარაგდება ბევრი სავაჭრო წერტილი, შეესაბამება სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებს; უცნობია რა დონეზე ხდება ფორმა 2-ის გამოწერა და გამოყენება და რამდენად წარმატებულად ხდება მიწოდებული პროდუქციის გაკონტროლება. ყველის სეგმენტში იმერული ყველის წარმოება³⁵, რაც აუცილებელია ხაჭაპურის მოსამზადებლად, თითქმის ყოველთვის კეთდება შინამეურნეობებში და ბაზარზე ხვდება შუამავლების, არაფორმალური სავაჭრო ურთიერთობების და აგრარული ბაზრების მეშვეობით (ქვემოთ იხილეთ შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ).

სოფლად საოჯახო სასტუმროების სეგმენტი, დღეისათვის მცირე და დაურეგულირებელია და აქ ძირითადად იყენებენ საოჯახო პირობებში მომზადებულ რძის პროდუქციას, ხოლო ხორცს ყიდულობენ მეზობლებისაგან ან ბათუმში მდებარე ხორცის მაღაზიებისგან. თუმცა, სექტორი გვთავაზობს მოთხოვნის გაზრდის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს მოცულობის გაზრდის პოტენციალით და ტურისტების მომსახურებით მთელი წლის განმავლობაში და არა მხოლოდ ზაფხულის სეზონის დროს. როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს, სექტორი ცდილობს გარკვეული ფუნქციების ფორმალიზებას ხარისხის უკეთ გასაკონტროლებლად, ბევრი იყენებს ფორმალურ ანუ რეგისტრირებულ ან არაფორმალურ სადისტრიბუციო

³⁵ეს ხდება სულგუნთან შედარებით იმერული ყველის სიიაფის გამო, როცა ყველის მწარმოებელი ინვესტირებას ახდენს ყველის მწარმოებელ ქარხანაში, ის ავტომატურად აწარმოებს სულგუნს, რადგან მას აქვს მაღალი ფასი და ფარავს წარმოების ხარჯებს და უზრუნველყოფს მოგებას. ალიანსების პროგრამის სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის პროგრამის აქტივობების შედეგად, შესაძლებელი გახდა ბათუმში უსაფრთხო და ხარისხიანი სულგუნის შემოტანა, რომელსაც აწვდიან დისტრიბუტორები სავაჭრო ობიექტების ფართო სპექტრს და დაწესებულებებს. არსებობს ერთი მიმწოდებელი, რომელსაც აქვს სადისტრიბუციო ობიექტი ბათუმში და ამარაგებს უამრავ სავაჭრო ობიექტს, როგორც ეს ქვემოთ ცხრილებშია ნაჩვენები.

კომპანიებს ან პირებს, რომლებიც ახდენენ პროდუქციის მიწოდებას მათთვის და რომელთა როლიც არის 'ხარისხიანი' პროდუქციის მიწოდება. თუმცა, როგორც ჩანს ხდება ბათუმის აგრარულ ბაზარზე შესყიდული პროდუქციის მიწოდება, სადაც მიუხედავად სურსათის ეროვნულ სააგენტოს თავდაპირველი ძალისხმევისა³⁶, პროდუქციის ხარისხის ყოვლისმომცველი კონტროლი მაინც არ ხდება. ეს იწვევს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შესაბამისობის "შენიღბვას" და ძირითადი მოთამაშეების თავშეკავებას გაამჟღავნონ რეალური მომწოდებელი უარყოფითი გამოხმაურების ან სააგენტოს მხრიდან სადამსჯელო ქმედების შიშის გამო, იმ გამჭვირვალობის ნაკლებობასთან ერთად, რომელიც ზოგადად არსებობს საკითხის გარშემო.

ფორმა 2: ფორმა 2 არის ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც გასცემს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკრეტულ სასაკლაოზე მიმაგრებული ვეტერინარი, და მას ხელს აწერს თავად ვეტერინარი და პირი, რომელიც ახდენს ხორცის შემდგომ დისტრიბუციას. დოკუმენტი ადასტურებს დაკლული პირუტყვის ჯანმრთელობას ან დაავადების არსებობას. ვეტერინარული კანონის შესაბამისად, ყველა სასაკლაო ვალდებულია ჰყავდეს სააგენტოს ვეტერინარი, რომელიც ამოწმებს დაკლულ პირუტყვს ვიზუალურად და/ან ლაბორატორიულად საჭიროების შემთხვევაში. თუკი დაკლულ პირუტყვს დაუფიქსირდება დაავადება, ვეტერინარი წყვეტს ხორცი უნდა განადგურდეს, თუ შესაძლებელია მისი გამოყენება ხორცის მწარმოებლების მიერ წარმოებაში (ძეხვი და ა.შ.).

ფორმა #2 იძლევა ინფორმაციას:

- დაკლული პირუტყვის ჯანმრთელობის ან დაავადებების შესახებ
- დაკვლის ადგილის შესახებ (სახელი და სასაკლაოს საიდენტიფიკაციო ნომერი)
- დაკლული პირუტყვის წონის შესახებ
- ხორცის დანიშნულების ადგილი (გაყიდვის წერტილების დასახელება და ადგილმდებარეობა)
- სატრანსპორტო საშუალებები (მანქანა / მაცივარი - სატვირთო მანქანა)

სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის კონტროლი ბათუმისა და ქობულეთის აგრარულ ბაზრებში

აჭარის აგრარული ბაზრები, კერძოდ, ბათუმის აგრარული ბაზარი წარმოადგენს საზოგადოებრივი კვების ობიექტების, ხორც-პროდუქტების მაღაზიებისა და ჯიხურების მომარაგების მთავარ წყაროს. აჭარასა და საქართველოს სხვა რეგიონებში დამზადებული რძისა და ხორცის პროდუქტები ბაზარზე შემოდის ფერმერების ან დისტრიბუტორების მეშვეობით³⁷, რომელებიც ზემოხსენებულ პროდუქტებს შემდეგ ყიდიან მოვაჭრეებზე ან სხვა დისტრიბუტორებზე. ამ პროდუქტების უვნებლობისა და ხარისხის მონიტორინგი რჩება ბაზრის ლაბორატორიების უპირველეს საზრუნავად, რომლებიც აღჭურვილია ერთი ან ორი მიკროსკოპით. თუმცა, რძის პროდუქტების კონტროლი და შემოწმება შეზღუდულია და გულისხმობს ვიზუალურ შემოწმებას, ხოლო ხორცთან დაკავშირებით ყოველდღიურად კეთდება მიკრობიოლოგიური ანალიზები.

³⁶მაგ. გადამოწმება ბაზარში გამყიდველებთან, რომ მათი მომწოდებლების საქონელი მოწმდება ვეტერინარის მიერ. თუმცა ამის შემოწმების სისტემა არ არსებობს.

³⁷ეს შეიძლება იყოს ფორმალური დისტრიბუტორები ბრენდირებული მანქანებით და რეგისტრირებული კომპანიები და არაფორმალური დისტრიბუტორები, მათ შორის, სამარშრუტო მანქანის მძღოლები, რომლებიც იღებენ ყველს გლეხებისაგან სოფლებში და აწვდიან ბაზარს.

სურსათის უვნებლობა და ჰიგიენა: წამყვანი ფაქტორები და ფუნდამენტური შეზღუდვები
სურსათის უვნებლობა და ჰიგიენა რჩება ყველაზე მნიშვნელოვან წამყვან ფაქტორად პირუტყვის საბაზრო სისტემის ფარგლებში და ყველაზე ფუნდამენტურ შეზღუდვად ძირითად ბაზარზე.

ეს შეზღუდვები მოიცავს შემდეგს:

- სუსტი და არაერთგვაროვანი პროპაგანდა ხორცისა და რძის პროდუქტების ღირებულების ჯაჭვში, რაც ნიშნავს, რომ ხორცისა და რძის პროდუქტების დიდი ნაწილი არის შეუსაბამო და პოტენციურად სახიფათო.
- არასისტემური გავრცელების გამო, საწარმოებს არა აქვთ სურვილი ჩადონ ინვესტიცია ბიზნესთან დაკავშირებულ კონსულტაციებში და მომარაგების დონის გაუმჯობესებაში, რადგან როგორც საკონსულტაციო ფირმები ამბობენ, ბაზარი არ არსებობს.
- სამთავრობო და კერძო სექტორიდან ინფორმაციის მიწოდება ხდება დაბალ დონეზე და არასაკმარისად, ამიტომ საწარმოებმა მეტწილად არ იციან რა ტიპის ინფორმაცია სჭირდებათ ან სად უნდა მიიღონ ის.
- მცირე მწარმოებლები და დაურეგულირებელი მწარმოებლები, რომლებიც არ ახორციელებენ ინვესტიციას აღჭურვილობისა და საწარმოს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ძირს უთხრიან იმ საწარმოებს, რომლებიც ცდილობენ ინვესტირებას და ზრდას, როგორცაა სათანადო სასაკლაოები ან რძის პროდუქტების საწარმოები³⁸.
- მცირე მწარმოებლები, სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის ნორმების გამკაცრებასა და მთავრობის ან მომხმარებლების მიერ ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, დგებიან ბაზრიდან გაძევების რისკის ქვეშ.
- ცხოველთა დაავადება ნიშნავს, რომ მესაქონლეობის გარემომცველი გარემო ძალიან სარისკოა ზოონოზების არსებობის გამო, როგორცაა ჯილეხი და ბრუცელოზი.
- ცხოველთა დაავადებების სუსტი საკარანტინო და სახელმწიფო კონტროლი წარმოშობს სირთულეებს მათთვის, ვისაც სურს ინვესტირება მესაქონლეობაში, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ექსპორტის სექტორში.
- გამჭვირვალე წესებისა და სტრუქტურირებული ინფორმაციის უზრუნველყოფის ნაკლებობა სერთიფიცირების ორგანოების შესახებ ნიშნავს, რომ ქვეყანის შიდა გაყიდვები და ექსპორტი შეზღუდულია.
- საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ნაკლები გამჭვირვალობა მიწოდების წყაროებისა და შესყიდვების შესახებ, რაც გამოწვეულია შესაძლო ნეგატიური შედეგების შიშით, სისტემის გაუმჯობესების ნაცვლად იწვევს დარღვევების დამალვის ტენდენციის ზრდას.

რაც შეეხება წამყვან ფაქტორებს:

- რაც შეეხება მომხმარებელს, სუპერმარკეტების ქსელების გაფართოებამ გამოიწვია ცნობიერების ამაღლება და "ხარისხიან" ანუ სუფთა და უსაფრთხო პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილება.
- მედიის ყურადღება გაიზარდა სატელევიზიო პროგრამების დახმარებით, რომლებიც აშუქებენ სუპერმარკეტების თაროებიდან აღებულ "ცუდი" საკვების შემოწმების

³⁸ რომელებიც, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად მოიზიდავს შემოწმებებს.

შედეგებს და სურსათის უვნებლობის წესების დარღვევების შემთხვევების ბათუმის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში (მაგ. მაღალი რანგის სატელევიზიო სიუჟეტი გაკეთდა ბათუმის ერთ-ერთი მაღალი დონის სასტუმროში საექვო სურსათის პრაქტიკის შესახებ).

- ევროკავშირის ახალი პროგრამა ევრაზიის ფონდთან ერთად აკვირდება სამომხმარებლო ჯგუფების როლისა და ძალის ზრდას, რომელთა ბოლოდროინდელმა რეაქციამ მინისტრის მცდელობაზე გააუქმოს კანონი, რომელიც კრძალავს პირუტყვის დაკვლას უკანა ეზოში, აჩვენა ამ სექტორის ზრდის შესაძლებლობები.
- აჭარაში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გაზარდა დაგეგმილი და დაუგეგმავი შემოწმებების რიცხვი, რაც უზიძგებს ბიზნესს, რომ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებს.
- სურსათის უვნებლობასა და ჰიგიენაზე ცნობიერების გაზრდიდან გამოწვეულმა უარყოფითი შედეგების შიშმა უნდა მოახდინოს არსებული საკონსულტაციო მომსახურების გამოყენება და ინვესტიციების მეტად ათვისება, სადაც ეს მომსახურებები ხელმისაწვდომია.
- "უსაფრთხო" პროდუქტის მზარდი საჭიროება აჭარის საერთაშორისო თანამედროვე საკურორტო იმიჯის ხელშესაწყობად და შესანარჩუნებლად. ტურიზმის დეპარტამენტმა საზოგადოებრივი კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ორგანიზებულ ტრენინგებში აქცენტი გააკეთა ხარისხიანი საკვების უზრუნველყოფაზე, როგორც ინდუსტრიისათვის მნიშვნელოვან ფაქტორზე.

მომხმარებლები /მოთხოვნადი ძირითადი ტენდენციები

სუპერმარკეტები

აჭარის რეგიონში არსებობს რამდენიმე მცირე/საშუალო მასშტაბის სუპერმარკეტი და მსხვილი სუპერმარკეტების რამდენიმე პატარა ფილიალი, როგორცაა სმარტი, გუდვილი, ფურშეტი და ფუდმარტი. ისინი პოტენციურად წარმოდგენენ მთავარ წამყვან ფაქტორს მწარმოებლებისათვის თავიანთი პროდუქციის განსახლებლად და სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტების შესაბამისობაში მოსაყვანად, რადგან ადამიანები, რომლებიც ყიდულობენ ამ მარკეტებში ელიან "ხარისხს", რომელიც პირველ რიგში ნიშნავს სუფთა, უსაფრთხო პროდუქციას. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ფორმალიზებული საცალო ვაჭრობის ობიექტებში სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტების კონტროლის დონეს.

ცხრილი 15. სუპერმარკეტების მიმოხილვა მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის აჭარის პროგრამის არეალის ფარგლებში და მათი სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის პრაქტიკები და სტანდარტები ზოგადად და პროგრამის კლიენტებთან მიმართებაში

სუპერმარკეტების სახელები	ოფიციალური ინფორმაცია				უკუკავშირი მომწოდებლებთან	
	მომწოდებლებთან ურთიერთობა (სურსათის უვნებლობის და ჰიგიენის მთავარი მოთხოვნები)	რძისა და ხორცის შემოწმება	ყოველკვირეულად შექმნილი რძისა და ხორცის პროდუქტების საშუალო რაოდენობა	რძის პროდუქტების და ხორცის შესყიდვის წყარო	დამოკიდებულება მომწოდებლების მიმართ (სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის ძირითადი მოთხოვნები)	შემოწმება
გუდვილი (1 სუპერმარკეტი ბათუმში)	ყველის ხარისხი და ჰიგიენა განისაზღვრება ორგანოლეპტიკურად (ვიზუალური და გემოვნური თვისებები). ხორცის შექმნა ხდება ფორმა #2-ის საფუძველზე.	მათ ჰყავთ ვეტერინარი, რომელიც აკეთებს ხორცის მიკრობიოლოგიურ ანალიზს მინი ლაბორატორიაში ყოველი შესყიდვისას.	60-80 კგ იმერული ყველი კვირაში. 250-300 კგ/ხორცი კვირაში.	ყველი - ბათუმის აგრარული ბაზარი, ერთი და იმავე ყველის მოვაჭრისაგან. ხორცი არაფორმალური დისტრიბუტორისაგან.	-	ჯერ არ ჩატარებია
სმარტი (1 სუპერმარკეტი ახალსოფელში)	მხოლოდ ყველი იყიდება ახალსოფელის ფილიალში. ყველის მიღება ხდება თბილისის საწყობიდან, შესაბამისად, მათ არა აქვთ არანაირი ადგილობრივი მოთხოვნები მომწოდებლების მიმართ.	-	10-15 კგ სულგუნი/კვირაში	ისინი ყოველკვირეულად იღებენ ყველს სს „სმარტი-ის თბილისის საწყობიდან“		-
ვილმარტი (3 სუპერმარკეტი)	ყველის და ხორცის ვიზუალური შემოწმება ტარდება დროდადრო. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა # 2.	-	100კგ იმერული ყველი/კვირაში. 100-140კგ სულგუნი კვირაში. 420-450კგ ხორცი კვირაში.	იმერული ყველი -პირდაპირ ფერმერებისაგან სამტრედიისაში; სულგუნი - ადგილობრივი მწარმოებლისაგან; ხორცი - ბათუმის აგრარული ბაზარი.	არავითარი მიკრობიოლოგიური ანალიზი ლაბორატორიაში ან ვიზიტი ადგილზე (შპს „ელგუჯა ბარამიძე“).	-

ფურშეტი (1 სუპერმარკეტი ბათუმში)	ყველი მოწმდება ვიზუალურად. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	ვეტერინარ ი აკეთებს ხორცის მიკრობიო ლოგიურ ანალიზს მინი ლაბორატო რიაში ყოველი შესყიდვისა ს..	100-130კგ იმერული ყველი/კვირაშ ი; 30-40კგ სულგუნი კვირაში; 300- 350კგ ხორცი კვირაში.	ყველი - არაფორმალური დისტრიბუტორი, რომელიც ყიდულობს იმერულ ყველს და სულგუნს სამეგრელოში; ხორცი - არაფორმალური დისტრიბუტორი, რომელიც ყიდულობს პირუტყვს გურიაში და აკვლევინებს სასაკლაოზე.	-	-
აბსოლუტი (2 სუპერმარკეტი ბათუმში)	ყველი მოწმდება ვიზუალურად. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	ვეტერინარ ი აკეთებს ხორცის მიკრობიო ლოგიურ ანალიზს მინი ლაბორატო რიაში ყოველი შესყიდვისა ს..	40-50კგ იმერული ყველი/კვირაშ ი; 140-160კგ ხორცი კვირაში;	იმერული ყველის არაფორმალური დისტრიბუტორი სამტრედიიდან; სულგუნი - შპს ცეზარი. ხორცი - ბათუმის აგრარული ბაზარი.	-	-
იალჩინის მარკეტი (1 სუპერმარკეტი ბათუმში)	ყველი მოწმდება ვიზუალურად. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2..	ვეტერინარ ი აკეთებს ხორცის მიკრობიო ლოგიურ ანალიზს მინი ლაბორატო რიაში ყოველი შესყიდვისა ს..	80 -100კგ სულგუნი კვირაში; 50-70კგ ხორცი კვირაში.	ხორცი - დისტრიბუტორი კომპანია, რომელიც ყიდულობს პირუტყვს ფერმერებისაგან და აკვლევინებს ჩაქვის სასაკლაოზე. ყველი - ყველის ადგილობრივი მწარმოებელი	არავითარი მიკრობიო ლოგიური ანალიზი ლაბორატორ იაში და ვიზიტი ადგილზე (შპს „ნუსრეთ ჯორჯია“).	-
ფუდმარტი	ისინი არ ყიდვიან არც ხორცს და არც ქართულ ყველს					

სასტუმროები

აჭარაში 300-მდე მაღალი, საშუალო და დაბალი დონის სასტუმროა. სასტუმროები არის ერთ-ერთი მთავარი გასაღების ბაზარი ხორცისა და რძის პროდუქტებისათვის, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის დროს (ივნისის ბოლო - სექტემბრის დასაწყისი). მაღალი დონის, ხუთვარსკვლავიან და ოთხვარსკვლავიან სასტუმროებს ხორცისა და რძის პროდუქტები მიეწოდება ძირითადად სადისტრიბუციო კომპანიების მეშვეობით, ხოლო საშუალო კლასის სასტუმროები პირდაპირ ყიდულობენ მას აგრარულ ბაზრებში და რეგიონის დიდ სუპერმარკეტებში. დაბალი კლასის სასტუმროები ნაკლები რაოდენობის ხორცსა და რძის პროდუქტებს მოიხმარენ, რადგან მათ მომსახურებაში საუზმე ან სადილი არ შედის. შესყიდვის მენეჯერები ეყრდნობიან თავიანთ მომწოდებლებს ხარისხისა და სურსათის უვნებლობის გარანტიასთან დაკავშირებით, საკვები პროდუქტების დამატებითი შემოწმებები არ ჩატარებულა, ხოლო პროდუქტების წარმოშობის წყარო ძალიან განზოგადებული და უცნობია³⁹.

³⁹ყველის გამყიდველების და რესტორნის მფლობელების უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი მარაგებიან იმერული ყველით იმერეთიდან დისტრიბუტორების საშუალებით. ასე ამბობენ ნებისმიერ შეთხვევაში, მიუხედავად

ცხრილი 16. სასტუმროების მიმოხილვა მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის აჭარის არეალში და მათი საკვების უვნებლობისა და ჰიგიენის პრაქტიკა და სტანდარტები ზოგადად და პროგრამის კლიენტებთან მიმართებაში

სასტუმროების სახელები	ოფიციალური ინფორმაცია				უკუკავშირი მომწოდებლებთან	
	მომწოდებლებთან ურთიერთობა (სურსათის უვნებლობის და ჰიგიენის მთავარი მოთხოვნები)	რძისა და ხორცის შემოწმება	ყოველკვირეულად შემენილი რძის და ხორცის პროდუქტების საშუალო რაოდენობა	რძის პროდუქტების და ხორცის ყიდვის წყარო	დამოკიდებულება მომწოდებლების მიმართ (სურსათის უვნებლობის და ჰიგიენის ძირითადი მოთხოვნები)	შემოწმება
შერატონი 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო	ყველი ძირითადად გამოიყენება "ხაჭაპურის" მოსამზადებლად. ყველის გემოვნური თვისებები მოწმდება მზარეულის მიერ. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	80-100კგ იმერული ყველი/კვირაში ; 20-30კგ სულგუნის; 120-150კგ ხორცი კვირაში.	სხვადასხვა სახის ყველი მიეწოდება კვირაში ორჯერ სადისტრიბუციო კომპანია შპს "წინოს" მიერ, რომელიც ყიდულობს იმერულ ყველს ბათუმის აგრარულ ბაზარში და სულგუნს და შებოლილ სულგუნს საბითუმო მოვაჭრისაგან შპს "ცეზარი". ხორცის მოწოდებას ახორციელებს სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც ყიდულობს საქონელს და აკვლევინებს სასაკლაოზე.	არავითარი მიკრობიოლოგიური ანალიზი და ადგილზე ვიზიტი. ყველი უნდა იყოს რბილი და არ უნდა იყოს ძალიან მარილიანი (შპს „წინო“).	-
რედისონ ბლუ ივერია 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო	ყველი ძირითადად გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად. ყველის გემოვნური თვისებები მოწმდება მზარეულის მიერ. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	60-80კგ იმერული ყველი კვირაში; 20 კგ სულგუნის და 20კგ შებოლილი სულგუნის კვირაში; 80-100 კგ ხორცი კვირაში.	სხვადასხვა სახის ყველი მიეწოდება კვირაში ორჯერ სადისტრიბუციო კომპანია შპს „ასხის“ მიერ, რომელიც ყიდულობს იმერულ ყველს ბათუმის აგრარულ ბაზარში და სულგუნს და შებოლილ სულგუნსა საბითუმო მოვაჭრისაგან შპს "ცეზარი". ხორცი მიეწოდება კვირაში ერთხელ ან	არავითარი მიკრობიოლოგიური ანალიზი და ადგილზე ვიზიტი. ყველი უნდა იყოს რბილი და არ უნდა იყოს ძალიან მარილიანი (შპს „ასხი“).	ჯერ არა

იმისა, რომ ჩვეულებრივ ყველს შეიძენენ აგრარულ ბაზარში დახლთან მოვაჭრეებისგან ან პირდაპირ იმ ფერმერი ქალებისა და მამაკაცებისაგან, რომლებსაც ჩააქვთ ყველი ბაზარში აჭარის სოფლებიდან, გურიიდან, ან სხვა კუთხეებიდან.

				ორჯერ შპს „ნუსრეთ ჯორჯია“ მიერ, რომელსაც აქვს საკუთარი ფერმა და სასაკლაო.		
ჯორჯიან პალასი 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო (ქობულეთში)	ყველი მოწმდება ვიზუალურად და გემოვნურ თვისებებზე დაყრდნობით. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	40-50კგ იმერული ყველი/კვირაში ; 10-15კგ სულგუნი კვირაში; ზაფხულში 100-120კგ ხორცი კვირაში.	სხვადასხვა სახის ყველს აწვდის შპს „ქობულეთი 2013“ ორ დღეში ერთხელ. ხორცს აწვდის სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც ყიდულობს ხორცს კასპის რაიონში.	-	-
ვორლდ პალასი (4 ვარსკვლავიანი სასტუმრო)	ყველი ძირითადად გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად. ყველის გემოვნური თვისებები მოწმდება მზარეულის მიერ. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	35 კგ იმერული ყველი /კვირაში; 15კგ სულგუნი/კვირაში; 30-50კგ ხორცი/კვირაში.	სხვადასხვა სახის ყველს აწვდის ქუთაისის ქარხანა კვირაში ერთხელ. ხორცისათვის მათ ჰყავთ ორი მომწოდებელი, ერთი, რომელიც აწვდის თხის ხორცს და მეორე ძროხის ხორცს. მომწოდებლები ყიდულობენ პირუტყვს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და აკვლევინებენ მათ სასაკლაოზე.	-	-
Divan Suites ბათუმი (ლაქშერის ტიპის სასტუმრო)	ის ძირითადად მუშაობს თურქეთიდან იმპორტირებულ პროდუქციასზე. ქართული ყველი გამოიყენება ხაჭაპურის გასაკეთებლად. ყველის გემოვნურ თვისებებს ამოწმებს მზარეული. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	7 კგ იმერული ყველი/ ერთხელ ან ორჯერ კვირაში; 7 კგ სულგუნი/ ორ კვირაში ერთხელ; 3 კგ მებოლილი ყველი / ორ კვირაში ერთხელ; 15-20კგ ხორცი ხორცი კვირაში.	სხვადასხვა სახის ყველს აწვდის შპს „გუჯა“ ორ კვირაში ერთხელ. ხორცს აწვდის შპს „ნუსრეთ ჯორჯია“ ერთხელ კვირაში.	არავითარი მიკრობიოლოგიური ანალიზი და ადგილზე ვიზიტი („ნუსრეთ ჯორჯია“).	-
გოლდენ პალასი (ლაქშერის ტიპის სასტუმრო)	ყველი გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად. ყველის გემოვნურ თვისებებს ამოწმებს მზარეული. ხორცი მოწმდება მხოლოდ ვიზუალურად და მას თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	20-30 კგ იმერული ყველი /კვირაში; 30-40 კგ ხორცი/კვირაში	ყველისა და ხორცის შესყიდვა ხდება სუპერმარკეტ „გუდვილი“.	მიკრობიოლოგიური ანალიზი ლაბორატორიიდან არ არის საჭირო („გუდვილი“)	-

<p>ერა პალასი (4 ვარსკვლავიანი სასტუმრო)</p>	<p>ყველი ძირითადად გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად. ხორცი უნდა იყოს ახალი და ვიზუალურად უსაფრთხო. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.</p>	<p>სასტუმრო მოითხოვს სერტიფიკატს, რომ ყველის მომწოდებლები რეგისტრირებული არიან საკვების მწარმოებლები</p>	<p>30-50 კგ იმერული ყველი კვირაში; 50-60 კგ ხორცი კვირაში.</p>	<p>ყველის სხვადასხვა სახეობის და ხორცის შესყიდვა ხდება სუპერმარკეტ „ვილმარტი“.</p>	<p>„ვილმარტი“ სუპერმარკეტი არავითარ ცნობას არ მოითხოვს თავისი ყველის მომწოდებლებისაგან.</p>	<p>-</p>
<p>გალოგრე (4 ვარსკვლავიანი სასტუმრო)</p>	<p>სასტუმრო კლიენტებს მხოლოდ საუზმეს სთავაზობს, ამიტომ არ ყიდულობს ხორცს. ყველი ძირითადად გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად. ყველს სინჯავენ ყიდვისას.</p>	<p>-</p>	<p>10 კგ იმერული ყველი კვირაში.</p>	<p>სასტუმრო ყიდულობს ყველს სუპერმარკეტ „გუდვილი“, 2-3 ჯერ კვირაში.</p>	<p>არავითარი მიკრობიოლოგიური ანალიზი ლაბორატორიდან არ არის საჭირო. ყველი უნდა იყოს რბილი, არა მარილიანი („გუდვილი“).</p>	<p>-</p>
<p>პიაცა მენეჯმენტი (3 სასტუმრო გაერთიანებული „Piazza“, „Piazza Inn“ და „Piazza Four Colours“)</p>	<p>ყველი უნდა იყოს რბილი, არა ძალიან მარილიანი. ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.</p>	<p>-</p>	<p>10-15 კგ იმერული ყველი კვირაში; 5-7 კგ სულგუნი კვირაში; 3-4 კგ შებოლილი სულგუნი კვირაში. 60 კგ ძროხის ხორცი და 2 ხზო ყოველკვირეულად.</p>	<p>სხვადასხვა სახის ყველს ყიდულობენ ბათუმის აგრარულ ბაზარში ერთი და იგივე ყველის ვაჭრისაგან კვირაში ერთხელ. ხორცს აწვდის არაფორმალური დისტრიბუტორი კვირაში ორჯერ. ის ყიდულობს პირუტყვს ზესტაფონში და აკვლევინებს სასაკლაოზე.</p>	<p>ყვრდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ)</p>	<p>-</p>
<p>სოლიდარობა (4 ვარსკვლავიანი სასტუმრო ქობულეთში)</p>	<p>ყველი უნდა იყოს რბილი, არა ძალიან მარილიანი. ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.</p>	<p>-</p>	<p>50-60 კგ იმერული ყველი კვირაში; 7 კგ სულგუნი კვირაში; 80-100 კგ ხორცი კვირაში.</p>	<p>სხვადასხვა სახის ყველი მოაქვს არაფორმალურ დისტრიბუტორს ორჯერ კვირაში. ხორცს ყიდულობენ ქობულეთის აგრარულ ბაზარში ორ-სამჯერ კვირაში.</p>	<p>ყვრდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ)</p>	<p>-</p>
<p>ჩაო (3 ვარსკვლავიანი სასტუმრო)</p>	<p>ყველი ძირითადად გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად. ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.</p>	<p>-</p>	<p>60-70 კგ იმერული ყველი კვირაში; 40-50 კგ ხორცი კვირაში.</p>	<p>სხვადასხვა სახის ყველი მოაქვს შპს „ანდრია“, რომელიც ყიდულობს ყველს სამტრედიის ხორცს ყიდულობენ სუპერმარკეტ „ვილმარტი“.</p>	<p>არავითარი მიკრობიოლოგიური ანალიზი ლაბორატორიდან არ არის საჭირო. ყველი უნდა იყოს რბილი, არა მარილიანი. (შპს „ანდრია“ და „ვილმარტი“)</p>	<p>-</p>

ჩვენი ეზო (3 ვარსკვლავიანი სასტუმრო)	ყველის ხარისხი განისაზღვრება მისი გემოვნური თვისებებით. ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	40-50 კგ იმერული ყველი კვირაში; 35-40 კგ ხორცი კვირაში.	რძის პროდუქტები ისევე როგორც ხორცის პროდუქტები შედის ქობულეთის აგრარული ბაზრიდან ორ კვირაში ერთხელ.	ეყრდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ქობულეთის ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ).	-
ელზა (საოჯახო სასტუმრო ქობულეთში)	ყველის ხარისხი განისაზღვრება ვიზუალურად მის გემოვნურ თვისებებზე დაყრდნობით. ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	15-20 კგ იმერული ყველი და 25-30 კგ ხორცი ყოველკვირეუ ლად.	რძის პროდუქტებს, ისევე, როგორც ხორცს ყიდულობენ ქობულეთის აგრარულ ბაზარში ყოველდღიურად.	ეყრდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ქობულეთის ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ).	-
გოლდენ სტარი (2 ვარსკვლავიანი სასტუმრო)	სასტუმრო კლიენტებს არ სთავაზობს სადილს. საუზმეზე არა აქვთ ყველი ან პროდუქტები ყველის გამოყენებით.					
ბერო (2 ვარსკვლავიანი სასტუმრო)	სასტუმრო კლიენტებს არ სთავაზობს სადილს. საუზმეზე არა აქვთ ყველი ან პროდუქტები ყველის გამოყენებით.					
ჰოსტელი გლობუსი	ჰოსტელი კლიენტებს არ სთავაზობსარც საუზმეს და არც სადილს.					
პრინცესა (დაბალი დონის სასტუმრო ქობულეთში)	სასტუმრო კლიენტებს არ სთავაზობსარც საუზმეს და არც სადილს.					
ისამანი (საოჯახო სასტუმრო ქობულეთში)	სასტუმრო კლიენტებს არ სთავაზობსარც საუზმეს და არც სადილს.					
რიო (დაბალი დონის სასტუმრო ქობულეთში)	სასტუმრო კლიენტებს არ სთავაზობსარც საუზმეს და არც სადილს.					

სოფლად საოჯახო სასტუმროები

დღეისათვის სოფლად საოჯახო სასტუმროები მეცხოველეობის პროდუქტებზე მოთხოვნის მხოლოდ პატარა სეგმენტს წარმოადგენს, მაგრამ მათ აქვთ ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რადგან აქვთ შესაძლებლობა დატვირთულები იყვნენ არა მარტო ზღვის სეზონზე. მთიან აჭარაში 60-მდე საოჯახო სასტუმროა (აჭარის ტურიზმის სააგენტოს მონაცემების თანახმად). ამჟამად, ისინი დამოკიდებულნი არიან საოჯახო პირობებში წარმოებულ რძის პროდუქტებზე, ხოლო ხორცს ყიდულობენ ადგილობრივი ფერმერებისაგან სოფელში ან ბათუმში არსებულ ხორცის მაღაზიებში. საოჯახო სასტუმროების სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტების მიმოხილვა მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ცხრილი 17. საოჯახო სასტუმროების მიმოხილვა მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის აჭარის პროგრამის არეალში და მათი სურსათის უვნებლობის და ჰიგიენის პრაქტიკა და სტანდარტები ზოგადად და პროგრამის კლიენტებთან მიმართებაში

ადგილი	გამოკითხული საოჯახო სასტუმროები	ტურისტებისათვის შეთავაზებული სერვისი	საკვები პროდუქტების შესყიდვის წყარო (რძის და ხორცის პროდუქტები)	დამატებითი ინფორმაცია
საოჯახო სასტუმროები ხულოში	10-დან 4 საოჯახო სასტუმრო გამოკითხა	საოჯახო სასტუმროები ფუნქციონირებს უკვე 3 წელია. საშუალოდ მათ აქვთ 2-4 ოთახი და შეუძლიათ 10-12 ადამიანის მიღება. ფასები ერთ პერსონაზე მერყეობს 10-30 ლარამდე (კვების სერვისის მიხედვით)	კლიენტებს სთავაზობენ სახლში წარმოებულ რძის პროდუქტებს. ამასთანავე, ზაფხულში სამოვრების სეზონის დროს, დამატებითი რძის პროდუქტები შეიძლება შეიძინონ მეზობლებისგან. რაც შეეხება ხორცს, საოჯახო სასტუმრო ყიდულობს ხორცს ხორცის პატარა მაღაზიაში მუნიციპალიტეტის ცენტრში. ზევრი ვიზიტორის შემთხვევაში, ისინი ყიდულობენ ძროხას და შემდეგ კლავენ ღორჯომის სასაკლაოზე.	გამოკითხული საოჯახო სასტუმროებიდან სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა შეამოწმეს მხოლოდ ერთი (ყველაზე მსხვილი) და მისცეს გარკვეული რეკომენდაციები სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით. გამოკითხული საოჯახო სასტუმროების მესაკუთრეების თქმით, კლიენტები მგრძობიარეები არიან ჰიგიენის საკითხების მიმართ და დიდ ყურადღებას აქცევენ საკვები პროდუქტების ხარისხს. რძის პროდუქტების ხარისხთან დაკავშირებით მფლობელები ენდობიან ადგილობრივ ფერმერებს, ვინაიდან, რადგან თვითონ აღნიშნავენ, სოფელში მოპოვებული მთელი საკვები პროდუქტები არის ეკოლოგიურად სუფთა ⁴⁰ . რაც შეეხება ხორცს დაკვლამდე ვეტერინარი ამოწმებს ძროხას დაავადებაზე.
საოჯახო სასტუმროები შუახვეის მუნიციპალიტეტში	12-დან 5 საოჯახო სასტუმრო გამოკითხა	რამდენიმე საოჯახო სასტუმრო წელს გაიხსნა ტურისტული სააგენტოს თხოვნის შემდეგ. ხოლო ზოგიერთი დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ 2007 წელს. თითოეულ საოჯახო სასტუმროში საშუალოდ 3-5 ოთახია და შეუძლია უმასპინძლოს 6-დან 15 ადამიანს. ფასები მერყეობს 30-50 ლარამდე, რაც დამოკიდებულია კვების ჯერადობაზე.	კლიენტებს სთავაზობენ სახლში წარმოებულ რძის პროდუქტებს. თუკი მოთხოვნა მაღალია, დამატებით რძის პროდუქტებს ყიდულობენ ადგილობრივი ფერმერებისგან. ხორცს ყიდულობენ ბათუმის აგრარულ ბაზარში ან მეზობლებისგან ტურისტული სეზონის მიხედვით.	ტურიზმის სააგენტომ მოინახულა ყველა გამოკითხული საოჯახო სასტუმრო და გადაიღო ფოტოები სოფლად ტურიზმის პოპულარიზაციისათვის. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებს არასოდეს შეუძლონ შეამოწმებინათ საოჯახო სასტუმროები, გომარდელში არსებული კოტეჯების გარდა. როგორც მფლობელები აცხადებენ, ტურისტები მომთხოვნი არიან საკვები პროდუქტების ხარისხთან დაკავშირებით. მათი თქმით ყველა კერძი მზადდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით, მაგრამ ისინი არ იცნობენ კვების უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებს.
საოჯახო სასტუმრო ქედის მუნიციპალიტეტში	8-დან 3 საოჯახო სასტუმრო გამოკითხა	საოჯახო სასტუმროები უკვე რამდენიმე წელია რაც ფუნქციონირებს. ერთ-ერთი საოჯახო	კლიენტებს სთავაზობენ სახლში წარმოებულ რძის პროდუქტებს. საქონლის ხორცზე მოთხოვნა	ტურიზმის სააგენტომ მოინახულა ყველა გამოკითხული საოჯახო სასტუმრო და გადაიღო რამდენიმე ფოტო ბიზნესის პოპულარიზაციის

⁴⁰ ტერმინი "ეკოლოგიურად სუფთა", ფართოდ გამოიყენება საქართველოში, ნატურალური, სახლში დამზადებული ან არა-გენმოდიფიცირებული პროდუქტის აღსანიშნავად. ის არ აღნიშნავს რაიმე აღიარებული სტანდარტის კვალიფიკაციის მინიჭებას.

		სასტუმრო დააფინანსა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. საშუალოდ, გამოკითხულ სასტუმროებს აქვთ 3 ოთახი და შეუძლიათ უმასპინძლონ 10 ტურისტს. ფასები მერყეობს 30-50 ლარამდე, რაც დამოკიდებულია კვების სერვისზე.	დაბალია და საოჯახო სასტუმროები ძირითადად სთავაზობენ ფრინველის ხორცსა და კალმასს. საქონლის ხორცზე მოთხოვნის შემთხვევაში მისი შესყიდვა ხდება სოფელში ადგილობრივი ფერმერებისაგან ან ბათუმში არსებულ ხორცის პატარა მაღაზიებში.	მიზნით. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებს შემოწმებული აქვთ მხოლოდ ერთი გამოკითხული საოჯახო სასტუმრო ქედაში, რომელსაც მიეცა გარკვეული რეკომენდაციები სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტების შესახებ. სხვა მფლობელებმა არ იციან ამ სტანდარტების შესახებ. როგორც მესაკუთრეები ამბობენ ტურისტები ყურადღებას აქცევენ საკვების ხარისხს, მაგრამ მათი მხრიდან არ ხდება პროდუქციის ხარისხის კონტროლი.
საოჯახო სასტუმრო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში	6-დან 2 საოჯახო სასტუმრო გამოკითხა	საოჯახო სასტუმროები უკვე რამოდენიმე წელია ფუნქციონირებს. ერთ-ერთ საოჯახო სასტუმროში 3 ოთახია და შეუძლია უმასპინძლოს 7 ტურისტს, ხოლო მეორეში არის 7 ოთახი და შეუძლია უმასპინძლოს 20 ტურისტს. ფასები მერყეობს 30-50 ლარამდე, რაც დამოკიდებულია კვების სერვისზე.	კლიენტებს სთავაზობენ სახლში წარმოებულ რძის პროდუქტებს, ასევე ფრინველის ხორცსა და კალმასს. საქონლის ხორცზე მოთხოვნა დაბალია. ხორცზე მოთხოვნის შემთხვევაში მისი შესყიდვა ხდება ბათუმში მდებარე ხორცის პატარა მაღაზიებში ან სოფელში ადგილობრივი ფერმერებისაგან.	ერთი საოჯახო სასტუმროს მფლობელი მუშაობს ლაბორატორიაში შპს „სპექტრი“. აქედან გამომდინარე, ყველა შემქმნილი კვების პროდუქტი მოწმდება. საოჯახო სასტუმრო შეამოწმეს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა მხოლოდ ერთხელ. მფლობელი ინფორმირებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს შემოწმებების შესახებ და ცდილობს დააკმაყოფილოს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის ყველა სტანდარტი. რაც შეეხება მეორე საოჯახო სასტუმროს, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აქაც ჩაატარა შემოწმებები.
საოჯახო სასტუმრო ქობულეთის მუნიციპალიტეტში	23-დან 5 საოჯახო სასტუმრო გამოკითხა	საოჯახო სასტუმროები ქობულეთის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით სახალვაშოს სოფელში, დააფინანსა ნორვეგიის მთავრობამ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან ერთად. საშუალოდ, თითოეულ მათგანში 2-4 ოთახია და შეუძლია უმასპინძლოს 10-მდე ტურისტს. ფასი ერთ ადამიანზე მერყეობს 25-50 ლარამდე, რაც დამოკიდებულია კვების სერვისზე.	კლიენტებს სთავაზობენ სახლში წარმოებულ რძის პროდუქტებს. ხორცს ყიდულობენ სოფელში ადგილობრივი ფერმერებისაგან ან ბათუმის აგრარულ ბაზარში.	როგორც მესაკუთრეები ამბობენ ტურისტები ყურადღებას აქცევენ საკვების ხარისხს, მაგრამ როგორც წესი, ისინი ქირობენ ოთახს კვების გარეშე. თუმცა სტუმრებისათვის შეთავაზებული ყველა საკვები პროდუქტები არის 'ეკოლოგიურად სუფთა'. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებს არასოდეს შეუშოვნიათ გამოკითხული საოჯახო სასტუმროები. საოჯახო სასტუმროს მფლობელებს სჯერათ, რომ ისინი აკმაყოფილებენ სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის ყველა ნორმას.

რესტორნები, კაფეები და სახაჭაპურეები

რესტორნები, კაფეები და სახაჭაპურეები ხორცისა და რძის პროდუქტების ყველაზე მსხვილი მომხმარებლები არიან. მათ არ აქვთ საკუთარი მინი ლაბორატორიები, სადაც შეძლებდნენ ხარისხის შემოწმებას. ისინი ყველსა და ხორცს ყიდულობენ აჭარის რეგიონში მდებარე აგრარულ ბაზრებში, სადაც, მათი აზრით, პროდუქცია მოწმდება ყოველდღიურად ბაზრის ლაბორატორიაში. მყიდველების მთავარი მოთხოვნაა ყველი იყოს სუფთა, რბილი და ნაკლებად მარილიანი, ხოლო ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.

ცხრილი 18. რესტორნის, კაფეებისა და სახაჭაპურეების მიმოხილვა მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის აჭარის პროგრამის არეალში და მათი სურსათის უვნებლობის და ჰიგიენის პრაქტიკა და სტანდარტები ზოგადად და პროგრამის კლიენტებთან მიმართებაში

სახელები რესტორნები, კაფეები და სახაჭაპურეები	ოფიციალური ინფორმაცია				უკუკავშირი მომწოდებლებთან	
	მომწოდებლების მიმართ დამოკიდებულება (ძირითადი მოთხოვნები სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის მიმართ)	რძისა და ხორცის შემოწმება	შემენილი რძის პროდუქტების და ხორცის რაოდენობა	რძის პროდუქტების და ხორცის შესყიდვის წყარო	დამოკიდებულება მომწოდებლების მიმართ (ძირითადი მოთხოვნები სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის მიმართ)	შემოწმება
სან რემო (რესტორანი)	ყველი მოწმდება ვიზუალურად. ხორცს თან უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	150-180კგ სულგუნი კვირაში. 250-300კგ იმერული ყველი კვირაში. 80-100კგ ხორცი კვირაში.	სულგუნის მოწოდება ხდება რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიისაგან შპს „ცეზარი“. იმერულ ყველსა და ხორცს ყიდულობენ ბათუმის აგრარულ ბაზარში.	არ ითხოვენ მიკრობიოლოგიური ანალიზს ლაბორატორიიდან (შპს „ცეზარი“)	-
ყირამალა (რესტორანი)	ყველის ხარისხი განისაზღვრება ვიზუალურად და გემოვნური თვისებების საფუძველზე. ხორცის შემთხვევაში ითხოვენ ფორმა #2-ს.	რესტორანს ჰყავს ვეტერინარი, რომელიც ატარებს მიკრობიოლოგიურ ანალიზებს ყველა საკვებ პროდუქტზე.	200-250კგ იმერული კვირაში. 50-70კგ სულგუნი ყველი კვირაში 60-80კგ ხორცი კვირაში.	სხვადასხვა სახის ყველს აწვდის ყოველდღიურად ერთი ყველის მოვაჭრე, რომელიც იმერულ ყველს ყიდულობს სამტრედიაში და სულგუნს სამეგრელოში. ხორცს აწვდის არაფორმალური დისტრიბუტორი, რომელიც ყიდულობს საქონელს აჭარის სოფლებში და აკვლევინებს მათ სასაკლაოზე.	-	-
კომკვი (რესტორანი)	ისინი ამოწმებენ ყველს მხოლოდ ვიზუალურად. ხორცის შემთხვევაში ითხოვენ ფორმა #2.	-	70კგ იმერული კვირაში. 35კგ სულგუნი ყველი კვირაში. 60-80კგ ხორცი კვირაში.	ყველს ყიდულობენ სუპერმარკეტ „ფურშეტი“ ყოველდღიურად. ხორცს, ასევე, ყოველდღიურად აწვდის ინდ. მეწარმე, რომელიც	არ ითხოვენ მიკრობიოლოგიურ ანალიზს ლაბორატორიიდან არ არის აუცილებელი (ფურშეტი)	-

				ყიდულობს საქონელს აჭარის სოფლებში და კლავს მათ.		
გრანდ გრილი (რესტორანი)	ყველის ხარისხი განისაზღვრება ვიზუალურად და გემოვნური თვისებების საფუძველზე. ხორცის შემთხვევაში ითხოვენ ფორმა #2-ს.	ისინი ცდილობენ ჩაატარონ მიკრობიოლოგიური ანალიზი ყოველ 6 თვეში ყველა კერძზე, რომელიც მზადდება რესტორანში.	სულ 10კგ ყველი (იმერული, სულგუნი და შებოლილი სულგუნი) და 60-80კგ ხორცი ყოველკვირეულად.	სხვადასხვა სახის ყველს ყიდულობენ სუპერმარკეტ "ვილმარტი". ხორცს ყიდულობენ ხორცის პატარა მაღაზიაში.	არ ითხოვენ მიკრობიოლოგიურ ანალიზს ლაბორატორიიდან არ არის აუცილებელი („ვილმარტი“).	-
უკრაინოჩკა (რესტორანი)	ყველის ხარისხი განისაზღვრება ვიზუალურად და გემოვნური თვისებების საფუძველზე. ხორცის შემთხვევაში ითხოვენ ფორმა #2-ს.	-	70კგ იმერული ყველი, 35კგ სულგუნი ყველი და 40-50კგ ხორცი ყოველკვირეულად.	ყველს ყიდულობენ ყოველდღე ბათუმის აგრარულ ბაზარში ერთი და იგივე მოვაჭრისაგან. ხორცს ყიდულობენ ხორცის მაღაზიაში.	ყვრდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ). ყველი უნდა იყოს რბილი და არა ძალიან მარილიანი. (ყველის მოვაჭრეები ბათუმის აგრარულ ბაზარში)	-
აჭარული სახლი (რესტორანი)	ყველი მოწმდება ვიზუალურად და გემოვნური თვისებების საფუძველზე. ხორცის შემთხვევაში ითხოვენ ფორმა #2-ს.	-	70-100კგ იმერული ყველი, 30-35კგ სულგუნი ყველი, 15-20კგ შებოლილი სულგუნი და 40-50კგ ხორცი კვირაში.	სხვადასხვა სახის ყველს აწვდის სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც ყიდულობს იმერულ ყველს ბათუმის აგრარულ ბაზარში და სულგუნს შპს „ცეზარისგან“. ხორცს ყიდულობს ხორცის მაღაზიაში.	ყვრდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ბაზრის ლაბორატორიაში. (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ).	-
შემოიხედე გენაცვალე (რესტორანი)	ყველი უნდა იყოს რბილი და არა ძალიან მარილიანი. ხორცის შემთხვევაში ისინი ითხოვენ ფორმა #2-ს.	პროდუქტის ლიცენზია საჭირო იყო ყველის მომწოდებელისაგან, მომწოდებელთან ხელშეკრულები ს გაფორმებამდე.	70-80კგ იმერული ყველი და 50-60კგ ხორცი ყოველკვირეულად.	ყველი ჩამოაქვთ სენაკის ფერმიდან ყოველდღიურად; ხორცს ყიდულობს ყოველდღიურად ხორცის მაღაზიაში ან სუპერმარკეტ "ვილმარტში".	არ არის მოთხოვნა მიკრობიოლოგიურ ანალიზზე ლაბორატორიიდან ("ვილმარტი").	-

სანაპირო (რესტორანი)	ყველი მოწმდება ვიზუალურად და გემოვნური თვისებების საფუძველზე. ის უნდა იყოს რბილი და არა ძალიან მარილიანი. ხორცის შემთხვევაში ისინი ითხოვენ ფორმა #2-ს.	რესტორანს აქვს ხელშეკრულება ვეტერინართან, რომელიც რესტორანში მომზადებულ ყველა კერძს უტარებს მიკრობიოლოგიურ ანალიზებს თავის მინი ლაბორატორიაში.	70-100კგ იმერული ყველი, 30-35კგ სულგუნი და 120-150კგ ხორცი ყოველკვირეულად.	ყველსა და ხორცს ყიდულობენ ბათუმის აგრარულ ბაზარში.	ყვრდნობა შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ).	-
ბაბაის დუქანი (კაფე ქობულეთში)	ყველი მოწმდება ვიზუალურად და გემოვნური თვისებების საფუძველზე. ის უნდა იყოს რბილი და არა ძალიან მარილიანი. ხორცის შემთხვევაში საჭიროა ფორმა #2..	-	10-15კგ იმერული ყველი, 5-6კგ სულგუნი და 70-80კგ ხორცი კვირაში.	სულგუნს ყიდულობს შპს „წიფორა სამცხესაგან“. იმერულ ყველს ყიდულობს არაფორმალური დისტრიბუტორის აგან, რომელსაც ჩამოაქვს ყველი იმერეთიდან. ხორცს ყიდულობს ქობულეთის აგრარულ ბაზარში	-	-
მწვანე კაფე (სახაჭაპურე)	ყველის ხარისხი განისაზღვრება ვიზუალურად და გემოვნური თვისებების საფუძველზე. ვინაიდან ის გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად, უნდა იყოს რბილი და არა ძალიან მარილიანი. ხორცის შემთხვევაში საჭიროა ფორმა #2.	-	50-70კგ იმერული ყველი და 15-20კგ ხორცი კვირაში.	ყველს ყიდულობენ ბათუმის აგრარულ ბაზარში; ხორცს კი ხორცის პატარა მაღაზიაში.	ყვრდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ).	-
ბატა (სახაჭაპურე)	ყველის ხარისხი განისაზღვრება ვიზუალურად და გემოვნური თვისებების საფუძველზე. ვინაიდან ის გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად, უნდა იყოს რბილი და არა ძალიან მარილიანი.	-	70კგ იმერული ყველი კვირაში. ზაფხულში 200კგ იმერული ყველი და 3კგ სულგუნი კვირაში.	ყველი ჩამოაქვს არაფორმალურ დისტრიბუტორს სამტრედიიდან.	-	-

ცეროდენა (კაფე+სახაჭაპურე)	ყველი ძირითადად გამოიყენება ხაჭაპურის მოსამზადებლად და ის ისინჯება ყიდვის დროს. ხორცის შემთხვევაში საჭიროა ფორმა #2.	-	150-200 კგ იმერული ყველი/კვირაში, ზაფხულში 300-350კგ იმერული ყველი/კვირაში, 50-80 კგ ხორცი კვირაში.	ყველს ყიდულობენ ერთი და იგივე ყველის მოვაჭრისაგან ბათუმის აგრარულ ბაზარში; ხორცს ყიდულობენ ხორცის მაღაზიაში.	ყერდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ).	-
რეტრო (სახაჭაპურე)	ყველი ძირითადად მოწმდება ვიზუალურად და ისინჯება ყიდვამდე. ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	200-250 კგ იმერული ყველი და 10-15კგ ხორცი კვირაში.	ორივე, ყველი და ხორცი იყიდება ბათუმის აგრარულ ბაზარში.	როგორც ზემოთაა მოცემული	-
ლაგუნა (სახაჭაპურე)	ყველი ძირითადად მოწმდება ვიზუალურად და ისინჯება ყიდვამდე. ის უნდა იყოს რბილი და არა ძალიან მარილიანი.	-	120-150კგ იმერული ყველი კვირაში.	ყველი ჩამოაქვს არაფორმალურ დისტრიბუტორს სამტრედიიდან.	-	-
კაპიტანი (კაფე)	ისინი ენდობიან მოწოდებლებს და არ ამოწმებენ ყველის გემოვნურ თვისებებს. ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	15-20კგ იმერული ყველი, 8-10კგ სულგუნი და 8-10კგ ხორცი კვირაში.	ყველის სხვადასხვა სახეობას ყიდულობენ ბათუმის აგრარულ ბაზარში. ხორცს ყიდულობენ ხორცის მაღაზიაში.	ყერდნობიან შემოწმებას, რომელიც უტარდება პროდუქციას ბაზრის ლაბორატორიაში (იხ. შენიშვნა აგრარული ბაზრების შესახებ).	-
მაჭახელა (კაფე+სახაჭაპურე)	ყველი ძირითადად მოწმდება ვიზუალურად და ისინჯება მზარეულის მიერ. ხორცს უნდა ახლდეს ფორმა #2.	-	200-250კგ იმერული ყველი, 50-60 კგ სულგუნი და 120-150კგ ხორცი კვირაში.	ყველის სხვადასხვა სახეობას და ხორცს აწვდის შპს „წიქარა“, რომელიც პროდუქციას ყიდულობს ბათუმის აგრარულ ბაზარში.	-	-

სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის კოდექსი

ითვლება, რომ სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის კოდექსი საბოლოო სახით არის წარმოდგენილი, თუმცა მომავალში ცვლილებები არ არის გამორიცხული.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება

2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში, გაფორმდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება⁴¹, რომელიც საშუალებას აძლევს საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ევროკავშირის სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის მკაცრ ნორმებს (მინ. საფრთხისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზი), განახორციელონ ექსპორტი ევროკავშირში ხელშეკრულების სპეციალური პირობების დაცვით. ხოლო ამის საფუძველზე, ევროკავშირის საწარმოებს, თავის მხრივ, საშუალება ეძლევათ ჰქონდეთ გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ქართულ ბაზარზე. რაც შეეხება ქართულ კომპანიებს, რომლებიც უკვე ახორციელებენ ექსპორტს ევროკავშირში ამით თავიდანვე ისარგებლებენ. კომპანიები ასევე ისარგებლებენ მარტივი პირობებით მათი ბიზნესის შესაქმნელად ევროკავშირსა და საქართველოში. მაგრამ იმისათვის, რომ ქართული კომპანიები გავიდნენ უცხოეთის ბაზრებზე, მათ თანდათან უნდა მიუახლოვონ თავიანთი ეკონომიკური, ფინანსური რეგულაციები და სურსათის უვნებლობის სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებს. აპრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სურსათის უვნებლობის კოდექსში, თუმცა დაახლოებით 90 ნორმატიული აქტი უნდა იქნას მიღებული, რათა ხელი შეეწყოს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ ჰარმონიზაციის შვიდ-წლიანი გეგმა შედგენილი იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

როგორც აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მთავარი სპეციალისტი აცხადებს, უნდა შეიქმნას სათანადო ლაბორატორიები, რომლებიც საშუალებას მისცემენ საკვები პროდუქტის მწარმოებლებს განახორციელონ შესაბამისი ანალიზი. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა მზად არის გაუწიოს კონსულტაციები ადგილობრივი კვების პროდუქტების მწარმოებლებს რეგულაციებთან დაკავშირებით, რასაც უცხოური ბაზარი მოითხოვს მათგან.

სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოსა და აჭარაში

აჭარის რეგიონში სურსათის ეროვნული სააგენტო 2006 წელს დაარსდა და მუშაობდა ცალკე, როგორც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სააგენტო. 2011 წელს, აჭარის სააგენტო გაერთიანდა თბილისის სააგენტოსთან და დაიწყო მუშაობა სახელწოდებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული სამმართველო. 2014 წლამდე, სააგენტოს ჰყავდა ერთი ინსპექტორი, მაგრამ 2014 წელს, 6 დამატებითი ინსპექტორი დაიქირავა და კონტროლი გაძლიერდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ სამმართველოს აქვს ოფისები ბათუმში, ხულოში, შუახევში, ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტებში. მუნიციპალიტეტების ოფისებში მიმდგრებულია 2 ვეტერინარი, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება ჩაატარონ შემოწმება ბათუმის ოფისის ინსპექტორების გარეშე.

⁴¹ასოცირების შესახებ შეთანხმებები წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებსაც ევროპის თანამეგობრობა/ევროკავშირი აფორმებს მესამე ქვეყანასთან იმ მიზნით, რომ შეიქმნას ყოვლისმომცველი სტრუქტურა ორმხრივი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ეს შეთანხმებები ჩვეულებრივ უზრუნველყოფს ვაჭრობის პროგრესულ ლიბერალიზაციას.

მუნიციპალიტეტებში არსებული ოფისების მთავარი მიზანია ბიზნეს ოპერატორების, მაღაზიებისა და სხვა ისეთი დაწესებულებების აღწესება, რომლებიც შესაძლოა გაკონტროლდეს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტების მხრივ. აჭარის რეგიონალური სამმართველო ატარებს გეგმიურ და არაგეგმიურ შემოწმებებს. თუმცა, ამჟამად მას არ აქვს უფლება ჩაატაროს შემოწმებები მანამ, სანამ თბილისის სურსათის ეროვნული სააგენტო არ გასცემს განკარგულებას. ეს განკარგულება გაიცემა აჭარის რეგიონალური სამმართველოს მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე, რომელსაც სამმართველო წერს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის წესების დარღვევის შესახებ შემოსული საჩივრის მიღების შემდეგ (მომხმარებლებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან, არაკომერციული ორგანიზაციებისაგან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსაგან და ა.შ.).

აჭარის ა/რ რეგიონულ სამმართველოს დამოუკიდებლად მხოლოდ მონიტორინგული ხასიათის შემოწმებების ჩატარება შეუძლია, რაც გულისხმობს პროდუქციის თანმხლები დოკუმენტაციის (განსაკუთრებით ხორცის პროდუქტების შემთხვევაში), მარკირების, ეტიკეტირებისა და პროდუქციის ვარგისიანობის ვადის შემოწმებას. ასევე, მას შეუძლია კერძო საკონსულტაციო მომსახურების გაწევა სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტების შესახებ ადგილობრივი ბიზნეს ოპერატორებისათვის. აჭარის რეგიონში არ არსებობს კერძო საკონსულტაციო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას ბიზნეს ოპერატორებისათვის სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენური სტანდარტების შესახებ.

პროგრესი სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის კანონის დაცვასთან დაკავშირებით სასაკლაოები

2012 წლის დასაწყისიდან, სურსათის ეროვნული სააგენტო შეუდგა სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის წესების განხორციელებას და ჩაატარა სასაკლაოებისა და ხორცის მაღაზიების შემოწმებები, რის შედეგადაც ხორცის სექტორი გარკვეულწილად დარეგულირდა და დაიწყო პირუტყვის სასაკლაოებზე დაკვლა. თუმცა, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, კანონის დაცვა შესუსტდა, პირუტყვის უკანა ეზოში დაკვლა კვლავ გახდა შესაძლებელი და შესაბამისად შემცირდა სასაკლაოების მომგებიანობა. მთავრობის 2014 წლის 5 ივნისის დადგენილებაზე დაყრდნობით, სასაკლაოებზე მიმაგრებული სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარები აღიჭურვებიან სპეციალური ვიდეოკამერით. იმ მიზნით, რომ გამკაცრდეს კონტროლი და ზედამხედველობა ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე, 15 ივნისიდან პირუტყვის სასაკლაოზე დაკვლის ყოველი შემთხვევა უნდა იქნას ჩაწერილი/გადაღებული, რის შედეგადაც, ერთი მხრივ, უფრო გამჭვირვალე გახდა ვეტერინარების მუშაობა და მეორე მხრივ, შემცირდება საექვო და შემოწმებელი ხორცის ბაზარზე მოხვედრის რისკი. ივნისის შუა რიცხვებიდან სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აჭარაში უკვე აღჭურვა სასაკლაოზე მიმაგრებული ყველა ვეტერინარი ვიდეო კამერებით. აქედან გამომდინარე, ისინი აკონტროლებენ დაკვლის პროცესს და ფორმა #2-ის გაცემას.

კვების საცალო ვაჭრობის ობიექტები

2014 წელს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორების რაოდენობა გაიზარდა მთელი საქართველოს მასშტაბით. 2013 წელს, მთელი ქვეყნის მასშტაბით იყო 24 უფლებამოსილი ინსპექტორი, რომელთაგან 1 ინსპექტორი იყო წარმოდგენილი აჭარის რეგიონში; ამჟამად კონკურსის შედეგად შერჩეული ინსპექტორების რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით 74-მდე და აჭარაში 7-მდე გაიზარდა. შერჩევის პროცესი ისევ მიმდინარეობს. ინსპექტორების

რაოდენობის ზრდამ საშუალება მისცა სურსათის ეროვნულ სააგენტოს განხორციელებინა 1016 შემოწმება მთელი ქვეყნის მასშტაბით (2014 წლის მაისის ჩათვლით), რომელთაგან 614 იყო გეგმიური შემოწმება და 42 არაგეგმიური შემოწმება და 360 ხელახალი შემოწმება. 2013 წელს, შემოწმდა 75 სხვადასხვა ბიზნეს ოპერატორი აჭარაში, აქედან ჯარიმები დაეკისრა 14 ბიზნეს ოპერატორს და 2 ბიზნესი დაიხურა. 2014 წლის ივნისამდე 52 ბიზნეს ოპერატორი შემოწმდა. შედეგად ნაპოვნი და განადგურებული იქნა ვადაგასული პროდუქცია და ჯარიმები დაეკისრა 10 ბიზნეს ოპერატორს. დაკისრებული ჯარიმების თანხა მერყეობს 400-1200 ლარის ფარგლებში. რადგან აჭარა ტურისტული ცენტრია, რეგიონული სამმართველოს ძირითადი მიზანია შეამოწმოს საზოგადოებრივი კვების ობიექტები ტურისტული სეზონის დაწყებამდე. ამჟამად, სააგენტო მუშაობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასადილოების შემოწმებაზე და ყველა ეს ინსპექტირება უნდა ჩატარდეს 15 სექტემბრამდე. სააგენტომ მოუწოდა მომხმარებლებს იყვნენ უფრო ყურადღებიანები ვადებთან და შენახვის პირობებთან დაკავშირებით საკვების ბაზარზე შექმნისას.

ახალი მოთხოვნები სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ კოდექსის თანახმად:

2014 წლის 20 მარტს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა კოდექსის ვერსია „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“. კოდექსის ამ ვერსიის თანახმად, საკვების ყველა მწარმოებელმა უნდა დაიცვას ჰიგიენის წესები და სუპერმარკეტებში წარმოდგენილი ყველა პროდუქტი უნდა იყოს უსაფრთხო და სუფთა. კოდექსის ამ ვერსიამ უნდა შეცვალოს სურსათის უვნებლობის ვითარება მთელი საქართველოს მასშტაბით უფრო მკაცრი კონტროლის მექანიზმებით იმ მწარმოებლების მიმართ, რომლებიც აწარმოებენ იმერულ ყველს და მაწონს სოფლებში სახლის პირობებში. მიუხედავად ამისა, ეს კანონი გადავადდება 2020 წლამდე, გლეხის მიერ წარმოებულ ყველთან მიმართებაში, რაც ნიშნავს, რომ შინამეურნეობებში ყველის მწარმოებლებს სურსათის ეროვნული სააგენტო არ შეამოწმებს და ისინი გააგრძელებენ ყველის წარმოებას და გაყიდვას შეუსაბამო პირობებში.

საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები და მიკვლევადობა

რძის მწარმოებლების, რძის შემადგომელი პუნქტებისა და სასაკლაოების გასაკონტროლებლად სურსათის ეროვნული სააგენტო, მისი ახალი გეგმის მიხედვით, სასურსათო მაღაზიებსა და კვების ობიექტებს მოსთხოვს დაიცვან საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების მოთხოვნები. საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა პირველადი მწარმოებლებისათვის (ფერმერები) სავალდებულო არ არის. მაგრამ არსებული კოდექსის თანახმად, ის სავალდებულოა კვების პროდუქტების ყველა გადამამუშავებლისათვის. აჭარაში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა სავალდებულო გახდება წლის ბოლოსთვის.

სურსათის უვნებლობის საკითხი ამჟამად უგულვებელყოფილია ღირებულების ჯაჭვის მთელ სიგრძეზე. მთავარ წინაღობას წარმოადგენს სუსტი ურთიერთობები საკვების მწარმოებელ საწარმოებსა და სუპერმარკეტებს შორის. ხშირად სუპერმარკეტების მომწოდებლები არ აკმაყოფილებენ სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის ძირითად მოთხოვნებს და სუპერმარკეტების, აგრარული ბაზრების და საცალო მოვაჭრეების უმეტესობას არ აქვთ დანერგილი პროცედურები, რომლის საფუძველზე მოხდებოდა სტანდარტების შესაბამისი და შემოწმებული პროდუქციის შეტანა მაღაზიებში, ამიტომ მიკვლევადობა ძალიან სუსტია.

მარკირება

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გააძლიერა კონტროლი გენმოდირებული პროდუქტის მარკირებაზე, რომელიც სავალდებულო გახდება 2014 წლის 1 აგვისტოდან. თითოეულ პროდუქტს უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, რომელზეც მითითებული იქნება შეიცავს თუ არა პროდუქტი გენეტიკურად მოდიფიცირებულ კომპონენტებს (პროდუქტის საერთო წონის 0.9%-ზე მეტი). ბიზნეს ოპერატორებს დაეკისრებათ ჯარიმა 500 ლარის ოდენობით და პროდუქტი განადგურებული იქნება შეუსაბამობის შემთხვევაში.

საკვები პროდუქტების ნიმუშების ლაბორატორიული შემოწმება

იხილეთ ქვემოთ მოცემული პარაგრაფი ვეტერინარიაზე აჭარაში არსებული ლაბორატორიული ობიექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად და ცხრილები 15 - 18 საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოთამაშეების მიერ ჩატარებულ შემოწმებასთან დაკავშირებით.

ბიო წარმოება

2013 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეზოლუცია "ბიო პროდუქციის წარმოების" შესახებ. რეზოლუცია ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს, რის შედეგადაც "ორგანული", "ეკო", "ბიო" და მსგავსი ტერმინების გამოყენება რეკლამებში ან მათი შეყვანა ტექსტებში, რომლებიც აღწერენ არასერთიფიცირებულ პროდუქტს, შეზღუდული გახდა. ბიო წარმოების სერთიფიკატები გაცივმა შპს "კავკას სერტ"-ის მიერ და უფრო მეტ შესაძლებლობებს იძლევა შესაბამისი პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტზე გატანისათვის.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მედია

სასოფლო-სამეურნეო სატელევიზიო პროგრამა "ჩვენი ფერმა" მაუწყებლობს ყოველკვირეულად 2010 წლის მაისიდან საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე და მოიცავს მთელ საქართველოს. 2013 წლის აგვისტოდან, პროგრამას "ჩვენი ფერმა" დაემატა 5 წუთიანი სიუჟეტი სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შესახებ, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას და გაკვეთილს, სადაც ნაჩვენებია, დაახლოებით, 3 წუთიანი გონივრული/მარტივი მაგალითი იმისა, თუ როგორ მივიღოთ სუფთა რძე და მივაღწიოთ უსაფრთხო რძის პროდუქტების წარმოებას საკვების გადამამუშავებელი საწარმოების მხრიდან. პროგრამა დაეხმარება საწარმოებს და ფერმერებს დააკმაყოფილონ სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის წესები, რათა თავიდან აიცილონ ჯარიმები და საწარმოს დახურვის საფრთხე სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, ასევე, ხელს შეუწყობს ჰიგიენის წესების შესახებ ფერმერის ინფორმირებულობის გაზრდას უფრო სუფთა რძის მისაღებად.

2013 წლის აპრილიდან, ყოველ ხუთშაბათს, კიდევ ერთი სასოფლო-სამეურნეო თოქ-შოუ "მე ვარ ფერმერი" მაუწყებლობს აჭარის ტელევიზიაზე. გადაცემა ამზადებს სხვადასხვა სიუჟეტებს და რჩევებს ფერმერებისთვის მეცხოველეობასთან და ფერმერულ მეურნეობასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას მოქმედი ლაბორატორიების და სურსათის ეროვნული სააგენტოს სტანდარტებისა და ჰიგიენის საკითხების შესახებ, რომელსაც პატივი უნდა სცეს ყველა ფერმერმა, რათა აწარმოოს უსაფრთხო პროდუქცია. მაგრამ მოწოდებული ინფორმაცია არის მწირი და თოქ-შოუს შინაარსი ხშირად არ შეესაბამება ტელევიზიით გავრცელებულ ანონსს.

2013 წელს ტელეკომპანიამ "TV3" მაუწყებლობა დაიწყო თბილისსა და მის შემოგარენში. თავის პროგრამაში "საკონტროლო შესყიდვები", TV3-ის არხი სთხოვს მომხმარებელს შეარჩიოს და

იყიდოს პროდუქტები/საკვები ბაზარზე და შემდეგ ამოწმებს მათ და აჩვენებს, როდესაც ისინი სახიფათოა. თითოეული ეპიზოდში მოწმდება ახალი პროდუქტ

დამხმარე ფუნქციები

ვეტერინარული მომსახურება

მუნიციპალიტეტების სოფლებში სახლის პირობებში მომუშავე რამდენიმე არაფორმალური პროვაიდერია, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის არეალში ვეტერინარულ მომსახურებასა და წამლების მიწოდებას, თუმცა შეზღუდული რაოდენობით (იხ. ცხრილი 17), ხოლო ურბანულ ადგილებში ძირითადად მცირე ვეტერინარული აფთიაქებია⁴². წამლების მარაგი შეზღუდულ ასორტიმენტს მოიცავს, სათანადო კონსულტაციის მიღების ალბათობა მინიმალურია, აფთიაქებს არ გააჩნიათ შესაბამისი პირობები ვეტერინარული პრეპარატების უსაფრთხო შენახვისათვის. ვეტერინარული აფთიაქები და მათი მომხმარებლები არ ფლობენ ინფორმაციას ახალი ტექნოლოგიების, მკურნალობის მეთოდებისა და პრეპარატების შესახებ. დაავადების დიაგნოსტიკისა და შემდგომში მკურნალობის შესაძლებლობაც შეზღუდულია. მკურნალობის ტრადიციული მეთოდები (მაგალითად, ბალახები და სახლში დამზადებული პრეპარატებით მკურნალობის მეთოდები) და პირუტყვის სამკურნალოდ თვითნებურად დანიშნული ვეტერინარული პრეპარატები საკმაოდ გავრცელებულია. ამჟამად, არ არსებობს ფერმერებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა ვაქცინაციის მოთხოვნებთან და პოტენციურ რისკებთან ბრძოლასთან დაკავშირებით. ფერმერები თავად ან გამყიდველთან ერთად წყვეტენ თუ რომელი წამლის შეძენაა საჭირო და მხოლოდ იშვიათად ვეტერინარის დანიშნულებით. მონაცემთა მართვისა და შემდგომი მონიტორინგის სისტემა არ არსებობს. ვეტერინარული აფთიაქებისა და გაყიდვების მონაცემების თანახმად (მაგ. დეგელმინტიზაციის მედიკამენტები) გაყიდვები განსაკუთრებით იზრდება ზაფხულში, პირუტყვის ზაფხულის სამოვრებზე გაყვანისას, როცა პირუტყვის დაავადებების გავრცელება პიკს აღწევს, შემდგომ უკვე შემოდგომაზე, პირუტყვის გამოზამთრებამდე. ზამთარში გაყიდვები მცირდება. კომპანიების მიერ მედიკამენტების დისტრიბუცია მოითხოვს მაღალ საოპერაციო ხარჯებს, რაც გავლენას ახდენს ფასზე. მცირე მესაქონლე ფერმერების ინფორმაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ ისინი სკეპტიკურად უყურებენ ახალ წამლებს და მათ დაბალხარისხიანად და ნაკლებად ეფექტურად მიიჩნევენ.

ქალთა როლი ვეტერინარულ მკურნალობასა და მომსახურებასთან დაკავშირებით

ქალები ძირითადად პირველები ამჩნევენ პირუტყვის დაავადებებს, შეუძლიათ დეტალურად აღწერონ სიმპტომები და მოითხოვონ სამკურნალოდ პრეპარატები. მამაკაცები იღებენ გადაწყვეტილებებს შემდგომი ვეტერინარული მომსახურებისთვის, როგორცაა: ვაქცინები და წამლებით მკურნალობა. ვეტერინარული აფთიაქის მფლობელების უმეტესობა მამაკაცები არიან, რომელთაც გამყიდველებად ქალები ჰყავთ. მაგრამ ბათუმში არის 2 ვეტერინარული აფთიაქი, რომლის მფლობელები არიან ქალები, რომელთაგან ერთ-ერთი ვეტერინარია. მამაკაცები და ქალები თითქმის თანაბარი სიხშირით სტუმრობენ ვეტერინარულ ობიექტებს თუკი ის ხელმისაწვდომია ადგილობრივად სოფელში. თუმცა, მამაკაცები უფრო მობილურები

⁴²ვეტერინარული აფთიაქები, როგორც წესი, ცოტათი აღემატება წამლების შეზღუდული რაოდენობის მქონე პატარა სავაჭრო წერტილებს. აფთიაქებს მართავენ და დაკომპლექტებულნი არიან პერსონალით, რომელთაც შეიძლება არ ჰქონდეს ვეტერინარული კვალიფიკაცია ან გამოცდილება.

არიან, ვიდრე ქალები და შესაბამისად მათთვის ურბანულ ადგილებში მდებარე აფთიაქები უფრო მეტად ხელმისაწვდომია. ამიტომ დაბალი ზონის ადგილებში, ურბანულ ცენტრებთან უფრო ახლოს, როგორცაა ქობულეთი, ბათუმი და ხელვაჩაური, ქალებისთვის ვეტერინარული აფთიაქები უფრო მეტად ხელმისაწვდომია (როდესაც ისინი მიდიან აგრარულ ბაზარში რძის პროდუქციის გასაყიდად, როგორცაა ყველი, საჭიროების შემთხვევაში ყიდულობენ ვეტერინარულ პრეპარატებს). შუა და ზედა ზონის მუნიციპალიტეტებში (როგორცაა ხულო, შუახევი, ქედა და ქობულეთი) მცხოვრები ქალები იშვიათად სტუმრობენ ბათუმს, მათი სოფლებიდან დიდი მანძილის გამო. პირუტყვის მკურნალობის ტრადიციულ მეთოდებს, ასევე, უფრო მეტად ქალები იყენებენ.

ვეტერინარული საშუალებების მიწოდება პროგრამის არეალში

არსებობს ვეტერინარული საშუალებების მიწოდებელი სამი ძირითადი კომპანია, რომელთა პროდუქციაც ადგილობრივ ვეტერინარულ აფთიაქებში ინახება. ამჟამად, დისტრიბუცია მხოლოდ აჭარის დაბალი ზონის ვეტერინარულ აფთიაქებში ხორციელდება, ძირითადად, ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში. ვეტერინარული პრეპარატების შესამენად ფერმერები ხულოდან, შუახევიდან, ქედიდან და ხელვაჩაურიდან ბათუმს სტუმრობენ.

- შპს „როკი“: ვეტერინარული აფთიაქების უმეტესობა ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში ვეტერინარული პრეპარატებით კვირაში ერთხელ მარაგდება. როკი უმსხვილესი დისტრიბუტორი, მისი შვილობილი კომპანია კი ვეტერინარული პრეპარატების უმსხვილესი მწარმოებელია საქართველოში⁴³.
- შპს „ინვეტი“: დისტრიბუცია თვეში ორჯერ, როგორც ზემოთ არის მოცემული⁴⁴.
- შპს „მეგავეტი“: დისტრიბუცია ბათუმსა და ქობულეთში.

ცხრილი 17. ვეტერინარული აფთიაქები პროგრამის არეალში

მუნიციპალიტეტი	ვეტერინარული აფთიაქების რაოდენობა
ხულო	1 ხულოს ცენტრში. არის ასევე სახლში გახსნილი რამდენიმე ვეტერინარული პუნქტი.
შუახევი	0 შუახევიში, მაგრამ არის სახლში გახსნილი რამდენიმე ვეტერინარული პუნქტი.
ქედა	2 ქედას ცენტრში.
ხელვაჩაური	4 ხელვაჩაურში.
ბათუმი	10 ბათუმში. უმეტესად მდებარეობს აგრარული ბაზრის და ავტობუსის სადგურთან ახლოს.
ქობულეთი	2 ქობულეთში

სურსათის ეროვნული სააგენტოსა და ვეტერინარული მომსახურების გავრცელება

სურსათის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია დაავადებათა ვეტერინარულ კონტროლზე, ექსპორტზე და ჰყავს მუნიციპალური წარმომადგენლები ხუთივე მუნიციპალიტეტში. ზოგადად, მათი საქმიანობა სუსტია და შემოიფარგლება შეზღუდული რაოდენობის ვაქცინაციით. 2012-13 წლებში და 2014 წლის 1 კვარტალში ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინაციის რაოდენობამ 1000 (ხულო) და 1,650 (ქედა) შეადგინა, ჯილეხის საწინააღმდეგო არცერთი ვაქცინაცია არ გაკეთებულა შუახევიში, ხელვაჩაურსა და ქობულეთში. 2012-13 წლებში და 2014 წლის 1 კვარტალში ტაბახის საწინააღმდეგო ვაქცინაციამ შეადგინა 98,650 (ხულო), 46 675 (შუახევი) 16,038 (ქედა), 12,570 (ხელვაჩაური), 29,574 (ქობულეთი). აჭარის სურსათის

⁴³ ალიანსების კლიენტია.

⁴⁴ მოლის (შვეიცარიის განვითარების სააგენტოს კახეთის პროექტი) კლიენტია.

ეროვნული სააგენტოს უფროსმა ხაზი გაუსვა სერიოზულ კრიზისს⁴⁵ ვეტერინარების ნაკლებობასთან და მათ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, როგორც აჭარაში, ასევე მთელ საქართველოში. სააგენტოსათვის განსაკუთრებულ პრობლემურ საკითხს ბრუცელოზი წარმოადგენს. ხორცის საზღვარგარეთ ექსპორტირების შემთხვევაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს მუნიციპალური წარმომადგენლები შემოწმების შესახებ სპეციალურ სერთიფიკატებს გასცემენ. მაგალითად, 2014 წელს სასაკლაო შპს "ბათუმის ხორცის კომბინატი", რომელიც მდებარეობს სოფელ ერგეში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, განახორციელა 12 ტონა ცხვრის ხორცის ექსპორტი ერაყში და სერთიფიცირება სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივმა სამმართველომ ჩაატარა. სააგენტოს წარმომადგენლებს საშუალოდ აქვთ 400-460 ლარი ყოველთვიური ხელფასი, კვალიფიკაციისა და განათლების დონის მიხედვით. მათ შეუძლიათ გასწიონ კერძო კონსულტაცია; თითო კონსულტაციაში იღებენ 20 ლარს.

2014 წლის აპრილში, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარულმა დეპარტამენტმა მთელი ქვეყნის მასშტაბით ვეტერინარული აფთიაქების შემოწმება დაიწყო. აჭარაში შემოწმდა 12 ვეტერინარული პუნქტი გასაყიდი პრეპარატების ვარგისიანობისა და ანტიბიოტიკების შენახვის პირობების თვალსაზრისით. ინსპექტირება ჩატარდება წელიწადში 3-ჯერ.

ლაბორატორიები

მთელ საქართველოში არსებობს სოფლის მეურნეობის დაქვემდებარებაში არსებული მხოლოდ 3 ლაბორატორია, რომელიც ახდენს ნიმუშების შეგროვებას, რეგისტრაციას, ლაბორატორიულ გამოკვლევებსა და გადაუდებელ შემთხვევებში, მათ გაგზავნას დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში თბილისში, ქუთაისსა და ახალციხეში, ასევე, 8 სავლე სადგური გურჯაანში, დუშეთში, მარნეულში, გორში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ამბროლაურსა და ბათუმში. ბრუცელოზის დიაგნოსტიკა რძის ან სისხლის ანალიზით ხდება, ხოლო ჯილეხის დიაგნოსტიკისათვის ხდება პირუტყვის/ცხვარის კანის ნიმუშების აღება. ლაბორატორიაში მიღებული ნიმუშები სხვა დაავადებებზე შესამოწმებლად იგზავნება თბილისის ლაბორატორიაში. ადგილობრივ ფერმერებს რძე და სისხლის ნიმუშები დაავადებებზე შესამოწმებლად ლაბორატორიაში იშვიათად მიაქვთ. ფასები შემდეგია: სისხლის შემოწმება - 5 ლარი, რძის შემოწმება - 3 ლარი, კანის შემოწმება - 0.5 ლარი. თუ შედეგი უარყოფითია, პასუხი გაიცემა 2 საათში, დადებითი შედეგის შემთხვევაში - 5 დღეში. დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, ლაბორატორია ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს რეგიონში. გარდა ამისა, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა სსიპ "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი". ის ძირითადად უზრუნველყოფს სურსათისა და წყლის ხარისხის კონტროლის მომსახურებას. ქიმიური ანალიზი მოითხოვს 1 დღეს და ბაქტერიული ანალიზი კი - 3 დღეს. აჭარის რეგიონში ხელმისაწვდომია 5 პატარა კერძო ლაბორატორია, აქედან 4 მდებარეობს ბათუმში და 1 ქობულეთში.

- 3 ლაბორატორია აგრარულ ბაზრებში (2 ბათუმში და 1 ქობულეთში) - ეს ლაბორატორიები ეკუთვნის აგრარული ბაზრების მფლობელებს, სადაც მუშაობენ

⁴⁵ამ სფეროში ჩართული მხარეები ხშირად აღნიშნავენ მრგვალი მაგიდის შეხვედრების დროს, რომ საქართველოში შეიმჩნევა მეცხოველეობაში სპეციალიზირებული კვალიფიცირებული და დამწყები ვეტერინარების კრიტიკული ნაკლებობა. არსებული ვეტერინარები ძირითადად ხანდაზმულები არიან, ამიტომ მათ ვერ დავადასაშაულებთ, რომ მათი პოტენციური სუსტია და ცოდნა არასაკმარისია.

სერთიფიცირებული ვეტერინარები. ისინი ამოწმებენ აგრარულ ბაზარზე გასაყიდ პროდუქტებს. 2013 წელს, მათ გამოავლინეს ჯილდების 2 შემთხვევა.

- შპს „სპექტრი“- დაარსდა 1995 წელს. კომპანია ეკუთვნის კერძო პირს (ეკონომისტი) და მას მართავს ქიმიკოს-ბიოლოგი. ამჟამად, ის არ არის აკრედიტებული. მისი ძირითადი კლიენტები არიან რძისა და ხორცის პროდუქტების მომწოდებლები და მოვაჭრეები. ისინი ატარებენ მიკრობიოლოგიურ ანალიზს საკვების ნიმუშებზე. შედეგების მისაღებად საჭიროა 3-5 დღე.
- *კასპიის ინსპექტირების ლაბორატორია* - მფლობელი და მმართველი არის კერძო პირი (ელექტრო სპეციალისტი). ისინი ამოწმებენ შაქარს, მარცვლეულს, ბრინჯს და ა.შ. ისინი არ ამოწმებენ ხორცისა და რძის პროდუქტებს.

სანაშენე ბულათწარმოება

ფერმერები აჭარაში, ძირითადად, ფლობენ აჭარის მთის პირუტყვისა და კავკასიური ჯიშის პირუტყვის „წაბლა“ (კავკასიური მთის X შვეიცარიული ბრაუნის). დადგენილია, რომ პირუტყვის დაახლოებით 50% კავკასიური წაბლას ჯიშისაა და გვხვდება ძირითადად ქობულეთში, ბათუმსა და ხელვაჩაურში, დანარჩენი 50% კი აჭარის მთის ჯიშია, რომელიც როგორც წესი, გვხვდება ხულოში, შუახევსა და ქედაში. აჭარის მთის ჯიში ამორფული ტიპისაა და შეიძლება მოიცავდეს სხვა რეგიონალურ ჯიშებს, როგორცაა ხევსურული, ოსური და სვანური. ეს არის ზოგადი დანიშნულების ჯიშები, რომლებიც გამოყვანილია და შესწევს გადარჩენის, გამძლეობისა და საკვების საძიებლად შორ მანძილებზე სიარულის უნარი. ამ ჯიშის სხვა მთავარი უპირატესობა რძის ცხიმთანობაში გამოიხატება (4.4-4.5 პროცენტი), რაც 0,5%-ით მეტია სხვა ქართული ჯიშის პირუტყვის რძის ცხიმთანობასთან შედარებით. მათი ჩლიქები და მუხლები ძლიერია, რაც აუცილებელია აჭარის მაღალმთიანი და ციცაბო რელიეფისათვის. აჭარის მთის პირუტყვის მთავარი ნაკლოვანებები მათი დაბალი პროდუქტიულობა და მწარმოებლურობაა, რაც ნიშნავს ხორცის მცირე რაოდენობას. ასევე, პრობლემატურია გაუმჯობესებული ჯიშების სელექციის არარსებობა.

ქალთა როლი პირუტყვის გამრავლებასთან დაკავშირებით

პირუტყვის განაყოფიერების სერვისების გამოყენება უპირატესად მამრობითი სქესის წარმომადგენლების საქმიანობაა, რადგან კაცებს მიჰყავთ ძროხა გასანაყოფიერებლად და უკავშირდებიან ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკოსებს, ვეტერინარებს და ბულის მომსახურების მიმწოდებლებს, ვინაიდან მათი უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან და ძირითადად სოფლის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ. თუმცა, ქალები აქტიურად არიან ჩართულნი პირუტყვის გამრავლების პროცესში, რადგან ისინი როგორც წესი, პირველები ატყობენ ძროხის ახურების პერიოდს, და დამატებით, მათთვის პრიორიტეტულია ფურის მიერ ხბოს მოგება წველადობის გაზრდის მიზნით, ვინაიდანაც ქალი ფერმერების ძირითად საქმიანობას რძის პროდუქტების წარმოება და მისი შემდგომი გაყიდვა წარმოადგენს. ძროხების რეპროდუქციის ციკლს ქალები აკონტროლებენ.

პირუტყვის გამრავლების სერვისები პროგრამის ფართო არეალში

ფერმერების უმრავლესობა პირუტყვის გამრავლებისთვის ბუნებრივი განაყოფიერების სერვისს იყენებს, ზაფხულში თავის პირუტყვს ნახირში და ადგილობრივ ბუდასთან უშვებს ან მიჰყავს თავისი ძროხა მეზობლის ბუდასთან და ზოგჯერ გადაჰყავს ძროხები სხვა სოფლებში, თუკი აქ განსაკუთრებით კარგი ხარისხის ბუდაა. ფოკუს ჯგუფების კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერებს სურვილი აქვთ ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებული ჯიშის ბულის სერვისზე.

თუმცა, აჭარაში ფერმერებისათვის ხელმისაწვდომია ხელოვნური განაყოფიერების მომსახურება, რომელიც შეიქმნა 2012 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი აგროსერვის ცენტრის მეშვეობით, და 2013 წლიდან, გაეროს განვითარების პროგრამის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის მეშვეობით, კვლავ აგროსერვის ცენტრის მეშვეობით.

ხელოვნური განაყოფიერება

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში, რეგიონში ხელოვნური განაყოფიერების სერვისს აგროსერვის ცენტრი⁴⁶ აწარმოებს. მათ ჰყავთ 14 სპეციალისტი (პრაქტიკოსი), ვინც აწვდის მომსახურებას აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტს: 6 ხულოში, 2 შუახევში, 2 ქედაში, 2 ხელვაჩაურში და 2 ქობულეთში. აჭარის რეგიონში არ არის ხელოვნური განაყოფიერების კერძო სპეციალისტი. თითო განაყოფიერების ფასი არის 10 ლარი სოფლად და 20 ლარი ქალაქში. 2012 წელს განაყოფიერდა 100 ძროხა, 2013 წელს - 278 და 2014 წლის 1 კვარტალში კი - 364. აგროსერვის ცენტრის მონაცემების თანახმად, განაყოფიერებული ძროხების 61%-ს აქვს დადებითი შედეგი, ამაში შედის განმეორებითი განაყოფიერებაც. მონაცემები განმეორებითი განაყოფიერებების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი. განმეორებითი განაყოფიერება ხორციელდება დამატებითი საფასურის სანაცვლოდ. უკეთესი წველადობის გამო, შვეიცარიული ბრაუნი და ჯერსის ჯიშები ყველაზე მოთხოვნადია. ხბოების 50% დედალია და 50% მამალი. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში გაწეული მომსახურების რაოდენობა გაიზარდა, სერვისის განხორციელება კომერციული თვალსაზრისით არ ხდება, რადგანაც ფერმერები მაინც სკეპტიკურად არიან განწყობილნი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მიმართ და შესაბამისად მოთხოვნაც დაბალია. ძირითად მიზეზებად სახელდება, მრავალი სირთულე ხბოს მოგების პროცესში და წარმატების დაბალი მაჩვენებლები, ასევე ლოჯისტიკური სირთულეები, მაგ. სპეციალისტის ძროხასთან დროულად მისვლა. ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკოსების ხელფასი არის ნეტო 900 ლარი, ისინი არ იღებენ დამატებით თანხას მომსახურების გაწევისას. მომსახურების მიმართ ფერმერების დამოკიდებულებების შესახებ აგროსერვის ცენტრს კვლევა არ ჩატარებია, მას დაგეგმილი აქვს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამის დასრულების შემდეგ გადასცეს ხელოვნური განაყოფიერების სერვისის ჩატარების ფუნქცია ჯერჯერობით უცნობ სუბიექტებს, შესაძლოა უკვე არსებულ პრაქტიკოსებს, მისი კომერციული განხორციელების თვალსაზრისით.

კვება

ფერმერები კვებას ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევენ რეგიონში პირუტყვის წარმოების განვითარებისათვის. ფოკუს კვლევის კვლევისას ფერმერებმა ნათლად გამოხატეს თივისათვის უკეთესი საცავისა და ტექნიკის, ასევე ხარისხიანი საკვების უფრო იაფი წყაროების არსებობის აუცილებლობა. ციკაბო ტყით დაფარული რელიეფის გამო სოფლის ადგილობრივი საძოვრები, რაზე დამოკიდებულებაც ასე მაღალია საქართველოს მასშტაბით, არახელმისაწვდომია. ხშირად დაინახავთ ცხოველებს, რომლებიც მოვენ გზის გასწვრივ. ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში წყალგამყოფის ზედა ნაწილში ფართო საზაფხულო საძოვრები უფრო მეტად ხელმისაწვდომია, რაც გავლენას

⁴⁶გთხოვთ, იხილოთ წესების ნაწილში თავი აჭარის მთავრობის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკის შესახებ.

ახდენს მუნიციპალიტეტში არსებული პირუტყვის რაოდენობაზე. ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ადგილას საქართველოში, პირუტყვის მთავარი საკვები არის ბალახი, თივა და ქატო. სამოვრებისა და თივის ნაკლებობის, ზამთრის პერიოდში პირუტყვის გამოსაკვებად პირუტყვის მეპატრონეები დამოკიდებულნი არიან საქართველოს სხვა რეგიონებიდან თივის იმპორტზე. იმპორტირებული თივის შესანახად არსებობს პატარა ზომის საცავი და ადგილობრივად წარმოებული თივა ძირითადად მცირე ზვინებად ინახება. გამოყენებული თივის მხოლოდ 30%-ია აჭარაში წარმოებული, 70% კი შემოტანილია ქვემო ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და კახეთიდან ან თბილისიდან გოდერძის უღელტეხილისა და მთავარი გზის გავლით.

აჭარაში 37.759 ჰა ფართობის სამოვარია, რაც მოიცავს საზაფხულო სამოვრებსაც. მაისიდან სექტემბრამდე, პირუტყვი მუნიციპალიტეტიდან გადაჰყავთ ზაფხულის სამოვრებზე. ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებს აქვთ 27.386 ჰა სამოვარი, რაც მოიცავს მაღალმთიან/ზაფხულის სამოვრებს. ქედას, ხელვაჩაურს და ქობულეთს აქვს 10,373 ჰა დაბალი ზონის საზაფხულო სამოვრები. პირუტყვის 81% ხულოდან და 71% შუახევიდან გადადის თავიანთი მუნიციპალიტეტის ზაფხულის სამოვრებზე (ბეშუმში, ალმე, დიდაჭარა, თეთრობი, ზორტიყელი, სარიჩაირი, ჩირუხი, საბერწია, სანალია, ღომა, მერიაკელი, კარტიანი, ნაცარა და ა.შ.). პირუტყვის 50% ქედის მუნიციპალიტეტიდან გადადის შუახევისა და ხულოს ზაფხულის სამოვრებზე (კვესავრი, სარიჩაირი). ხელვაჩაურიდან პირუტყვის მხოლოდ 20% გადადის ბეშუმში (ხულო) და ადიგენში (სამცხე-ჯავახეთი); და ქობულეთის პირუტყვის მხოლოდ 8% გადაინაცვლებს ბახმაროში (გურია). მანძილი სოფლიდან (ხულო) უახლოეს ზაფხულის სამოვრამდე 12 კმ და ყველაზე შორი კი 80 კმ-ია (ადიგენის, სამცხე-ჯავახეთი). სამოვრები აჭარაში არ არის რეგისტრირებული და ცენტრალურ ხელისუფლების მფლობელობაშია, და არ არსებობს სამოვრების მართვის სისტემა, არც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეშვეობით. ფერმერები სამოვრებით უფასოდ სარგებლობენ და მწყემსს უხდიან მხოლოდ 5-10 ლარს თითო სულ პირუტყვზე. აჭარაში ძროხებს ზამთარში აბინავებენ. საბჭოთა სისტემის შესაბამისად საკვების შედარების თვალსაზრისით, თივას მთის სამოვრებიდან აქვს 0.50-0.55 საკვები ღირებულება, ხოლო თივას დაბლობიდან 0.3-0.35 საკვები ღირებულება. ხარისხის მხრივ 0.20 საკვები ერთეულის დანაკარგი შეიძლება მიეწეროს ძირითადად თივის გვიან მოჭრას (აგვისტო), როდესაც ბალახში გროვდება თესლი და ის ხდება ბოჭკოვანი. ეს, თავის მხრივ, შეიძლება ახსნილი იქნას ტრადიციით, ინფორმაციის ნაკლებობით ან ხარისხზე მეტად რაოდენობისათვის პრიორიტეტის მინიჭებით (საკვების კონცენტრაცია და ათვისებადობა) და ტექნიკის არახელმისაწვდომობით.

თივა ფერმერებისათვის დიდი ხარჯია, განსაკუთრებით მაშინ როცა უამინდობა და წვიმა გავლენას ახდენს თივის ფასის ზრდაზე. გარდა ამისა, ვინაიდან რძის პროდუქტების გასაღების ბაზრის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ფერმერები ვერ რისკავენ კვების საშუალებებში თანხის ჩადებას. მინერალური დანამატის სახით, ფერმერები პირუტყვს ხშირად მარილს აძლევენ. ყველა დანარჩენ მიკრო-ელემენტებს პირუტყვი ღებულობს საკვებისგან და საკვებ-დანამატისგან. უცნობია არის თუ არა მიკრო-ელემენტების ნაკლებობა რეგიონში. არაორგანული და ორგანული სასუქები ჩვეულებრივ არ გამოიყენება სამოვრებისა და სათიბი მიწისათვის, ნაწილობრივ იმის გამო, რომ არის დაბალი ცნობიერება და უნდობლობა ეკონომიკური სარგებელის შესახებ. სამოვრებისა და სათიბი მიწების მორწყვა იშვიათად ხდება. ფერმერები პრიორიტეტს ძირითადად მებოსტნეობას ანიჭებენ. სიმინდის ჩალასთან ერთად, ქატო დამატებითი საკვების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ფერმერებისათვის. კომბინირებული საკვები საშუალებები ხელმისაწვდომია პროგრამის არეალის ურბანულ ცენტრებში, მაგრამ მაღალი ფასისა და მცირე შემოსავლების გათვალისწინებით ფერმერების ნდობა დაბალი.

ქალთა როლები კვებასთან დაკავშირებით

ტრადიციულად, პირუტყვის გამოკვებაზე ქალები არიან პასუხისმგებელნი. ორივეს, ქალსა და მამაკაცს ხელი მიუწვდება სამოვრებზე, თივაზე ან პირუტყვის სხვა საკვებზე. ქალები კვებავენ პირუტყვს ფერმერების მიერ მოხმარებული პროდუქტის ნარჩენებით. ზაფხულში მამაკაცები სოფლებიდან ხშირად მიდიან საზღვარგარეთ (ძირითადად თურქეთში) სამუშაოდ და ამ პერიოდის განმავლობაში ქალების პასუხისმგებლობა შინამეურნეობების მიმართ იზრდება და მოიცავს ისეთ სფეროებს, რომელიც როგორც წესი, მამაკაცის კონტროლის ქვეშაა. თივის დამზადებისას ორივე, ქალები და მამაკაცები არიან ჩართულნი. მამაკაცი ძირითადად ჭრის, ქალი კი აგროვებს თივას. ამის შემდეგ კაცები მას ინახავენ ან მიაქვთ მაღაზიაში.

საკვები საშუალებების მომწოდებლები პროგრამის არეალში

ლუდის ანარჩენი და კომბინირებული საკვები პროგრამის არეალში შემოაქვს ედნარ ანთაძეს (ქვემო ქართლის ალიანსის პროგრამის კლიენტი) და მის წარმომადგენელს ხულოში, ბაჩუკი ანთაძეს. მისი კომბინირებული საკვები შეიცავს 40% ქატოს, 40% სიმინდს, 15% ქერს და 5% კოპტონს. ედნარი ანთაძემ დაიწყო კომბინირებული საკვების გაყიდვა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში - რიყეთსა და დიოკნისეში. მიწოდებული კომბინირებული საკვების რაოდენობა შეადგენს 10 ტონას ყოველ ორ თვეში ერთხელ, რაც მეტყველებს იმ სირთულეებზე, რომელიც უკავშირდება მისასვლელი გზის და შესაბამისი ტრანსპორტის არარსებობას და ფასის მიმართ ფერმერების დამოკიდებულებას. ფერმერები დაიწყებენ ნელ-ნელა კომბინირებული საკვების შექმნას, როცა დაინახავენ სხვა ფერმერების მიერ კომბინირებული საკვების გამოყენების მომგებიან შედეგებს. ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში კომბინირებული საკვების მწარმოებელი რამდენიმე საწარმოა. საწარმოს მფლობელები იყენებენ საკუთარ რეცეპტებს და კომბინირებულ საკვებს ყიდიან თავად ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. მუნიციპალიტეტების თითქმის ყველა სოფელში, მინიმუმ ერთი ან ორი წისქვილია, რომლებიც მუშაობენ ელექტროენერგიაზე ან წყალზე. მაგრამ კომბინირებული საკვების საწარმოებლად არ გააჩნიათ სათანადო აღჭურვილობა.

აჭარაში კომბინირებული საკვების საწარმოების საერთო სურათი შემდეგია:

- *ხულო:* არ არის ადგილობრივი კომბინირებული საკვების საწარმო. ლუდის ანარჩენი კომბინირებული საკვების ერთი დისტრიბუტორი (მცირე კავკასიის ალიანსის პროგრამის ქვემო ქართლის კლიენტი).
- *ბათუმი:* არსებობს 3 წისქვილი აგრარულ ბაზარში, რომელთაგან მხოლოდ ორი აწარმოებს კომბინირებულ საკვებს. 1 კგ კომბინირებული საკვების ფასი 70 თეთრია და შეიცავს 20% ქერს, 20% ხორბალს, 45% სიმინდს, 5% ქატოს, 10% სოიოს. წისქვილებს ნედლეული მიეწოდება ლაგოდეხიდან და სიღნაღიდან.
- *ქობულეთი:* აქ არის ერთი კომბინირებული საკვების წისქვილი, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ფუნქციონირებს 2014 წლის იანვრიდან. მოთხოვნა პროდუქტზე იზრდება და კომბინირებული საკვები სულ უფრო პოპულარული ხდება ფერმერებში. საწარმო ნედლეულს იღებს იმერეთის რეგიონიდან.

თივის ბაზარი და თივით მოვაჭრეები

აჭარაში თივის ბაზრები ბათუმსა და ქობულეთში მდებარეობს. შემოდგომიდან გაზაფხულამდე თივის 70% შემოდის ქვემო ქართლიდან, კახეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდან. ზაფხულში თივით ვაჭრობენ მხოლოდ ადგილობრივი მოვაჭრეები, მაგრამ როდესაც თივაზე

მოთხოვნა იზრდება, თივით მოვაჭრეები სხვა რეგიონებიდანაც შემოდის. თივის ბიზნესში, დაახლოებით, 70 ადამიანია ჩართული. ყველაზე მაღალი ფასი თივაზე ფიქსირდება ზამთარში - 12 ლარამდე/20კგ, ხოლო ყველაზე დაბალი ფასი ზაფხულში - 6 ლარი/20კგ. ერთი სტანდარტული შეკვრა იწონის 18-22 კგ-ს. საუკეთესო სეზონი თივის გასაყიდად ადგილობრივი თივის ბაზრებზე არის სექტემბრიდან აპრილამდე. ამ პერიოდის განმავლობაში თივით მოვაჭრეებს თივა შემოაქვთ თვეში ორჯერ. გამოიყენება მისაბმელიანი ავტოტრანსპორტი, რომელთა ტევადობა დაახლოებით 600 შეკვრას. თივით მოვაჭრეები ფოკუსირებას ახდენენ ბათუმის გარეუბნებზე.

ტექნიკა და თივა

აჭარის რეგიონში ცხოველთა კვების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ფაქტორი არის თივის დამზადების პროცესი. ძირითადად, თივა მზადდება ხელით და ძვირადღირებულია დროისა და ფულის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვნად გამოიყენება ცხოველთა სამუშაო ძალა. ფერმერების უმრავლესობა თივას ყიდულობს სხვა რეგიონებში თივის შუამავლების/მოვაჭრეების მეშვეობით. ზოგიერთი რამ რაც უკავშირდება თივის დამზადების სირთულეს არის ის, რომ სათიბები განთავსებულია რთულ რელიეფზე და მიუწვდომელია ტექნიკით სამუშაოდ, მაგრამ ზოგადად მთავარი პრობლემა მიწის პოტენციალის სრულად ექსპლუატაციისათვის არის შესაბამისი ტექნიკის, ტექნიკის მომსახურების ან მათ შესაძენად ან დასაქირავებლად საჭირო ფინანსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. ფოკუს ჯგუფის კვლევის ყველა რესპონდენტი, თივის დასამზადებლად დიდი ტრაქტორებისა და იარაღების ნაცვლად, პრიორიტეტს მცირე და საშუალო ზომის ტექნიკას/იარაღებს (ხელის სათიბი და მოტობლოკები) ანიჭებს. მთავრობამ შექმნა მექანიზაციის სერვის ცენტრები მუნიციპალურ ცენტრებში, მაგრამ მათი მომსახურება არაორგანიზებული და არაეფექტურია, აქვთ ახალი, მაგრამ რეგიონის პატარა და მთიანი სათიბი მიწისათვის შეუსაბამო ტექნიკა. მექანიზაციის სერვისის მიმწოდებლებს უწევთ ძველი ტექნიკით მუშაობა, რომელსაც აქვს მაღალი ხარჯები და დაბალი ეფექტურობა. გარდა ამისა, თივის დამზადებისას ფერმერები ჯერ კიდევ ხელის სათიბებსა და ფოცხებს იყენებენ. თივის წარმოებასთან დაკავშირებული მენეჯმენტის პრაქტიკა, კარგი ხარისხისა და შესაბამისი ტექნიკის სერვისის ხელმისაწვდომობა, რომელიც იძლევა ეკონომიურად ეფექტური მუშაობის საშუალებას, გაზრდის თივის რაოდენობას. ზამთრის პერიოდში, თივის საკმარისმა რაოდენობამ და განახლებულმა ხარისხმა შესაძლოა განმსაზღვრელი როლი ითამაშოს მცირე მესაქონლე ფერმერების განვითარებაში, მეწველი ძროხების რაოდენობის გაზრდის ან გაუმჯობესებული კვების მიმართულებით უკეთესი წარმადობის მისაღწევად.

მექანიზაციის ცენტრები

ფერმერების მხოლოდ 20% იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიას თივის დამზადებისა და კულტივაციისათვის. მყიდველები უჩივიან მაღალ ფასსა და დაფინანსების ხელმისაწვდომობის არარსებობას. მექანიზაციის ცენტრებს ტექნიკა ძირითადად ჩინეთიდან, სამხრეთ კორეიდან და თურქეთიდან შემოაქვთ. ერთ-ერთი მსხვილი ტექნიკის ცენტრი, შპს „მექანიზატორი“, დაფუძნებულია ჩაქვში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში და ჰყავს თავისი წარმომადგენლები თითოეულ მუნიციპალიტეტში. იგი 2013 წელს, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით დაარსდა. თუმცა ისინი ძირითადად აქირავებენ დიდ მანქანებს და არ გააჩნიათ შესაბამისი აპარატურა მთიან და მთაგორიან ადგილებში კულტივაციისა და თივის დასამზადებლად. ცენტრი უზრუნველყოფს მხოლოდ მომსახურებას და არ ყიდის ტექნიკას. 2014 წელს, ცენტრი გეგმავს 350 ტონა თივის მოთიბვას აჭარაში (ფერმერების მიერ წინასწარ

გაკეთებული მოთხოვნების შესაბამისად). 1 ჰა-ის თიბვა ღირს 58 ლარი და ერთი შეკვრის ფასი არის 0.5 ლარი. ბათუმში არსებობს რამდენიმე ტექნიკის ცენტრი პუშკინისა და წერეთლის ქუჩებს შორის. მათი მთავარი პროდუქცია არის სტრიმერები, მოტობლოკები და პატარა ტრაქტორები. ძირითადი მომხმარებლები არიან ფერმერები ყველა მუნიციპალიტეტიდან.

მექანიზაციის ოპერატორები

ტექნიკით მომსახურების მიღება შესაძლებელია მცირე ინდივიდუალური ოპერატორებით, რომლებსაც ჰყავთ ტრაქტორი და გააჩნიათ რამდენიმე ხელსაწყო, მაგრამ მომსახურება არის შეზღუდული ტექნიკის ასაკისა და მისი ტექნიკური მდგომარეობის თვალსაზრისით. ტექნიკის ჩანაცვლების მაღალი ხარჯებისა და შეზღუდული ან ძვირი კრედიტის გამო ტექნიკის ჩანაცვლება რთული პროცესია. მაღალი საწარმოო ხარჯები განაპირობებს მომსახურება მაღალ ფასს, თუმცა ეს უფრო იაფია, ვიდრე შპს „მექანიზატორის“ მიერ შემოთავაზებული ფასი.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

აჭარის მედია საშუალებები გავრცელების თვალსაზრისით უფრო ძლიერია ქვემო ქართლთან და სამცხე-ჯავახეთთან შედარებით, თუმცა, ძირითადად ქალაქზე ორიენტირებული და არ ხდება მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება სოფლის მეურნეობის საკითხებთან მიმართებით. აჭარის ტელევიზია ერთადერთი ადგილობრივი სატელევიზიო არხია რეგიონალური დაფარვითა და სოფლის მეურნეობის პროგრამით „*მე ვარ ფერმერი*“. თუმცა, ეს გადაცემა აქცენტს აკეთებს ძირითადად მსხვილ ფერმერებზე და ახალ ტექნოლოგიაზე და არ ამახვილებს ყურადღებას კერძო სექტორზე, მცირე და საშუალო ბიზნესზე და მცირე მესაქონლე ფერმერების უმრავლესობისათვის საჭირო ინფორმაციას, როგორცაა პირუტყვის დაავადებები, მათი კვება ან სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის საკითხები. TV25 ფარავს მხოლოდ ბათუმს, ხელვაჩაურსა და ქობულეთს; ის ასევე ხელმისაწვდომია სატელიტზე. არცერთი ტელევიზია არ გადმოსცემს ხარისხიან სიუჟეტებს სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ ადგილობრივი, რეგიონალური და სოფლის საკითხების გათვალისწინებით, აშუქებენ მხოლოდ მოკლე ჩანართებს ყოველდღიურ სიახლეებში, რომელიც ეხება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის შესახებ მომზადებულ ანგარიშებს. „*ბათუმელები*“ ერთადერთი გაზეთია რეგიონალური დაფარვით, თუმცა ის არ წარმოადგენს კომერციული გაყიდვების მოდელს და ძირითადად რჩება გამოსაწერ გაზეთად, იყიდება მცირე რაოდენობით ბათუმის სავაჭრო ობიექტებში. გაზეთი განაგრძობს თავისი დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილის მიღებას დონორი ორგანიზაციებისაგან. გაზეთ „*აჭარა*“-ს მთავარი აბონენტები საჯარო მოხელეები არიან. „*აჭარა P.S.*“ მოიცავს მხოლოდ ქობულეთს, ხელვაჩაურსა და ბათუმს. ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებს აქვთ ადგილობრივი მთავრობის მიერ დაფინანსებული გაზეთები, რომელთა გამოძწერები ძირითადად საჯარო მოხელეები არიან. ფერმერული პრაქტიკის შესახებ საგაზეთო სტატიების დაწერასა და შემდგომ დაბეჭდვას აფინანსებენ დონორი ორგანიზაციები. ტელევიზიისა და გაზეთების ბიუჯეტი არ არის საკმარისი ტექნიკური აღჭურვილობისა და პროგრამის განვითარებისათვის. მომხმარებელთა კვლევა და მარკეტინგული საქმიანობა არასდროს ჩატარებულა. ჟურნალისტებს არა აქვთ შესაძლებლობა და სათანადო გამოცდილება მოემსახურონ მუნიციპალიტეტების აუდიტორიას.

ქალთა როლი ინფორმაციასთან დაკავშირებით

საინფორმაციო არხები ხელმისაწვდომია როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისთვის, მაგრამ საკუთრების თვალსაზრისით, სატელევიზიო არხებს, როგორც წესი, აკონტროლებენ მამაკაცები და გაზეთებს და ინტერნეტ სააგენტოებს - ქალები. მამაკაცები იკრიბებიან ქუჩაში და იყენებენ ე.წ. "ბირჟა"-ს ინფორმაციის გასავრცელებლად. ქალებს არა აქვთ ამავე დონის ხელმისაწვდომობა არაფორმალური ინფორმაციის ქსელებზე. თუკი გაზეთები და სხვა ინფორმაცია გაიყიდება ან ხელმისაწვდომი გახდება არა მხოლოდ ქალაქში, არამედ უშუალოდ სოფლებში, ქალებისათვის მათი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგან მამაკაცებს როგორც წესი გადაადგილების უფრო მეტი თავისუფლება აქვთ.

ცხრილი 19 . მედია წყაროები პროგრამის არეალში

მედია წყარო	ენა	დაფარული სოფლები	მკითხველთა /მაცურებელთა რაოდენობა	შემოსავლის წყარო	აგრარული ინფორმაცია
“აჭარა TV” რეგიონალური მაუწყებელი	ქართული	აჭარის რეგიონის ყველა სოფელი; ასევე ხელმისაწვდომია სატელიტზე	უცნობია	4 მილიონი ლარი აჭარის ბიუჯეტიდან ყოველ წელს	კი
შპს “ TV25”	ქართული	ბათუმი, ქობულეთი და ხელვაჩაური; ასევე, ხელმისაწვდომია სატელიტზე	უცნობია	გაყიდვები და დონორების დაფინანსება	არა
შპს “ბათუმელები” გაზეთი და ონლაინ საინფორმაციო სააგენტო (24 გვერდი; ტირაჟი 3000 ასლი/ კვირაში; 1 ლარი)	ქართული	აჭარის რეგიონის ყველა სოფელი	4700/კვირა	გაყიდვები და დონორების დაფინანსება	არა
შპს“აჭარა P.S” გაზეთი (4 გვერდი;2000 ასლი/კვირაში; 0.25 ლარი)	ქართული	ქობულეთი, ხელვაჩაური, ბათუმი	2000/კვირა	გაყიდვები	არა
შპს“აჭარა” (8 გვერდი; კვირაში 3-ჯერ; ტირაჟი 800 ასლი)	ქართული	აჭარის რეგიონის ყველა სოფელი	2400/კვირა	გაყიდვები	არა
“ხულო” (8 გვერდი; თვეში 2-ჯერ; ტირაჟი 1000 ასლი/ თვეში)	ქართული	ხულოს ყველა სოფელი	1000/თვე	სახელმწიფო სუბსიდიები და გაყიდვები	არა
“შუახევი” (8 გვერდი; თვეში ერთხელ; ტირაჟი 500 ასლი/ თვეში)	ქართული	შუახევის ყველა სოფელი	500/თვე	სახელმწიფო სუბსიდიები და გაყიდვები	არა

ფინანსების ხელმისაწვდომობა

დღეისათვის, აგრო-სამრეწველო სექტორი, კერძოდ კი მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ცდილობს მდგრად განვითარებასა და ინვესტირებას სარისკო გარემოში, განიცდის ფინანსების ნაკლებობას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს წარმოების პოტენციალსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ბანკები ორიენტირებულნი არიან მოკლევადიან შედეგებზე და შედეგად მომხმარებელთა ინტერესები უგულვებელყოფილია. გაფართოებისათვის საჭირო კაპიტალი, როგორცაა საბანკო სესხები, ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან ბანკები აგრობიზნესს ჯერ კიდევ სარისკოდ აღიქვამენ. ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობისათვის ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებული, მაგრამ ხელმისაწვდომად შეზღუდულია სხვადასხვა ტიპის სესხები და პროგრამები სოფლის მეურნეობის სექტორისათვის.

ცხრილი 20. აჭარაში საკრედიტო ინსტიტუტების მიმოხილვა

საკრედიტო ორგანიზაციები	ორგანიზაციების ტიპები	ოფისები	სასოფლო-სამეურნეო სესხის პროდუქტები	საშუალო რაოდენობა (აშშ დოლარი)	სესხის ვადა (თვე)	წლიური საპროცენტო განაკვეთი (%)
პროკრედიტ ბანკი	ბანკი	ბათუმი ქობულეთი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	50 - 100 000	2-60	24-36
საქართველოს ბანკი	ბანკი	ყველა მუნიციპალიტეტი ქედას გარდა	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	350 - 500 000	1-60	14-24
რესპუბლიკა	ბანკი	ბათუმი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	2 000 - 100 000	3-120	16-18
ვთბ ბანკი	ბანკი	ბათუმი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	150 - 30 000	1-60	13-16
ლიბერთი ბანკი	ბანკი	ყველა მუნიციპალიტეტი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	100 - 50 000	3-60	15-20
ქართუ ბანკი	ბანკი	ბათუმი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	3000 - 500 000	3-120	13-16
თიბისი ბანკი	ბანკი	ბათუმი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	3000 - 400 000	3-36	13-20
ბაზისბანკი	ბანკი	ბათუმი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	200 - 70 000	1-120	13-18

კორსტანდარტ ბანკი	ბანკი	ბათუმი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	300 – 500 000	3-36	13-20
ბანკი კონსტანტა	ბანკი	ბათუმი ხულო ქობულეთი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	3000 – 70 000	3-60	15-34
კრედო	მიკრო საფინანსო ორგანიზაცია	ბათუმი ხულო ქობულეთი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	50 - 30 000	2-60	16-30
ლაზიკა	მიკრო საფინანსო ორგანიზაცია	ბათუმი ხულო ქობულეთი	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	100 – 30 000	4-48	12-24
ფინკა საქართველო	მიკრო საფინანსო ორგანიზაცია	ბათუმი ხულო	სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს სესხები	50 – 30 000	3-60	19-24

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

ამ პროექტის მიზანია ააღორძინოს სოფლის ეკონომიკა, დააბრუნოს მოსახლეობა უკან სოფელში და დაეხმაროს მათ ეკონომიკურ ზრდაში. აგრეთვე, მისი მიზანია გაზარდოს კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის წარმოება. შეღავათიანი აგროკრედიტის პროდუქტებით, რომლებიც აჭარაში ხელმისაწვდომია 11 ბანკში და 1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, მე-2 კომპონენტის საფუძველზე უკვე დაფინანსდა 34 არსებული ბიზნესი და 6 არსებული ბიზნესი მე-3 კომპონენტის საფუძველზე (მათ შორის, 3 დამწყები ბიზნესი). თუმცა, ეს სესხები ძირითადად გაიცა მსხვილ ბიზნესებზე, რომელთაც უკვე აქვთ საკუთარი აქტივები და წარმოება, ხოლო შვეიცარიის განვითარების სააგენტოს MOLI-ის პროექტისა და ალიანსების სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის პროგრამების მიერ ფასილიტირებულმა მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ⁴⁷ უარი მიიღო კრედიტის აღებაზე. დღემდე პროგრამამ გასცა 317 098 739 ლარის ღირებულების აგრო სესხები 14 097 კრედიტორზე⁴⁸.

ცხრილი 21 საქართველოში გაცემული აგრო სესხები.

კომპონენტი #	თანხა (ლარი)	კრედიტორების რაოდენობა
I	1,837,478	4,309
II	168,644,240	9,258
III	96,991,211	482
V	49,625,810	48

⁴⁷ 10-დან 5 სამცხე-ჯავახეთში, 5-დან 2 ქვემო ქართლში.

⁴⁸ მე-2 და მე-3 კომპონენტების ქვეშ გაცემული სესხების რაოდენობით კახეთი პირველ ადგილზეა - 91 571 470 ლარი (სულ 4243 სესხი) მე-2 კომპონენტით და 40 743 800 ლარი (215 სესხი) მე-3 კომპონენტით. ქვემო ქართლი სიდიდით მეორეა - 31 661 894 ლარი (2111 სესხი) მე-2 კომპონენტის ქვეშ და 16 774 477 ლარი (96 სესხი) მე-3 კომპონენტით. სამცხე-ჯავახეთი არის მეხუთე ყველა მსხვილი რეგიონი - 7 065 400 ლარი (613 სესხი) მე-2 კომპონენტის ქვეშ და მეშვიდე მე-3 კომპონენტის საფუძველზე - 2 479 354 ლარი (20 სესხი). აჭარა არის მეცხე - 560 050 ლარი (34 სესხი) მე-2 კომპონენტის საფუძველზე და მეთექვსმეტი მე-3 კომპონენტის საფუძველზე - 936 946 ლარი (6 სესხი)

მთავრობის მიერ წარმოდგენილი "შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი" ამოქმედდა 2013 წლის მარტში და თავდაპირველად სთავაზობდა სამ დაბალპროცენტულ კომპონენტს:

1. სასაქონლო უპროცენტო კრედიტი/სესხი მცირე მესაქონლე ფერმერებისათვის - 5 000 ლარამდე უპროცენტო სესხები უზრუნველყოფის გარეშე.
2. აგრო კრედიტი საშუალო და მსხვილი მესაქონლე ფერმერებისათვის - არაუმეტეს 7 - 8% წლიური საპროცენტო განაკვეთით, კრედიტი 5 000 ლარიდან 100 000 ლარამდე.
3. აგრო კრედიტი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, არა უმეტეს 3% წლიური საპროცენტო განაკვეთით - გრძელვადიანი დაფინანსება ტექნოლოგიებისათვის 1 000 000 ლარიანი ლიმიტით.

პროგრამის განხორციელებიდან ერთი წლის შემდეგ დაბალპროცენტულ სესხს ოთხი კომპონენტი დაემატა:

4. აგრო ლიზინგი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის - არა უმეტეს 3% წლიური განაკვეთით - გრძელვადიანი დაფინანსება (84 თვე), ტექნოლოგიისათვის 1 000 000 ლარიანი ლიმიტით.
5. აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის - არა უმეტეს 6%, 15 თვის განმავლობაში დაფინანსება მხოლოდ ყურძნის შესაძენად, 10 000 000 ლარიანი ლიმიტით.
6. აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტიორისა და გადამამუშავებელი კომპანიებისათვის - არა უმეტეს 6% საპროცენტო განაკვეთით - მოკლევადიანი დაფინანსება (მაქსიმუმ 4 თვე) და 10 000 000 ლარიანი ლიმიტი და 30 000 000 ლარი კომპონენტის მთლიანი ბიუჯეტი.
7. აგროკრედიტი, თანმხლები გრანტით, სასოფლო-სამეურნეო დამწყები ბიზნესებისათვის მუნიციპალიტეტებში, არა უმეტეს 2% საპროცენტო განაკვეთით - გრძელვადიანი დაფინანსება (120 თვე) 500 000 აშშ დოლარით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი არის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 2014 წლის აპრილში დაიწყო. მისი მიზანია ახალი საწარმოების შექმნა ეკონომიკურად შედარებით ნაკლებად აქტიურ მუნიციპალიტეტებში, გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესაქმნელად წინაპირობების გაუმჯობესება, ნედლეულის განვითარება და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. აჭარაში პროექტი მოიცავს ხუთივე მუნიციპალიტეტს. ამჟამად, მიმდინარეობს წარდგენილი აპლიკაციების განხილვა; როგორც კი გამარჯვებულები გამოვლინდებიან, მაშინვე დაიწყება შეღავათიანი კრედიტის და გრანტების გაცემის პროცესი.

პროექტი „აწარმოე საქართველოში“

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2014 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა პროექტი "აწარმოე საქართველოში". მისი ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას. პროექტის თანახმად, მეწარმეებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთრების გადაცემის უფლება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, თუ ის აკმაყოფილებს გარკვეულ საინვესტიციო ვალდებულებებს. გარდა ამისა, პროექტი მეწარმეებს საკონსულტაციო მომსახურებასაც სთავაზობს.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვები მცირე ფერმერებისათვის და მცირე და საშუალო ბიზნესისათვის

ფინანსური ინსტიტუტები კლიენტის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად და რისკების შესამცირებლად გირაოს იყენებენ. სესხების მოცულობისა და მეურნეობის ტიპის მიხედვით ბანკებმა შესაძლოა მოითხოვონ ქონების უზრუნველყოფა დამატებით გირაოს სახით და რადგან ფერმერების საკუთრებაში მყოფი აქტივები და უძრავი ქონება ძირითადად შელახული და ღარიბია, კრედიტის მიღება ხშირად რთულდება. სხვა შემაფერხებელი ფაქტორი არის ის, რომ მაღალი რისკის გამო, დამწყებ ბიზნესს ბანკები კრედიტს არ აძლევენ. ახალი ბიზნესს იდეა განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტს უკვე აქვს სხვა მოქმედი ბიზნესი, შემოსავლის წყარო და სამუშაო გამოცდილება სოფლის მეურნეობის სექტორში. ბანკების მიერ შემოთავაზებული სტანდარტული პროდუქტები ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას, რადგან ფინანსურმა ინსტიტუტებმა შეამცირეს თავიანთი საკრედიტო პორტფელები ნაღდი ფულის სიმცირის გამო (სხვა ბანკებში დეპოზიტების დაცემისა და შეზღუდული კრედიტის გამო). და სესხს გასცემენ მხოლოდ საიმედო კლიენტებზე, რითაც ამცირებენ რისკს.

პროფესიული საგანმანათლებლო ტრენინგი

შვეიცარიის განვითარების სააგენტოს გაეროს განვითარების პროგრამის მიერ საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის მოდერნიზაცია⁴⁹ არ მოიცავს აჭარის რეგიონს. ბათუმში 11 პროფესიული კოლეჯი (აქედან ორს აფინანსებს აჭარის განათლების სამინისტრო), ასევე 9 კერძო კოლეჯი ფუნქციონირებს. პროფესიული კოლეჯი „შავი ზღვა“ ამჟამად, დაფინანსებას იღებს გაეროს განვითარების პროგრამის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამიდან (UNDP ENPARD). კოლეჯი სთავაზობს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ტექნიკოსების და სანერგე სპეციალისტების (ძირითადად სასათბურე მეურნეობა) ორ სასწავლო კურსს, რომელიც უკვე 107-მა ადამიანმა გაიარა. გარდა ამისა, UNDP ENPARD პროგრამამ დააფინანსა ფერმერების ტრენინგები ბიზნეს გეგმის შედგენის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, ბუღალტერიისა და ექსპორტის მოთხოვნების/პროცედურების შესახებ, რომელიც ჩაატარა ბათუმის ბიზნეს ინკუბატორმა⁵⁰. 2013 წლიდან ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი უზრუნველყოფს ფერმერების ონლაინ

⁴⁹ ამჟამად, მიმდინარეობს 6 მილიონიანი CHF 5 წლიანი პროგრამა, რომელიც 2018 წლამდე გაგრძელდება. მისი მიზანია გავლენა მოახდინოს 4'000 ფერმერზე, ვინც მონაწილეობას მიიღებს გაუმჯობესებული გადამზადების კურსებში და დაახლოებით 10'000 ფერმერზე, რომლებიც მიიღებენ საკონსულტაციო მომსახურებას, რაც მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე. ტრენინგის მონაწილეების დასაქმების უნარიანობა გაუმჯობესდება, როცა შეივსება მათ პროფესიულ ცოდნასა და ბაზრის მოთხოვნებს შორის არსებული ზღვარი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებად მოქნილ სისტემას, რომლის პირობებშიც სასწავლო და საკონსულტაციო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდება ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის. პროექტის პირდაპირი ბენეფიციარები იქნებიან 8 საჯარო პროფესიული კოლეჯი და 7 მუნიციპალური საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრი, ისევე, როგორც სხვა სერვის პროვაიდერები, რომლებიც იმოქმედებენ მოწინავე უნარების მულტიპლიკატორების სახით. 300 პროფესიული განათლების მქონე მასწავლებლის, 400 კონსულტანტის და 250 სერვის პროვაიდერის კვალიფიკაცია გაიზრდება სწავლების, კონსულტირებისა და წვრთნის საშუალებით.

⁵⁰ 2009 წლიდან.

სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის საკონსულტაციო მომსახურება

აჭარაში არ არსებობს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის კერძო საკონსულტაციო სამსახურები აჭარის სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შეთავაზებული მომსახურების გარდა, რომელიც საშუალებას აძლევს თავის პერსონალს შესთავაზოს ფასიანი საკონსულტაციო მომსახურება სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სფეროში⁵¹. არსებობს სამი ძირითადი სურსათის უსაფრთხოების საკონსულტაციო ფირმა თბილისში: „სტარ კონსალტინგ კომპანია“, GDCl, PMCG და რამდენიმე სხვა პატარა ინდივიდუალური საწარმო. „სტარ კონსალტინგი“ არის მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის ქვემო ქართლის პროგრამის კლიენტი, რომელიც შერჩეულ იქნა ტენდერის საფუძველზე, რათა ხელი შეუწყოს კომპანიების განვითარებას. „სტარ კონსალტინგი“ გეგმავს ზემოაღნიშნული მომსახურების გაფართოებას მთელ ქვეყანაში და აჭარაში, კონცენტრირებას ახდენს სურსათის წარმოების კომპანიებსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე რეგიონალური წარმომადგენლების მეშვეობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, სურსათის ეროვნული სააგენტოს არაერთგვაროვანი ურთიერთობის გამო, სოფლებში არსებული პატარა ფირმებისათვის არ არსებობს წამყვანი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გამოყენებას.

ბიზნესის განვითარების სერვისები

სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის უმრავლესობა არ იყენებს ბიზნესის დაგეგმვის მომსახურებას, რადგან ის ძვირადღირებულ და უსარგებლო მომსახურებად მიაჩნია. აჭარაში ბიზნესის განვითარების მომსახურების ოთხი ძირითადი საკონსულტაციო კომპანია არსებობს. ერთი არის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი "ინტელექტი", რომელიც აწვდის საწარმოებს ბიზნესის, საინვესტიციო და გრანტის სიღრმისეულ გეგმებს. ორგანიზაციამ გაავრცელა ინფორმაცია თავისი სამუშაო პროფილის შესახებ მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში. მეორეა „ბიზნესის განვითარების ცენტრი“, რომელსაც აქვს ბიზნეს გეგმის ფორმირებისა და აღრიცხვის სისტემის შექმნის სერვისი. ის ხშირ შეხვედრებს ატარებს მოსახლეობასთან და უწევს კონსულტაციას სოფლის მეურნეობის სფეროში ბიზნესის განვითარების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. კიდევ ერთ საკონსულტაციო სერვისს ახორციელებს საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი „კავკასია“. ის ასევე მუშაობს ბიზნესისა და გრანტის გეგმების შემუშავებაზე. ასევე, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა იურიდიულ მომსახურებასთან ერთად ბიზნეს კონსულტაციებს უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს.

⁵¹კონსულტაციები მეწარმეებისათვის ქარხნის პროექტირებასთან დაკავშირებით სურსათის უვნებლობის და ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად.

სურსათის უვნებლობა და ჰიგიენა

გთხოვთ იხილოთ სურსათის უვნებლობასა და ჰიგიენასთან დაკავშირებული ინფორმაცია ძირითადი ბაზრის შესახებ პარაგრაფში.

კატასტროფების რისკის შემცირება და საგანგებო სიტუაციების მართვა აჭარაში

ალიანსების პროგრამაში, კატასტროფების რისკის შემცირება ძირითადად ეხება ცხოველთა დაავადებების შესახებ შეტყობინებასა და კონტროლს და მოიცავს გარემოსდაცვით საკითხებს, რომელიც უკავშირდება საძოვრების ხელმისაწვდომობასა და მართვას. ბუნებრივი კატასტროფების მაღალი სიხშირის თვალსაზრისით, რაც განპირობებულია გეომორფოლოგიური სტრუქტურის მრავალფეროვნებისა და ზღვასთან სიახლოვის გამო, აჭარა კატასტროფების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე რეგიონია საქართველოში. უხვი ნალექი და დიდთოვლობა ხშირად იწვევს წყალდიდობებს, მეწყერს, ღვარცოფებსა და ზვავებს. რეგიონისთვის ასევე დამახასიათებელია სანაპიროსა და მდინარის ნაპირის ეროზია. სასოფლო-სამეურნეო მოსავლის გაშენება ხდება ციცაბო კალთებზე, რაც მოითხოვს ტერასების გამაგრებით სამუშაოებს, და სადაც ეს არ არის შესაძლებელი და დამატებით მოხდა ტყეების გაჩეხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენების მიზნით, ეროზიების რისკი კიდევ უფრო მაღალია. ამის დამადასტურებელია აჭარიდან სხვა რეგიონებში იძულებით გადაადგილებულ პირთა, ან როგორც უწოდებენ - ეკომიგრანტთა მზარდი რიცხვი(დიდი რაოდენობით არიან ქვემო ქართლში, სადაც მიწა უფრო უხვი და მდიდარია).

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების სააგენტო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან. სააგენტოს ქვედანაყოფები ფუნქციონირებს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში. 2009 წლიდან, სააგენტო ახორციელებს ინვესტიციას ტექნიკაში (მაგალითად, სპეციალური სამაშველო „პიკაპის“ ტიპის სატვირთო მანქანები, ზღვის სკუტერები, შავი ზვიგენები, კვადროციკლები და ტრანკვილიზატორის იარაღი, აღჭურვილობა წყალქვეშა სამუშაოებისათვის და სხვა). სააგენტოში დასაქმებული პერსონალის ტრეინინგს ატარებენ შიდა ინსტრუქტორები, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს რეგულარული განახლებული ტრეინინგების საჭიროება (ტექნიკასა და ტექნოლოგიებში მსოფლიო მიღწევებიდან გამომდინარე). სახანძრო-სამაშველო სამსახური მოქმედებს ყველა მუნიციპალიტეტში. საგანგებო დანიშნულების ტექნიკა ძველი და მწყობრიდან გამოსულია. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად მოხდება საქართველოში ყველა არსებული საგანგებო უწყებების, სააგენტოსა და სახანძრო-სამაშველო სამსახურების რეორგანიზაცია, გაერთიანება და ცენტრალიზებულად მართვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების სააგენტოს მიერ.

დაავადებების შესახებ შეტყობინება და კონტროლი

მთავარი პასუხისმგებელი ორგანო ცხოველთა დაავადებების კონტროლზე, სურსათის ეროვნულ სააგენტოა⁵². თუმცა, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ნაწილი გადაეცემა ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებსაც, ისინი აწესებენ და აუქმებენ კარანტინს სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე. ტაბახის, ჯილეხის, ბრუცელოზის, ტუბერკულოზისა და ცოფის გამწვავების დროს პასუხისმგებლობა გადაეცემა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობებს სპეციალური რეგულაციის საფუძველზე. თუმცა, მუნიციპალიტეტებს არ აქვთ ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობების ან ეფექტური რეაგირების მეთოდების შესახებ. 2012 წლის 1 აგვისტოს დაიწყო უფასო ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამა ტაბახისა და ჯილეხის დაავადებების წინააღმდეგ. პროგრამა განხორციელდა საქართველოს 66 მუნიციპალიტეტის 3202 სოფელში (292 სოფელში აჭარის 5 მუნიციპალიტეტში). ჯილეხის ვაქცინაცია ჩატარდა ძირითადად იმ ადგილებში, სადაც ადრე უკვე დაფიქსირდა დაავადების შემთხვევები. ყველა ადგილობრივ დამოუკიდებელ ვეტერინარს (დაახლოებით 672 ვეტერინარი; 37 ვეტერინარი აჭარაში) და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს მიეწოდათ აღჭურვილობა ვაქცინაციისა და მარკირებისათვის. ასევე დაიწყო იმ პირუტყვის რეგისტრაცია, რომელმაც ვაქცინაციის შემდეგ ყურის იარლიყი მიიღო. სახელმწიფო უფასო ვაქცინაციის პროგრამის მეორე ეტაპი განხორციელდა 2013 წლის გაზაფხულსა (ჯილეხი) და ზაფხულში (ტაბახი) და გრძელდება 2014 წელსაც. უფასო ვაქცინების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2014 წლის პირველ ნახევარში, აჭარაში ტაბახის 66,464 და ჯილეხის 1,381 უფასო ვაქცინაცია განხორციელდა.

ბრუცელოზი პრიორიტეტული საკითხია აჭარის სურსათის ეროვნული სააგენტოსა და ზოგადად სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის. სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონალური წარმომადგენელი ხაზს უსვამს აჭარაში ბრუცელოზის შესახებ კვლევის ჩატარების საჭიროებას (დაავადების სიხშირე, პრევენციულ ვაქცინაცია (ამჟამად არ ხორციელდება) და საჭირო ქმედებების განხორციელება დაავადების შემთხვევის დაფიქსირებისას). ბრუცელოზის გამოვლენის დროს ფერმერთა დანაკარგები ძალიან მაღალია. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ბრუცელოზის შემთხვევა დაფიქსირდა ოჩხამურში (ქობულეთში), რამაც 3 ფერმერი დააზარალა. მხოლოდ ერთი ფერმერის დანაკარგმა შეადგინა დაახლოებით 10,000 ლარი (33 პირუტყვიდან 10 დაინფიცირდა). ფერმერები უჩივიან მთავრობის უუნარობასა და უმოქმედობას პრევენციულ ქმედებებთან დაკავშირებით. 2014 წლის 17 ივლისს, სატელევიზიო გადაცემაში სოფლის მეურნეობის შესახებ „*მე ვარ ფერმერი*“ მომზადდა ერთსაათიანი პროგრამა ბრუცელოზის დაავადების შესახებ, სადაც მიწვეული სტუმარი იყო ამირან კოჩალიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, აჭარის გამოცდილი ვეტერინარი და ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს/სურსათის ეროვნული სააგენტოს (USDA/NFA) ინიციატივით ჩატარებული კვლევის მონაწილე საქართველოში დაავადებებისა და მასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების შესახებ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს გადაცემაში მონაწილეობაზე.

⁵²ცხოველთა დაავადებების კონტროლის მანდატებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2012 წელს და მინისტრის ბრძანების საფუძველზე პროფილაქტიკურ/საკარანტინო ღონისძიებების შესახებ საშიში ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ, რომელიც გამოიცა 2005 წელს.

დაავადების გავრცელება

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის განმავლობაში აჭარაში ჯილეხის ორი შემთხვევა გამოვლინდა. 2014 წლის იანვრის შემდეგ აჭარის რეგიონში მეტი შემთხვევა აღარ გამოვლენილა და არც ოფიციალურად გაჟღერებულა. დაავადების გავრცელების შემცირება შეიძლება იყოს სახელმწიფო უფასო ვაქცინაციის პროგრამის შედეგი. სახელმწიფო ვაქცინაციის პროგრამამ გაზარდა ფერმერთა ინფორმირებულობა მათი პირუტყვის დროულ ვაქცინაციასა და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინების ყიდვასთან დაკავშირებით, რომელიც არ იფარება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. თუმცა, საჯარო ინფორმაციის არსებობა არ არის საკმარისი ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად საშიში ეპიდემიის გავრცელების დროს.

ახალი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ

2013 წლის ივლისში, საქართველოს მთავრობის ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნულმა პროგრამამ დაამტკიცა საქართველოს ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა 2013-18 და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის სამოქმედო გეგმები 2013 და 2014 წლისათვის, რომელსაც დააფინანსებენ დონორები, მათ შორის შვედეთის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA), ევროკავშირი (EU) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD). ამ სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია სურსათის ეროვნული სააგენტოს, როგორც კომპეტენტური ვეტერინარული ორგანოს მშენებლობას და თანამედროვე ლაბორატორიების თანმიმდევრული ქსელის შექმნას, რათა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიებს შეეძლოთ იმოქმედონ ინტეგრირებული სამეთვალყურეო სისტემის სახით. განახლებას საჭიროებს უნივერსიტეტის რეფორმაც, ვეტერინარული სასწავლო პროგრამის, განათლებისა და მეცნიერების სფეროში. პირუტყვის ბაზარზე კვალიფიცირებული ვეტერინარების ნაკლებობა განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. დარგობრივი ზედამხედველობის გეგმები, კერძო ვეტერინარების მეშვეობით სურსათის ეროვნული სააგენტო ადამიანური რესურსების გაზრდის ღონისძიებები და ეფექტური ღონისძიებები კერძო ვეტერინარებისათვის ოპერატიული მუშაობისათვის მომზადდება 2014 წლის ბოლომდე. სხვა მნიშვნელოვანი მიზნები მოიცავს ეფექტურ მიკვლევადობას, ახალი დაავადების ინტერვენციის პრევენციასა და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობებს.

ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

აჭარის მუნიციპალიტეტების ადგილობრივ საბჭოში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი (საკრებულო) კრიტიკულად დაბალია (იხ. ცხრილი 22). საკრებულოს 137 წევრიდან მხოლოდ 11 ქალია. გენდერული წარმომადგენლობა შედარებით უფრო დაბალანსებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სადაც 5 (35 წევრიდან) ქალია (აქედან ორი ჯანდაცვისა და ფინანსთა კომიტეტის ხელმძღვანელია). აჭარის მუნიციპალიტეტში 2014 წლის ივნისში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საკრებულოს წევრების რაოდენობა გაიზარდა (117-დან 137-მდე); თუმცა ქალთა რაოდენობა საკრებულოს წევრებს შორის შემცირდა (16-დან 11). (იხ. ცხრილი 22). სათემო შეხვედრებზე ქალთა დასწრებადობა უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცების. იგივე ტენდენცია შეინიშნება მუნიციპალიტეტის შეხვედრებზე დასწრების მხრივ; ფოკუს ჯგუფებში ქალი მონაწილეების 3%, მამაკაცი მონაწილეების 10%-თან შედარებით, აცხადებს, რომ ისინი ესწრებიან მუნიციპალიტეტის შეხვედრებს და 23%

შედარებით 40%-თან - სათემო შეხვედრებს, რის მთავარ მიზეზად დასახელდა ის, რომ ქალებს შეხვედრების დროს კეთილგანწყობით არ ხვდებიან.

ბიზნეს სექტორში⁵³ დასაქმებული კაცების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება ქალთა რაოდენობას. 2012 წლის მონაცემების მიხედვით, ამ სექტორში 14 600 ქალი და 23 400 მამაკაცი დასაქმდა. ქალებისა და მამაკაცების საშუალო ხელფასებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. 2012 წელს, ქალების საშუალო თვიური ხელფასი იყო 423 ლარი, ხოლო მამაკაცების - 777 ლარი⁵⁴.

ცხრილი 22. გვიჩვენებს გენდერულ ბალანსს ადგილობრივ საკრებულოებში და 2014 წლის ივნისის არჩევნებამდე

მუნიციპალიტეტი	საკრებულოს წევრების #	საკრებულოს წევრი ქალების #	საკრებულოს წევრი ქალების %
ხულო	23	2	9 %
შუახევი	19	2	11 %
ქედა	19	5	16 %
ხელვაჩაური	21	3	14 %
ქობულეთი	35	4	11 %
სულ	117	16	14 %

ცხრილი 24. გვიჩვენებს გენდერულ ბალანსს ადგილობრივ საკრებულოებში 2014 წლის ივნისის არჩევნების შემდეგ

მუნიციპალიტეტი	საკრებულოს წევრების #	საკრებულოს წევრი ქალების #	საკრებულოს წევრი ქალების %
ხულო	28	1	4 %
შუახევი	24	1	4 %
ქედა	24	2	8 %
ხელვაჩაური	26	2	12 %
ქობულეთი	35	5	14 %
სულ	137	11	9 %

აჭარის მთავრობის სოფლის მეურნეობის პოლიტიკა

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრი

აგროსერვის ცენტრი არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც დაარსდა 2011 წლის ივლისში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის #83 რეზოლუციის თანახმად. აგროსერვის ცენტრს აქვს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები (სტრუქტურული ერთეულები) აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში. მათი ოფისები განთავსებულია მუნიციპალურ შენობებში ან მათ მახლობლად და თითოეულ მათგანს ჰყავს 7-11 წევრიანი პერსონალი.

⁵³ ეკონომიკის სექტორი, რომელიც დაკავშირებულია ბიზნეს და კორპორატიულ ორგანიზაციებთან. ბიზნეს სექტორი არ მოიცავს ინდივიდუალურ შინამეურნეობებს, სახელმწიფო ან არაკომერციულ ორგანიზაციებს.

⁵⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ცენტრებს ევალებათ:

- შეაგროვონ ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ, რომლებიც მდებარეობს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფართობის ფარგლებში
- შექმნან და განახლონ მონაცემთა ბაზა ყოველწლიურად დათესილი და დარგული ფართობის შესახებ
- გააკეთონ მოსავლის სავარაუდო მოცულობის პროგნოზი
- აქტიურად იყონ ჩართული მუნიციპალიტეტისათვის მიზნობრივი პროექტების არჩევაში, რომლებიც დაგეგმილია განხორციელდეს აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, გაუწიონ კონსულტაციები და ჩაატარონ მონიტორინგი
- შეაგროვონ და გააანალიზონ ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილობრივი ბაზრის ფასებზე
- შეისწავლონ ადგილობრივი საცავისა და გადამამუშავებელი საწარმოების პოტენციალი
- მიაწოდონ ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის იურიდიული და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ
- მიაწოდონ მოსახლეობას დროული ინფორმაცია სამინისტროს პოლიტიკისა და პროექტების შესახებ
- ხელი შეუწყონ თანამედროვე აგროტექნიკურ საშუალებებსა და მათ განხორციელებას
- შეაგროვონ და დაამუშაონ ინფორმაცია ადგილობრივ ბაზარზე არსებული თესლების და ნერგების შესახებ
- გააუმჯობესონ მეცხოველეობა, შექმნან ხელოვნური განაყოფიერების ცენტრები და უზრუნველყონ სათანადო მომსახურება
- გაავრცელონ ინფორმაცია მექანიზაციის საშუალებების ხელმისაწვდომობისა და მათი რაციონალური გამოყენების შესახებ
- შეაგროვონ ინფორმაცია ბაზარზე არსებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ და უზრუნველყონ კონსულტაციები მათი გამოყენების შესახებ
- ხელი შეუწყონ ცხოველთა მოვლისა და გამრავლების თანამედროვე მიდგომებსა და ტექნოლოგიებს
- უზრუნველყონ კონსულტაციები სახნავ-სათესი მიწების მიზნობრივად გამოყენების შესახებ
- უზრუნველყონ კონსულტაციები აუცილებელი ყოველწლიური ვეტერინარული და სანიტარული ღონისძიებების შესახებ
- ითანამშრომლონ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და იყონ აქტიურად ჩართული შეხვედრებში
- ორგანიზება გაუკეთონ სხვადასხვა ტრენინგებს, სასწავლო და საინფორმაციო შეხვედრებს
- მიაწოდონ ფერმერებს რეკომენდაციები კვების რაციონის შესახებ რძისა და პროხის პროდუქტიულობის გაზრდის და შენარჩუნების მიზნით
- იმუშაონ მუნიციპალიტეტის კომიტეტებთან და სამუშაო ჯგუფებთან, რომლებიც შექმნილია ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის ანალიზისა და შეფასებისათვის
- სტატისკისათვის, მიიღონ მონაწილეობა და კოორდინაცია გაუწიონ საინფორმაციო მონაცემთა ბაზების შექმნას

ცენტრების მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2013-2014 წლებში, მათ მომსახურება გაუწიეს, დაახლოებით, 31,700 ფერმერს (მიიღეს კონსულტაცია)⁵⁵. ეს მაჩვენებელი მოიცავს ფერმერებს, რომლებსაც მოემსახურნენ ცენტრებში და ტელეფონით, სოფლებში ორგანიზებული შეხვედრების მონაწილეებსა და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამებისა და ხელოვნური განაყოფიერების ბენეფიციარებს (2,296). ცენტრების წარმომადგენლებისათვის ფერმერების მიერ დასმული კითხვების უმრავლესობა დაკავშირებული იყო მეცხოველეობასთან, ვეტერინარულ მომსახურებასთან, ცხოველთა დაავადებებთან და მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პროგრამებთან. ამ დროისათვის, საკონსულტაციო ცენტრების ეფექტურობა დაბალია და აუცილებელია ცენტრების წარმომადგენლების პოტენციალის განვითარება⁵⁶.

მიწის ბაზარი და სამოვრების ხელმისაწვდომობა

2010 წელს კანონში შესულმა ცვლილებებმა გამოიწვია გაურკვეველობა და მენეჯმენტის არარსებობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სფეროში, კერძოდ, სამოვრების მართვის თვალსაზრისით. ამჟამად, სამოვრებზე არ არის საკმარისი და რეალისტური მართვის მექანიზმები. მიუხედავად იმისა, რომ მართვა იურიდიულად გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სამინისტრო ამ საკითხს ადეკვატურად ვერ უმკლავდება. აჭარაში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უმეტესობა, განსაკუთრებით სამოვრები, რეგისტრირებული არ არის და ეკუთვნის ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოვრების მართვის სისტემა არ გააჩნია. გაფორმებული მიწები ექვემდებარება ან ცენტრალურ ხელისუფლებას, ან აჭარის ა/რ ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო პასუხისმგებელია აჭარის ქონების პრივატიზებასა და მართვაზე (სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები). სამოვრების მიწა ცენტრალური ხელისუფლების მფლობელობაშია, ამგვარად აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არა აქვს უფლება დაარეგისტროს, პრივატიზება მოახდინოს და მართოს სამოვარი მიწები აჭარის რეგიონში. თუმცა, სამოვრების გამოყენების რეგულირება ხელს შეუწყობს კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური სფეროების განვითარებასა და მოახდენს ფულის მობილიზაციას სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ბიუჯეტში (იჯარის გადასახადი და გადასახადი მიწის აქტივების მიხედვით). სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა და გაყიდვა შესაძლებელია, თუმცა არა საბროკერო მომსახურების საშუალებით, რადგან ამ საქმიანობით მხოლოდ რამდენიმე ადამიანია დაკავებული და ეს სფერო ქვეყანაში განუვითარებელია, ამიტომაც არ არსებობს კვალიფიციური ბროკერები (კომპანიები), რომლებიც იმუშავებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის კუთხით.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია და შპს „მამული 2“ წარმომადგენენ მიწის ბროკერებს, რომლებიც მდებარეობენ თბილისში, ხოლო აჭარის რეგიონში მსგავსი საბროკერო მომსახურება არ არის. საბროკერო მომსახურების გაუმჯობესება გაამარტივებს მიწის

⁵⁵ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრი.

⁵⁶ მთავარ რესპონდენტებთან ინტერვიუების დროს ცენტრის თანაშრომლების მიერ გამოთქმული მოსაზრებების შესაბამისად.

პრივატიზაციის პროცესში სამინისტროსა და მიწის მყიდველს შორის კომუნიკაციასა და პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობას. პრივატიზაციის მზარდი ტემპი ხელს შეუწყობს მიწის ბაზრის და ზოგადად სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას⁵⁷. 2013 წელს, საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ იგეგმება ცვლილებები მიწასთან დაკავშირებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. 2013 წლის 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა შეიტანა შესწორება კანონში "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის 19 ივლისიდან. შესწორების თანახმად, 2014 წლის 31 დეკემბრამდე, უცხოელი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირი ვერ შეისყიდის სასოფლო-სამეურნეო მიწას. 2014 წლის 24 ივნისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ზემოხსენებული ცვლილება, რომელიც ზღუდავდა უცხოელებს სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენისაგან საქართველოში. საქართველოს მთავრობისათვის განისაზღვრა მიწის მოწყობისა და მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანი სისტემის შექმნის საბოლოო ვადა და ის ვალდებულია წარმოადგინოს სტრატეგია 2014 წლის 30 ნოემბრამდე.

ცხოველების გადაადგილება საზაფხულო საძოვრებზე

მაისიდან სექტემბრამდე პირუტყვი ყველა მუნიციპალიტეტიდან გადადის მაღალმთიან საძოვრებზე. პირუტყვი ძირითადად გადაადგილდება ფეხით, იშვიათად ტრანსპორტით. ცხოველთა გადაადგილების მარშრუტი გადის მუნიციპალიტეტების სოფლებზე და ძირითად გზებზე. ფერმერები საძოვარს უფასოდ იყენებენ და თითო პირუტყვში მწყემსს მხოლოდ 5-10 ლარს უხდიან. ითვლება, რომ საძოვრები ცუდ ან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია (მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის აჭარის ფოკუს ჯგუფების თანახმად - 40% და 38%) და პირუტყვს ყოველთვის ემუქრება გარეული ცხოველების თავდასხმის საფრთხე. ზაფხულის საძოვრებზე ყოფნისას, ფერმერებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა ვეტერინარულ მომსახურებაზე. გთხოვთ იხილოთ კვების განყოფილება სრული ინფორმაციისათვის.

⁵⁷ მიწის საკუთრება და მიწის ბაზრის განვითარება საქართველოში, ქვემო ქართლის ალიანსების პროგრამა, 2013.

ბაზრის მოთამაშეების ცნობარი

ბაზრის ანალიზის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია მოთამაშეების ცნობარის შედგენას, სადაც სრულყოფილად ჩამოთვლილია და კატეგორიებად დაყოფილია, თავის საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად, ყველა პოტენციური ბაზრის მოთამაშე პროგრამის არეალში, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხდა ბაზრის ანალიზის პროცესში. ამ მონაცემებს ადგენს და იყენებს პროგრამა, მაგრამ სიდიდის გამო ვერ შევა აღნიშნულ დოკუმენტში. ქვემოთ იხილეთ დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის ცხრილი 21, რომელიც გთავაზობთ ყველა სფეროს მთავარი რესპონდენტების მიმოხილვას რეგიონში და მთავარი რესპონდენტების ცხრილს 23, რომელიც გთავაზობთ ძირითადი ბაზრის მიმოხილვას და დამხმარე ფუნქციების მქონე მოთამაშეებს, რომლებიც გამოიკითხა ამ ბაზრის ანალიზის შემუშავების პროცესში.

ცხრილი 21 დაინტერესებული პირების ანალიზი

დაინტერესებული პირი	ინტერესები და რა გავლენას ახდენს ბაზრის სუსტი მხარეები	უნარი და მოტივაცია ცვლილებების განსახორციელებლად	შემოთავაზებული ღონისძიებები დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გასათვალისწინებლად
მცირე და საშუალო მესაქონლე ფერმერები	ადგილობრივი ხორცის, თაფლისა და რძის პროდუქტების მწარმოებლები. დაუცველია საქმიანობის მცირე მასშტაბიდან და ბიზნესს გარემოდან გამომდინარე.	კარგი მოტივაცია, მაგრამ ცვლილებების განხორციელების საშუალებები ძალიან სუსტი ან დაბალუნარიანია, ფინანსებისა და კრედიტის, ასევე ინფორმაციის შეზღუდული ხელმისაწვდომობა	მიზნობრივი ჯგუფი
კერძო ვეტერინარები	გარკვეული ხელმისაწვდომობა წამლებსა და ინფორმაციაზე	ბიზნესს გამჭრიახობის და ბაზარზე ფოკუსირების სუსტი უნარი. მაღალი მოტივაცია, სადაც წარმოდგენილი არიან ოპონენტები	ფარმაცევტებთან ერთად ინფორმაციის გაუმჯობესება ზედა მიმართულებით. ცვლილების დასაწყებად მთავარი ვეტერინარული გამოწვევების იდენტიფიცირება
ვეტ აფთიაქები	მცირე მესაქონლე ფერმერებისა და ვეტერინარების პირდაპირი მომარაგება; შეზღუდული გაყიდვები ცუდი კავშირების გამო და არსებული ინფორმაციის ნაკლებად გამოყენება	დაინტერესებულია გაყიდვების გაზრდით და მომსახურების გაუმჯობესებით	ვეტერინარების მომარაგებისა და მათი ინფორმაციასთან კავშირის მიმართულებით სისუსტეების გამოვლენა
ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკოსები (ზოგიერთი ვეტერინარიც)	ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების გაწევა. ფერმერები სკეპტიკურად არიან განწყობილი ამ ახალი მეთოდის მიმართ.	სერიოზული შეზღუდვების გამო ძალიან დაბალია	საჭიროებისამებრ კავშირი შექმნა. მაგ. აჭარაში აგროსერვის ცენტრები და UNDP ENPARD - ის ხელოვნური განაყოფიერების კოოპერატივები
კავკასიის გენეტიკა	ხელოვნური განაყოფიერების ერთადერთი კომერციული მომწოდებელი საქართველოში. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა MOLI-ის პროგრამასთან ერთად კახეთში საერთო მენეჯმენტთან დაკავშირებით	დაფინანსებით მოტივირებულ მომწოდებელს ჯერ კიდევ არა აქვს ფორმალური კავშირი ხელოვნური განაყოფიერების ინდივიდუალურ სპეციალისტებთან.	კოორდინირება საჭიროებისამებრ

ტექნიკის ცენტრები	შეზღუდული გავრცელება. კლიენტთა საბაზო პოტენციალის არცოდნა	მაღალი მოტივაცია, და საშუალო მოტივაცია ბიზნესის გასაფართოებლად	მარკეტინგის გაუმჯობესება, სერვისისა და პროდუქტების მიწოდება მცირე და საშუალო მესაქონლე ფერმერებისათვის
ფინანსური ინტიტუტები	კანონები გადახდასთან, გადასახადებთან, დღგ-სთან (ლიზინგი) და საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით, აღქმული მაღალი რისკები, სოფლის სამომხმარებლო ბაზის არცოდნა	კარგი პოტენციალი ზოგიერთი (მაგ. კრედო) პრობლემატური დამოკიდებულებისათვის სოფლის დაკრედიტების მიმართ	შესაბამისი საწყისი წერტილების მოძიება, სადაც პროგრამას შეუძლია დაამატოს ღირებულება მიზნობრიობის და სოფლის მომხმარებელთა ბაზის მომსახურების თვალსაზრისით.
ინფორმაციის წყარო/ინფორმაცია/ტელ ევიზია	დაბალი კითხვადობა და დონორებზე / მთავრობაზე დამოკიდებულების მაღალი დონე	ფერმერის მიერ ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების და დივერსიფიკაციის გარკვეული სურვილი	მუშაობა სოფლის მეურნეობის ინფორმაციისათვის ბაზრის პოტენციალისა და მიწოდების წყაროებთან კავშირის დასადგენად
სტარ კონსალტინგ კომპანი	თბილისში არსებული, - სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კონსულტაციების/ რეკომენდაციების/ ტრენინგების ძირითადი მომსახურების პროვაიდერი აჭარის რეგიონში. კლიენტის შეზღუდვები: სარგებელის შესახებ არაინფორმირებულობა და რჩევისთვის თანხის გადახდა	მაღალი მოტივაცია და შესაძლებლობები, მაგრამ საწყის ეტაპზე ფასდაკლების გაკეთების აუცილებლობა, რათა წინ წასწიოს ბიზნესი და გაზარდოს მოთხოვნა პროდუქტზე	მუშაობა მათთან მარკეტინგის საკითხებზე ახალი კანონისა და სურსათის უვნებლობის და ჰიგიენის მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მეშვეობით
გერგოლი	ბიზნესის გარემოს შეფასების (BEAT) ინსტრუმენტები ვერ განვითარდება კომერციულ პროდუქტად არაერთგვაროვანი გარემოსდაცვითი ორგანოებიდან გამომდინარე	ზემოთ მოცემულის თანახმად	BEAT ინსტრუმენტის პროგრამის აქტივობებში ჩართვა
პირველი საკონსულტაციო კომპანია	თბილისში დაფუძნებული კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნეს / მარკეტინგის მომსახურებას ბიზნესის განვითარებისათვის	მაღალი მოტივაცია და შესაძლებლობები, პოტენციურ კლიენტებს შორის კარგი რეკლამირების აუცილებლობა	რეგიონში სარეკლამო საქმიანობისათვის ხელშეწყობა, კლიენტებთან თანამშრომლობის განვითარება
ბიზნეს განვითარების ცენტრი/ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი ინტელექტი	უზრუნველყოფს ბიზნეს / მარკეტინგის მომსახურებას, ბიზნესის განვითარებისათვის	მაღალი მოტივაცია და შესაძლებლობები, პოტენციურ კლიენტებს შორის კარგი რეკლამირების აუცილებლობა	რეგიონში სარეკლამო საქმიანობისათვის ხელშეწყობა, კლიენტებთან თანამშრომლობის განვითარება
EPF	სოფლის მეურნეობის პროექტების დონორი, ახორციელებს ახალ პროექტს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ	მაღალი მოტივაცია და შესაძლებლობები, მაგრამ არ არის ფოკუსირებული სოფლის ტიპის დასახლებებზე, მცირე საწარმოებზე და კერძო სექტორზე.	კოორდინირება საჭიროების შემთხვევაში
IFC	დონორი და მრჩეველი კვების უსაფრთხოების და სოფლის დაფინანსების საკითხებში	მაღალი მოტივაცია და შესაძლებლობები, მაგრამ არ არის ფოკუსირებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე.	კოორდინირება და კონსულტაცია, განსაკუთრებით, სურსათის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ფასების თვალსაზრისით

მცირე და საშუალო მეფუტკრეები	თაფლის წარმოება და ფუტკრის პროდუქტები. მაღალი დამოკიდებულება თურქ შუამავლებზე. ადგილობრივ ბაზარზე თაფლის დაბალი ფასი მისი ფალსიფიცირების შესახებ განზოგადებული რწმენის გამო, და ტესტირებისა და სერთიფიცირების ნაკლებობა.	კარგი მოტივაცია და ინტერესი გაყიდვების გაზრდის თვალსაზრისით, მაგრამ ზრდის ნაკლებობა.	მუშაობა სერთიფიცირების და ტესტირების საკითხების გარშემო არსებული ძირითადი შეზღუდვების მოხსნის მიმართულებით
სასაკლაოები	მცირე მესაქონლე ფერმერებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამჟამად, შეზღუდულია საქონლის ხორცის მოცულობისა და ხარისხის თვალსაზრისით.	კარგი მოტივაცია, მაგრამ სუსტი შესაძლებლობები. პირუტყვის ტრანსპორტირებისათვის სპეციალურ სატვირთო მანქანებში ინვესტირებისაგან თავშეკავება	შუამავლებთან დაკავშირებულ ინტერვენციებში ჩართულობა
ხორცის შუამავლები	ხორცს ყიდულობენ აჭარის და საქართველოს სხვა რეგიონების სასაკლაოებზე. ყიდიან ხორცს სხვა შუამავლებზე ან პირდაპირ მომხმარებელზე აჭარის აგრარულ ბაზრებში.	მაღალი მოტივაცია, მაგრამ სუსტი შესაძლებლობები. ინფრასტრუქტურაში (როგორცაა მანქანა-მაცივრები) ინვესტირებისაგან თავშეკავება	მუშაობა უნარიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და
რძის პროდუქტების მსხვილი ფირმები	რძის პროდუქტების ფორმალურ მიწოდებას სამი ლიდერი კომპანია აკონტროლებს	მაღალი მოტივაცია და შესაძლებლობები.	კოორდინირებული მუშაობა და ჰიგიენასთან დაკავშირებული ინტერვენციებში ჩართვა
მცირე-საშუალო რძის პროდუქტების საწარმოები	რძის შეგროვება და გადამამუშავება სხვადასხვა რძის პროდუქტების დასამზადებლად. განახლებისა და გაფართოებისათვის საჭირო ახალი კანონების ცოდნისა და შესაძლებლობების ნაკლებობა. მაგ. ტრანსპორტი, ტექნიკა.	მაღალი მოტივაცია, დაბალი შესაძლებლობები და ცოდნა	მუშაობა შესაძლებლობებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ჰიგიენის ინტერვენციებში ჩართვა
